პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 ნოემბერი **ოთხშაბათი** 2012 №270 (13 876) ფასი 80 თეთრი

დღეს 18:00, თბილისი. „მიხეილ მესხი“
ამხანაგური მატჩი

**საქართველო VS ეგვიპტე**

Live პირველ არხზე

# მოგებით დავხუროთ



2

## გურამ კაშია: წლის ბოლო თამაშია და გამარჯვება გვინდა!

## შოთა არველაძე
## დელეგატები გამოვიდნენ და თქვან, სიძინავა მათი არჩევანი იყო თუ ხმის მიცემა დაავალეს



3

## ბორჯღალოსნები იაპონიასთან და ფიჯისთან ტესტებისთვის მზადებას განაგრძობენ



13

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ვერ შევძელით...

არადა, გიგანტები არც ბელგიელები იყვნენ...




12

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ეროვნული ნაკრები



ავტორის ფოტო

# ეგვიპტესთან თამაშის ფასი: ჰეპი ენდი

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები წლის ბოლო მატჩს ითამაშებს და ცხადია, ჰეპი ენდი - 2012 მნიშვნელოვანი საკითხია.

**თემურ ქეცბაიამ** გუნდი გუშინ ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასას" მინდორზე ავარჯიშა. გარედან ყველაფერი ნორმალურად ჩანდა, ფეხბურთელებს მონდომება არ აკლდათ, მწვრთნელიც რიგიანად ხელმძღვანელობდა წვრთნას.

ნაკრების შემადგენლობაში რა ცვლილებები მოხდა, ადრე გაუწყეთ და ახლა ამაზე აღარ შევჩერდებით. სხვადასხვა მიზეზის გამო ქეცბაიამ საუკეთესო კრებულს ვერ მოუყარა თავი, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ მწვრთნელის განკარგულებაში სუსტი შემადგენლობაა – ნაკრების ბირთვი მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია.

გახურება, კვადრატი და ორკარა – ყველაფერმა ნიათიანად ჩაიარა. ორკარას დროს ისე ჩანდა, რომ ხვალ ქეცბაიას სასტარტო თერთმეტეული ასეთი იქნება: კარში— **გიორგი ლორია**, მარჯვენა მცველად— **უჩა ლობჟანიძე**, დაცვის ცენტრში— **გურამ კაშია** და **ალექსანდრე ამისულაშვილი**, მარცხნივ— **გია გრიგალავა**; ნახევარდაცვის ცენტრში— **ირაკლი ძარია** და **შოთა გრიგალაშვილი**, ფლანგებზე— **სანდრო კობახიძე** და **დავით თარგამაძე**, ცენტრფორვარდი— **ჯაბა დვალი**, მის უკან კი— **ნიკა ძალამიძე**.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ვარაუდია, თუმცა არ მგონია, რომ ამ თერთმეტეულისგან მკვეთრად განსხვავებული შემადგენლობით ითამაშოს დღეს საქართველოს ნაკრებმა.

ვარჯიშის შემდეგ ნაკრების ფეხბურთელებმა მცირე წინასამატჩო კომენტარი გააკეთეს.

**სანდრო კობახიძე:** *"ორი დღეა, რაც შევიკრიბეთ, ეგვიპტესთან მატჩისთვის ნორმალურად ვემზადებით. განწყობა კარგი გვაქვს. ჩვენს ნაკრებში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია და შეთამაშება დაგვჭირდება, თუმცა მხოლოდ მოგება გვაძლევს ხელს და ჩვენც ამ შედეგისთვის ვიბრძოლებთ".*

**გურამ კაშია:** "პირველ რიგში, ჯანო ანანიძეს მინდა მივუსამძიმრო მთელი გუნდის სახელით მამის გარდაცვალების გამო, იმედია, ამას ვაჟკაცურად გადაიტანს. რაც შეეხება ეგვიპტესთან მატჩს, სერიოზულად ვემზადებით, ნაკრებისთვის წლის ბოლო თამაშია და მოგება განსაკუთრებულად გვინდა. ეგვიპტე ძლიერი გუნდია, არაერთი კარგი ფეხბურთელი ჰყავს. დანარჩენი თამაშის დროს გამოჩნდება".

დავით თავართქილაძე

მეტოქე

# ფარაონები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველაზე ტიტულოვანები აფრიკაში

საქართველოს ნაკრები დღეს 2012 წლის ბოლო მატჩს ჩაატარებს. მისი მეტოქე ეგვიპტის ეროვნული ნაკრები იქნება, რომელიც უდავოდ საინტერესო და ძლიერი მეტოქეა და წარმატებული წარსულიც აქვს.

დღეისთვის ეგვიპტის ნაკრებს ფიფას რეიტინგში მე-40 ადგილი უკავია, მაგრამ ახლო წარსულში გაცილებით მაღალ პოზიციებზეც იმყოფებოდა. ასე მაგალითად, "ფარაონები" (ნაკრების მეტსახელია) 2010 წელს მე-9 ადგილამდეც კი ალზევდნენ.

ეგვიპტე აფრიკის ყველაზე ტიტულოვანი ნაკრებია და ამით ყველაფერია ნათქვამი. საქართველოს ნაკრების დღევანდელ მეტოქეს აფრიკის ერთა თასი 7-ჯერ აქვს მოგებული, განსაკუთრებით შთამბეჭდავად კი ბოლო წლებში გამოიყურებოდა – შავ კონტინენტზე უძლიერესის სახელი ზედიზედ მოიპოვა 2006, 2008 და 2010 წლებში. თუმცა ეგვიპტელებს ბოლო აფრიკის თასზე დიდი უსიამოვნება შეემთხვათ – ფინალურ ეტაპზეც კი ვერ მოხვდნენ, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ბოლო პერიოდში "ფარაონები" გარკვეულ ჩავარდნას განიცდიან.

კონტინენტზე წარმატებული ასპარეზობის მიუხედავად, ეგვიპტელებს ყოველთვის უჭირდათ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა. საქართველოს ნაკრების მეტოქეს მუნდიალზე მხოლოდ ორჯერ, 1934 და 1990 წლებში უთამაშია და თავი ვერც ამ შემთხვევებში გამოუჩენია. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ეგვიპტეს ოთხი მატჩი აქვს ჩატარებული და ჯერ გამარჯვება არ უზეიმია.

ეგვიპტის ნაკრებს ამერიკელი **ბობ ბრედლი** წვრთნის, რომელიც მანამდე საკუთარი ქვეყნის ეროვნულ გუნდს ედგა სათავეში და საკმაოდ ნაყოფიერადაც მოღვაწეობდა. გუნდის ყველა დროის საუკეთესო თავკაცი კი **ჰასან შეჰატაა**, რომელიც "ფარაონებს" 2005-2011 წლებში ედგა სათავეში და ბოლო სამი აფრიკის თასი ეგვიპტის ნაკრებმა სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიპოვა.

იმ პერიოდში ეგვიპტელებს გამორჩეული ინდივიდუალისტებიც ჰყავდათ, რომელთა შორისაც **აჰმედ ჰოსამ მიდოსა** და **აჰმედ ჰასანის** გამორჩევა შეიძლება. ჰასანი საერთოდ უნიკალური ფიგურაა ეგვიპტისა და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში – თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის ღირსება მას 184-ჯერ დაუცავს!

აქტიურ სანაკრებო კარიერას აგრძელებს საკმაოდ მაღალი დონის ფორვარდი **ამრ ზაკი**, რომელიც დღეს თურქული "ელაზიგსფორში" ასპარეზობს და შთამბეჭდავი სანაკრებო მონაგარი აქვს – 29 გოლი 61 მატჩში.

კვლავ ნაკრებშია 39 წლის მეკარე **ესამ ელ ჰადარი**, რომელსაც აჰმედ ჰასანის შემდეგ ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი, 137 მატჩი ჩაუტარებია.

ეგვიპტის ნაკრების წევრთა უმრავლესობა სამშობლოში თამაშობს, თუმცა ჩვენს დღევანდელ მეტოქეს ლეგიონერიც მრავლად ჰყავს – მაგალითად, მცველები, **აჰმედ ელ-მოჰამადი** (ჰალ სიტი, ინგლისი), **აჰმედ ჰეგაზი** (ფიორენტინა, იტალია), თავდამსხმელები, **ამრ ზაკი** (ელაზიგსფორი, თურქეთი), **მოჰამედ სალაჰი** (ბაზელი, შვეიცარია) და სხვები.

ბრაზილიის 2014 წლის მუნდიალისკენ ეგვიპტელები დამაჯერებლად მიიწევენ. აფრიკის ზონის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "ფარაონები" ჯგუფში ლიდერობენ, თუმცა ბრაზილიამდე ჯერ შორია – მეორე ეტაპზე გამარჯვებულებს წინ მესამე, პლეი ოფის რაუნდი ელით.

ოქტომბერში ეგვიპტის ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა – კონგოს 3:0 სძლია, ტუნისთან კი 0:1 დამარცხდა.

ლევან ჯანეზაშვილი



ლეგიონერი

# ჯანო ანანიძე: ჯერჯერობით, მეორე ადგილზე



"ლელო" უკვე წერდა, რომ **ჯანო ანანიძე** ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელების "Golden Boy" ("ოქროს ბიჭი") ნომინანტებს შორის დაასახელეს. ჯილდო წლის ბოლოს ევროპის საუკეთესო 21-წლამდელ ახალგაზრდა ფეხბურთელს გადაეცემა.

წლეულს ჯილდოს პრეტენდენტი 30-მდე ახალგაზრდა ვარსკვლავია: **შტეფან ელ შაარავი, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, იკერ მუნიაინი, მარიო გიოტცე, რაფაელ ვარანი, კოუტინიო, ტიბო კურტუა...**

უეფას გამოკითხვაში 28 ევროპული სპორტული გამოცემის ჟურნალისტები, პარალელურად კი, გულშემატკივრებიც მონაწილეობენ. ხმის მიცემა 10 დეკემბერს წყდება და გამარჯვებულის ვინაობას 28 დეკემბერს შევიტყობთ

გუშინდელი მონაცემებით, გულშემატკივართა გამოკითხვაში ჯანო მეორე ადგილზეა და შვეიცარიული "ბაზელის" ეგვიპტელ თავდამსხმელს, **მოჰამედ სალაჰს** მცირე სხვაობით ჩამორჩებოდა, თუმცა, სხვა კონკურენტებს მნიშვნელოვანი უპირატესობით უსწრებს.

| | |
|---|---|
| 1. მ. სალაჰი ("ბაზელი", ეგვ.) | 24% |
| 2. ჯ. ანანიძე ("სპარტაკი", საქ.) | 22.5% |
| 3. პ. პოგბა ("იუვე.", საფრ./გვინეა) | 9.5% |
| 4. ს. ელ შაარავი, ("მილანი", იტა./ეგვ.) | 8.1% |
| 5. რ. სტერლინგი ("ლივერპ.", ინგ./იამ.) | 5.9% |

ჯანო ანანიძეს 9 ნოემბერს მამა გარდაეცვალა და 11 ნოემბერს, „კრასნოდართან" რუსეთის ჩემპიონატის მე-15 ტურის მატჩი გამოტოვა. საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველს ამ ტკივილს ვერაფერი მოუშუშებს. თუმცა, იმედია, რომ ანანიძე "ტუტოსპორტის" გამოკითხვაში გაიმარჯვებს და დიდი ტკივილის შემდეგ, საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებს.

მერაბ მამულაშვილი

ქართულ-აფრიკული ყველა დაპირისპირება

**ტუნისი – საქართველო 0:2**

02.02.1994. ლა-ვალეტა. „ტა ქალი". 6000 მაყურებელი

0:1 ყაველაშვილი (48), 0:2 კუდინოვი (61)

ტუნისი: ელ კეარი, თაბეტი, ბერეხისა, სუისი, ალი მაჯუბი, მიჯუბი, ბენსასი, ჩიჰი (84. ტრაბელსი), სუაია (73. ტაჰარი), აიედი მაჯუბი, სელიმი

საქართველო: დევაძე — რევიშვილი, სიდამონიძე, შელია, ბერაძე — გოგიჩაიშვილი, კუდინოვი, ნემსაძე, ჯამარაული — ქინქლაძე — ყაველაშვილი (80. ყიზილაშვილი)

კაპიტანი: მურთაზ შელია

მთავარი მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

**ნიგერია – საქართველო 5:1**

11.06.1994. იბადანი. „ლიბერთი სტედიუმი". 50 000 მაყურებელი

0:1 რ. არველაძე (2), 1:1, 2:1 იეკინი (11, 43), 3:1, 4:1 სიასია (58, 60), 5:1 ადეპოჟუ (70)

ნიგერია: რუფაი, ეგუავონი, ნვანუ, კეში, ოკეჩუკვუ, ფინიდი, ოლისე, ოკოჩა, ამუნიკე, ამოკაში, იეკინი. შეცვლაზე შევიდნენ სიასია, ამოკაში.

საქართველო: ზოიძე (75. გრიშიკაშვილი) — ბერაძე, ცხადაძე, შელია (46. ნ. ლობჟანიძე), გ. ჯიშკარიანი — რ. არველაძე, კუდინოვი (65. ინალიშვილი), ნემსაძე, ჯამარაული — ქინქლაძე — ა. არველაძე (78. დ. ჯანაშია)

კაპიტანი: კახა ცხადაძე

მთავარი მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

**ტუნისი – საქართველო 1:1**

02.05.1998. სუსე, „სტად ოლიმპიკი". 30 000 მაყურებელი

0:1 ქინქლაძე (42), 1:1 ბენ იუნესი (80)

ტუნისი: ელ კეარი (46. ბუმნიჟელი), პ. ტრაბელსი, კლეიტონი (ჯელასი), ს. ტრაბელსი, ბუკაიდა, ფეკი, ბადრა (63. კანზარი), სუაია, გოდბენი (63. ბუაზიზი), ბენ იუნესი, ბენ ჰასემი (46. ბენ ახმადი)

საქართველო: გვარამაძე — კალაძე, ცხადაძე, სილაგაძე, კობიაშვილი (56. ცქიტიშვილი) — ქეცბაია, შეყილაძე, ნემსაძე, ჯამარაული — ქინქლაძე — შ. არველაძე

კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

**საქართველო – სამხ. აფრიკა 4:1**

27.03.2002. თბილისი. „ლოკომოტივი". 15 000 მაყურებელი

1:0 კობიაშვილი (15), 2:0 დემეტრაძე (32), 2:1 ბაკლი (67), 3:1 ალექსიძე (84), დემეტრაძე (86)

საქართველო: გვარამაძე (67. გრ. ჭანტურია) — შაშიაშვილი, საჯაია (78. აბრამიძე), რეხვიაშვილი, ამისულაშვილი — ბურდული (46. ქემოკლიძე), ჯამარაული, კობიაშვილი, ქეცბაია (46. ვ. დარასელია) — დემეტრაძე, იაშვილი (81. ალექსიძე)

კაპიტანი: თემურ ქეცბაია

მთავარი მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

სამხრეთ აფრიკა: ვონკი, ა. მოკოენა, კარნელი (46. ლეკჰეტო), მოლეფე, ბუტი (46. ჯორდანი), სიბაია, ფორჩუნი (46. ბაკლი), ტ. მოკოენა (85. ხაულეზა), მანიატელა, მნგუნი (46. მაზიბუკო), ნომვეტე.

გაფრთხილება: რეხვიაშვილი, დემეტრაძე; მანიატელა, ა. მოკოენა

გაძევება: მანიატელა, მოლეფე

**კამერუნი – საქართველო 0:0**

25.05.2010. ლინცი. „დოლომიტენშტადიონი". 4000 მაყურებელი.

კამერუნი: ასემბე, ნკულუ, რ. სონგი, ნ'დიენგი, მაკუნი, ა. სონგი, ბუკარი, ვებო, მევუნგუ, იდრისუ, კუემაჰა.

*შეცვლაზე შევიდნენ: ტიგნიემბი, ბასონგი მატიპი, ნ'ჯიტაპი, მანჯეკი, ნ'გუემო, ჩედჯუ*

საქართველო: რევიშვილი — უ. ლობჟანიძე, ამისულაშვილი, ასათიანი, კანდელაკი (89. შაშიაშვილი) — ხიზანიშვილი, მენთეშაშვილი (58. გელაშვილი) — იაშვილი (76. მერებაშვილი), ანანიძე (58. აფციაური), კობიაშვილი — დვალიშვილი (69. ბარაბაძე)

კაპიტანი: ლევან კობიაშვილი

მთავარი მწვრთნელი: თემურ ქეცბაია

მეტოქე

## ბობ ბრედლი:
# საქართველო ჩვენთვის ტესტია

ეგვიპტის ნაკრები ექვსი საათისთვის მიადგა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონს. ორგანიზებული ხალხი ჩანან ჩვენი სტუმრები, წესრიგი და თავაზიანობა თითქოს გასიგრძეგანებული აქვთ. ძველი ეგვიპტელები აღარ არსებობენ, თუმცა ეგვიპტეს ძალუმად მოსდგამს ოდინდელი იერი და მისი საფეხბურთო ნაკრებიც თავის სტაფით გამართულად მომუშავე დაწესებულებას უნდა წარმოადგენდეს.

ეგვიპტის ნაკრებს დახურული ვარჯიში ჰქონდა, თხუთმეტი წუთი და მერე მარტო დაგვტოვეთო– ასეთი იყო მათი თხოვნა.

ვარჯიშის დაწყების წინ გუნდის ამერიკელი თავკაცი ბობ ბრედლი ჟურნალისტებს გაგვესაუბრა.



**- როგორ თამაშს ელით? მეტოქეს, ალბათ, ასე თუ ისე , იცნობთ...**

- კარგ თამაშს ველი იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ნაკრებმა ურიგო შთაბეჭდილება როდი დატოვა ესპანეთთან შეხვედრაში. საქართველოს ნაკრებმა კარგ სტილში დაამარცხა ბელარუსი. ასე რომ, საინტერესო უნდა იყოს ასეთ მეტოქესთან შეხვედრა.

**- ქართულ ფეხბურთზე, ქართველ ფეხბურთელებზე რა წარმოდგენა, რა ინფორმაცია გაქვთ?**

- ვიცი, რომ რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი გყავდათ, მაგალითად, არველაძე და კალაძე. დღეს ქართველი ფეხბურთელები ევროპის სხვადასხვა ნაწილებში არიან მიმოფანტულები, ისეთ დიდ გუნდებში აღარ არიან, როგორებიც "მილანი" და "აიაქსია", თუმცა სადაც არიან, საკმაოდ კარგადაც თამაშობენ. ამას წინათ კანკავას თამაშს ვუყურე ევროპა ლიგის მატჩში "ნაპოლისთან".

**- რა ტაქტიკით აპირებთ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშს?**

- პოზიციები უნდა შევაჯეროთ, გვინდა, რომ ყველა რგოლში დაბალანსებულად გამოვიდეთ, ვიცი, რომ დიდი ჯაფა დაგვაწვება ბურთზე კონტროლის მოსაპოვებლად.

**- ეგვიპტის ნაკრები რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ჩამოვიდა საქართველოში...**

- ალი აბუთრიკას აფრიკის ჩემპიონთა ლიგაში ელის მატჩი და ამიტომ არ ჩამოვიყვანეთ, რაც შეეხება მოჰამედ ზიდანს, საამიროებში წავიდა სათამაშოდ, თან ტრავმაც აწუხებს...

**- ეგვიპტის ნაკრები სტუმრად გაცილებით უარესად თამაშობს, ვიდრე შინ...**

- ახალგაზრდული გუნდი გვყავს და შესაბამისად საერთაშორისო გამოცდილება ჯერ არ ჰყოფნით ფეხბურთელებს. მოვიწვიეთ ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელებიც და ვნახოთ, რა როგორ იქნება.

**- საქართველოსთან მატჩში თქვენთვის შედეგი უფრო მნიშვნელოვანი იქნება თუ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე დაკვირვება?**

- ჩვენთვის ეს ტესტია, თუ რამდენად არიან ფეხბურთელები მზად სანაკრებო დონეზე ისეთ მეტოქესთან სათამაშოდ, როგორიც საქართველოა, რომელიც ყველა შეხვედრაში ორგანიზებულ გუნდად გამოიყურება.

**დავით თავართქილაძე**

გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები



ეგვიპტის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბობ ბრედლი

ლეგიონერები



# ლევან ყენია მსაჯობით უკმაყოფილოა

უკრაინის პრემიერლიგის ბოლო ტურში, ხარკოვში "მეტალისტმა" ლვოვის "კარპატი" 2:1 დაამარცხა. ლვოველთა ქართველმა პლეიმეიკერმა, **ლევან ყენიამ** კლუბის ვებგვერდთან ინტერვიუში მთავარი არბიტრი, **ვიქტორ შვეცოვი** არაობიექტურობაში დაადანაშაულა და დამარცხება, ნაწილობრივ, მასაც დააბრალა.

*"როდესაც "მეტალისტის" ფეხბურთელს (ხარკოველთა საჯარიმოში) ბურთი ხელზე მოხვდა, მსაჯმა "სუფთა'" პენალტი არ დანიშნა. იყო კიდევ ერთი ეპიზოდი, როდესაც საჯარიმოში შევიჭერი და წამაქციეს. არბიტრი სხვა ეპიზოდებშიც შეცდა და, სხვათა შორის, ყოველთვის ჩვენს საწინააღმდეგოდ. თუმცა, საუკეთესო შეხვედრა არ ჩაგვიტარებია. თითქოს, მომენტები შევქმენით, მაგრამ დარტყმამდე საქმე ვერ მივიყვანეთ"* – ამბობს ყენია, რომელიც "კარპატის" მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლაი კოსტოვმა** 62-ე წუთზე შეცვალა.

# უჩა ლობჟანიძე უკრაინის სიმბოლურშია
## ქართველ მცველს პოზიცია შეუცვალეს

უკრაინულმა ინტერნეტგამოცემამ "ფუტბოლ.უა"-მ პრემიერლიგის მე-15 ტურის სიმბოლური ნაკრები შეადგინა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ტურის რჩეულ ფეხბურთელთა შორის **უჩა ლობჟანიძე** მოხვდა. საქართველოს ნაკრებისა და კრივოი როგის "კრივბასის" მცველმა შეუცვლელად ითამაშა ლუცკის "ვოლინის" წინააღმდეგ. 70-ე წუთიდან მისი წინააღმდეგობის დაძლევას საქართველოს პასპორტის მქონე ნიგერიელი თავდამსხმელი, "გაგრადან" განათხოვრებული **აბაიომი სეუნი ოვონიოკოკო** ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და კრივოი როგელებმა 1:0 მოიგეს.

*"ლუცკელების წინააღმდეგ, ლობჟანიძის ანგარიშზე ბევრი წარმატებული მოქმედება და შეტევის ჩაშლაა. საინტერესო ფაქტია: ტექნიკურ-ტაქტიკური მონაცემების (გადაცემა, ორთაბრძოლა, ბურთის ართმევა, შეტევის ჩაშლა, თავით თამაში – რედ.) შეჯამების შედეგად გაირკვა, რომ 24 წლის ქართველი მცველი 62 მოქმედებაში მხოლოდ 5-ჯერ შეცდა"* – წერს "ფუტბოლ.უა".

და ამ ყველაფრის ფონზე, ყველაზე საინტერესო ფაქტი - ლობჟანიძეს პოზიცია შეუცვალეს: *"ქართველი სულ უფრო და უფრო უკეთ ახერხებს მოერგოს მისთვის უჩვეულო პოზიციას: მარჯვენა მცველი დაცვის ცენტრში გადასწიეს, სადაც საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება"* - წერს ინტერნეტგამოცემა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# შოთა არველაძე ფედერაციის რიგგარეშე არჩევნებსა და დეტალების გახმაურებაზე
## ქართველი ქასიმფაშაში? ამაზე უკვე ვფიქრობ...

შოთა არველაძის გაწვრთნილი "ქასიმფაშა" თურქეთის სუპერლიგაში ამ დროისთვის მეხუთე ადგილზეა და ლიდერ "გალათასარაის" ხუთი ქულით ჩამორჩება. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჩვენებურის გუნდს აქვს შანსი, ოთხეულში მოხვდეს და ევროპა ლიგაზე თამაშის საგზური მოიპოვოს.

შოთა არველაძე ისეთი რესპონდენტია, ვისაც ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებზე აზრის დაფიქსირება შეუძლია, არ ერიდება არაფერზე ლაპარაკს, რაც ქართულ ფეხბურთთან არის დაკავშირებული.

შოთას თურქეთში რომ დავურეკეთ, იქაური ამბების გარდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის შესაძლო რიგგარეშე არჩევნებზეც ვკითხეთ.

მოკლედ, "ლელოს" კითხვებს ტყუპისცალი არველაძე პასუხობს....

**- კმაყოფილი ხარ საკუთარი გუნდის თამაშით ბოლო შეხვედრებში? ბოლო ხუთი მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგეთ...**

- საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ, რადგან გუნდი ორგანიზებულად გამოიყურება. შეტევაში უკეთესადაც შეგვიძლია ვითამაშოთ და ამას თუ მოვახერხებთ, შედეგიც უკეთესი გვექნება. არის საფუძველი, რომ ამის იმედი მქონდეს.

**- როგორ შეადარებდი "ქასიმფაშას" შენს ყოფილ გუნდ "ქაისერისფორთან", რომელსაც ახლა უკვე რობერტ პროსინეჩკი წვრთნის?**

- დაახლოებით ერთნაირი ტიპის გუნდები არიან, უბრალოდ "ქასიმფაშამ" სეზონი უკეთესად დაიწყო, რაც მოტივაციას მატებს და შესაბამისად ეს შედეგზეც აისახება. ორივე გუნდს საკმარისად ჰყავს ისეთი ფეხბურთელები, რომ თურქეთის ჩემპიონატში კარგი შედეგი აჩვენოს. როგორც კლუბი, "ქაისერისფორი" უფრო კარგად არის მზად წარმატებებისთვის – ბაზა და სტადიონი მაღალ დონეზე აქვს მოწყობილი, "ქასიმფაშამ" კი ახლა დაიწყო ბაზის მშენებლობა, რასაც ალბათ ერთ წელიწადში დაასრულებს.

**- თურქეთში ფეხბურთი თავისებურად, განსაკუთრებულად უყვართ – როგორ მიგიღეს "ქასიმფაშას" გულშემატკივრებმა?**

- საკმაოდ თბილად მიმიღეს, რაც ყველაზე მთავარია, გულშემატკივრებისგან "ქასიმფაშას" დიდი მხარდაჭერა აქვს. მრავალრიცხოვანი ქომაგი არ გვყავს, რადგან სტამბოლში სამი დიდი, ტრადიციული საფეხბურთო კლუბია და ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა მათი გულშემატკივარია, თუმცა მნიშვნელოვანი წარმატებების შემთხვევაში იმის იმედად ვიქნებით, რომ "ქასიმფაშას" ქომაგთა რაოდენობა მკვეთრად გაიზრდება.

**- ზურაბ ხიზანიშვილმა როგორ ითამაშა ბოლო შეხვედრები თურქეთის სუპერლიგაში? ალბათ შეძლებისდაგვარად თვალს ადევნებ ყოფილი გუნდის და ხიზანიშვილის თამაშს, არის იმის შესაძლებლობა, რომ ხიზანიშვილი "ქაისერისფორიდან" "ქასიმფაშაში" გადმოიყვანო?**

- თურქეთში ბოლო ორი თამაში ხიზანიშვილმა ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა, მისი "ქასიმფაშაში" გადმოსვლაზე კი ლაპარაკი არ ყოფილა.

**- სხვა თემაზე გადავერთოთ. საქართველოში რაც ხდება, ალბათ იცი – აქტუალური გახდა ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნების ჩატარების თემა – როგორ ფიქრობ, ასეთი არჩევნები უპრიანი იქნებოდა?**

- რამდენადაც ვიცი, ოცდახუთმა დელეგატმა დაუჭირა მხარი ზვიად სიჭინავას კანდიდატურას და ერთმა თავი შეიკავა. ამ დელეგატებიდან ყველას, რა თქმა უნდა, არ ვიცნობ, მაგრამ იმის იმედი კი მაქვს, რომ ღირსეული ადამიანები არიან და საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღებაც შეუძლიათ. ჰოდა, გამოვიდნენ და თქვან, რომ ეს გადაწყვეტილება მათი არჩევანი იყო ან ეს მათ ვინმემ დაავალა, დაშინებით მიაღებინა გადაწყვეტილება – ამის შემდეგ ხომ ყველაფერი ნათელი გახდება.

**- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის, ლევან ყიფიანისა და ზვიად სიჭინავას დაპირისპირების ამბავსაც გაიგებდი...**

- ჩემი ინფორმაციით, ყიფიანისა და სიჭინავას შეხვედრამ საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა, ყოფილა უხერხული თემები და კითხვები, თუმცა საბოლოო ჯამში მინისტრი და ფედერაციის პრეზიდენტი შემდგომ თანამშრომლობაზე შეთანხმებულან.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ბატონი სიჭინავას მიერ ამ შეხვედრის დეტალების გახმაურება ზედმეტად მიმაჩნია.

**- ქართულ ფეხბურთში აქტიურად დაბრუნებას როგორ აპირებ? გიფიქრია ამაზე?**

- ქართულ ფეხბურთს არასდროს დავშორებივარ, სანამ ფეხბურთელი ვიყავი, ნაკრებში ვთამაშობდი და შეძლებისდაგვარად ვაკეთებდი იმას, რაც შემეძლო. ფეხბურთელობის შემდეგ დავაფუძნეთ "ფონდი არველაძე", რომელიც ყოველწლიურად დაახლოებით 200 000 ლარს ხარჯავს და რომელმაც არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელს გაუკვალა გზა. რაც მწვრთნელი გავხდი, ვცდილობ ქართველი ფეხბურთელების თურქეთში ჩამოყვანას. თუ საქართველოში მომიწევს დაბრუნება, მერე ვეცდები იმის გარკვევას, როგორ გავაგრძელო ჩემი საქმიანობა.



შოთა არველაძე

**- ამ ეტაპზე "ქასიმფაშაში" რომელიმე ქართველი ფეხბურთელის მიწვევაზე ხომ არ ფიქრობ?**

- ვფიქრობ, მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია...

**დავით თავართქილაძე**

# ქართული ფეხბურთი

● სიტუაცია

## გაგრა დასაბუთებას ითხოვს

### ჯელაძემ შეურაცხყო მეტოქე, თუ ლაინსმენმა ფეხბურთელი?

6 ნოემბერს ამბროლაურში "რაჭამ" "გაგრას" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. თუმცა, სტუმრებმა შეხვედრა არასრული შემადგენლობით დაასრულეს: 68-ე წუთზე შეხვედრის მთავარმა არბიტრმა **გიორგი კიკაჩეიშვილმა** სტუმართა მცველს **ლაშა კალანდაძეს** მეორე ყვითელი ბარათი აჩვენა და მოედნიდან გააძევა.

სწორედ ამას მოჰყვა ინციდენტი, რომელზეც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო სამსახურმა იმსჯელა. კალანდაძე დისკვალიფიცირებულია 6 მატჩით და დაჯარიმებულია 1 250 ლარით.

დისციპლინარებმა გადაწყვეტილება შემდეგნაირად ახსნეს: მას შემდეგ, რაც მსაჯმა "გაგრას" მცველი მოედნიდან გააძევა, კალანდაძემ მთავარ მსაჯსა და მის ასისტენტ **დავით კურტანიძეს** სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რომელსაც შემდეგ შეაფურთხა კიდევაც.

დაისაჯა "გაგრას" მთავარი მწვრთნელი **ზვიად ჯელაძეც**. კლუბისთვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: *"ჯელაძე დისკვალიფიცირებულია 2 მატჩით და დაჯარიმებულია 200 ლარით იმის გამო, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა"*.

ამის შემდეგ "გაგრას" ხელმძღვანელობამ გააკეთა განცხადება, სადაც კალანდაძის საქციელს არ ამართლებდა, მაგრამ დისციპლინარებს მოსთხოვა დასაბუთება, თუ რატომ დაისაჯა მწვრთნელი. ამავე დროს, ძალიან უცნაური ფაქტი იყო ნახსენები.

*"ფეხბურთელისთვის "შესამკობელი" სიტყვები არც გვერდით მსაჯს, კურტანიძეს დაუკლია. და ეს მოხდა მანამ, სანამ კალანდაძის მხრიდან ამგვარ რეაქციას ექნებოდა ადგილი. კურტანიძემ შეურაცხყოფა „გაგრას" ერთ-ერთ ფეხბურთელს მიაყენა, რის შემდეგაც მოხდა ეს ინციდენტი. თუმცა ვიმეორებთ, კალანდაძეს არ ვამართლებთ - ის დასჯას ნამდვილად იმსახურებდა.*

*და კიდევ ერთი: საოცარია, მაგრამ თავიდან მოგვაწოდეს ინფორმაცია, თითქოს, ზვიად ჯელაძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მსაჯებს მიაყენა. ამის გამო დასჯიდნენ და ჩამოგვართვეს მისი ბარათი. ახლა კი ვიგებთ, თურმე, მას შეურაცხყოფა მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებისთვის მიუყენებია. ჩვენს ვებგვერდზე ამ შეხვედრის სრული ვიდეოჩანაწერია განთავსებული, სადაც, წესით და რიგით, უნდა ჩანდეს, ჯელაძე ვის შეურაცხყოფს, მაგრამ ასეთს ადგილი ნამდვილად არ ჰქონია. პირიქით, ცდილობდა ფეხბურთელები დაეშოშმინებინა და ინციდენტს სხვაგვარი გაგრძელება არ მოჰყოლოდა. ეს საკმაოდ მძიმე ბრალდებაა მწვრთნელის მიმართ, რომელიც თავად იყო ფეხბურთელი. უნდა მოხდეს დასაბუთება, თუ კონკრეტულად რომელ ფეხბურთელს შეაგინა ზვიად ჯელაძემ და თუ კარგად ნახავთ მატჩის ვიდეოჩანაწერს, მიგვაჩნია, მიხვდებით, ვისი მხრიდან მოდიოდა ჩვენი გუნდის მისამართით აგრესია. თუ დავაშავეთ, მზად ვართ პასუხი ვაგოთ, მაგრამ ცალმხრივად, არაობიექტურად შეხვედრის შეფასება ნამდვილად არ შეიძლება. შესაბამისად, არ ვაპირებთ მიღებული გადაწყვეტილება აპელირების გარეშე დავტოვოთ".*



ზვიად ჯელაძე

დისკვალიფიცირებული ზვიად ჯელაძე გუშინდელ შეხვედრაში კონკურენტთან, ლანჩხუთში "გურიასთან" სათადარიგოთა სკამზე ვერ დაჯდა. კლუბში დარდობდნენ, რომ ეს დამატებით პრობლემას შექმნიდა, რადგან დისციპლინარებმა გადაწყვეტილება ინციდენტიდან მხოლოდ 6 დღის შემდეგ, 12 ნოემბერს მიიღეს, ანუ "გურიასთან" შეხვედრამდე ერთი დღით ადრე და გასაჩივრების დრო არ დარჩათ.

აქვე ვიტყვით, რომ "გაგრამ" ჩემპიონატი კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლო ტურებში სვლა შეანელა. მიზეზი წამყვანი მოთამაშეების ტრავმებია: კლუბის სამედიცინო შტაბის დიდი მცდელობის მიუხედავად, "გურიასთან" პრინციპულ შეხვედრაში გუნდს ოთხი წამყვანი ფეხბურთელი ვერ დაეხმარა – მეკარე **გიორგი ბეგაშვილი** და ნახევარმცველები, **ნიკა ჭკუასელი** და **ბენჟამინ ტეიდი**. "რაჭასთან" გაძევებული ლაშა კალანდაძის ამბავი უკვე გითხარით. ამას გარდა, მიკროტრავმები აწუხებთ **გუგა ფალავანდიშვილსა** და **ლევან სეთურიძეს**.

თუმცა, დისკვალიფიკაცია მოიხადა და გუნდს დაუბრუნდა **თამაზ ჟიშკარიანი**. "რაჭასთან" ბოლო 15 წუთი ითამაშა ნიგერიელმა **უმარ მაგაჯიმ** და კლუბში იმედოვნებენ, რომ ფორმას მალე აღიდგენს. ორმაგი მოქალაქეობის (ხორვატიისა და იტალიის) მქონე **რენცო რადინასაც** ვერ იყენებდნენ. 19 წლის ცენტრალური მცველი, ბელგრადის "პარტიზანში" ნათამაშები რადინა გუნდს ოქტომბერში შეუერთდა და როგორც ამბობენ, ადაპტაციას გადიოდა – გუშინ კი რადინამ "გურიასთან" მატჩი ძირითად შემადგენლობაში ითამაშა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

## ალავერდაშვილის ხუთი ვარიანტი

ლიტვის ჩემპიონატი დასრულდა. A ლიგაში გამოსვლა მე-6 ადგილზე დაასრულა "ბანგამ", რომელსაც ყურადღება ქართველი ფეხბურთელების სიმრავლის გამო მივაქციეთ - გუნდში 4 ქართველი ირიცხება.

36 შეხვედრაში "ბანგამ" 43 გოლი გაიტანა, საიდანაც ლამის ნახევარი, 18 გოლი ქართველების ანგარიშზეა: 26 წლის ცენტრალურმა მცველმა **ნიკა მგელაძემ** 36 მატჩიდან 31 ითამაშა, ყველა ძირითადში და მხოლოდ ერთხელ შეცვალეს. მან მეტოქეთა კარი 2-ჯერ აიღო. მცველია 19 წლის **გია გიორგაძეც**, რომელიც ლიტვურ კლუბში სეზონის მიწურულს ბოლოს ჩაირიცხა და ერთხელაც არ უთამაშია.

21 წლის თავდამსხმელმა **გიორგი ნიქაბაძემ** 24 მატჩი ჩაატარა, 11 ძირითადში, 13 შეცვლაზე და 5-ჯერ გაიტანა. შთამბეჭდავია **გიორგი ალავერდაშვილის** სტატისტიკური მაჩვენებელი: 24 წლის თავდასხმელი "ბანგას" განაცხადში 31 აგვისტოს შეიყვანეს და 1-ელი სექტემბრიდან 11 ნოემბრამდე გამართულ 15 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა, ანუ საშუალოდ 0,73 გოლი მატჩში, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. ბომბარდირი კი "შიაულიაის" თავდამსხმელი **არტურას რიმკევიჩუსი** გასაოცარი შედეგით გახდა – 29 შეხვედრაში 35 გოლი!

ალავერდაშვილმა ბოლო ტურში ჩემპიონატის ბომბარდირის გუნდთან, "შიაულიაისთანაც" (2:1) გამოიჩინა თავი: 87-ე წუთზე ანგარიში 1:1 იყო, როდესაც გიორგიმ გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

*"სეზონი გუშინ მორჩა, რომელიც ჩემთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა და სიახლეებს ველოდები. წინასწარ არ მინდა ვილაპარაკო, მაგრამ ჩემს ტრანსფერზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს და წესით, საკითხი 2 კვირაში უნდა გადაწყდეს. თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, საშუალო დონის რომელიმე ევროპულ ლიგაში გადავალ. ვარიანტები არის პოლონეთში, გერმანიაში, უკრაინაში, საბერძნეთში, რუმინეთში და ა.შ. - ყველგან საკმაოდ საინტერესო გუნდებზეა ლაპარაკი. მთავარია, რომ კონტრაქტი დამიმთავრდა და თავისუფალი აგენტი ვარ, რაც ტრანსფერს გამიადვილებს.*

*სიმართლე გითხრათ, ვერც წარმოვიდგენდი, ლიტვაში ჩემი თამაში მსგავს რეზონანსს თუ გამოიწვევდა. ცხადია, ისეთი დონე არ არის, როგორიც საშუალო ევროპულ ჩემპიონატებში. მაგრამ შეხვედრებს ევროპული კლუბების წარმომადგენლები და სელექციონერები ესწრებიან, გვაკვირდებიან და ინტერესდებიან. სამწუხაროდ, მხოლოდ ნახევარი სეზონი ვითამაშე და თამაშების სიმცირის გამო, ბომბარდირთა სამეულშიც ვერ მოვხვდი.*

*მაგრამ ლიტვაში ვიგრძენი, რომ მომატება და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა შემიძლია. იმედია, ახლა ყველაფერი კარგად ამეწყობა. ფაქტია, დაინტერესება არის და შანსი უნდა გამოვიყენო. არ გამოვრიცხავ, ლიტვის რომელიმე წამყვან გუნდში გადავიდე ან "ბანგაში" კიდევ ერთი სეზონი დავრჩე, რადგან შემდეგ სეზონში ჩემპიონობისთვის ბრძოლას იმედოვნებენ. ახლა სატრანსფერო ფანჯრის გახსნას ველოდები და ყველაფერი გაირკვევა"* – გვითხრა ალავერდაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

● გახსენება

## ნიაზ ძიაფშიპა

დღეს 85 წელი შეუსრულდებოდა თბილისის „დინამოს" სახელგანთქმულ ფეხბურთელს, მწვრთნელს, აფხაზი და ქართველი ხალხების ღირსეულ შვილს **ნიაზ ძიაფშიპას.**

ნიაზ ძიაფშიპა დაიბადა 1927 წლის 14 ნოემბერს ქ. ოჩამჩირეში, გარდაიცვალა 1993 წლის 5 იანვარს ქ. თბილისში.

ცენტრალური მცველი, სპორტის დამსახურებული ოსტატი (1952), საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი (1976), თამაში დაიწყო 1943 წელს ქ. ოჩამჩირეში ჭაბუკთა გუნდ „დინამოში" (1946-58). სსრკ ჩემპიონატების უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 178 მატჩი, გაიტანა 2 გოლი. სსრკ ჩემპიონატის მეორე (1951) და მესამე (1947, 1950) პრიზიორი. სსრკ ხალხთა სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1956), სსრკ 33 საუკეთესოს შორის შეყვანილი იყო ერთხელ (1948). მუშაობდა თბილისის „დინამოში" მწვრთნელად (1969-70), გუნდის უფროსად (1976-77), სოხუმის „რინაში" (1961) და სოხუმის „დინამოს" (1962, 1979-84) მთავარ მწვრთნელად. თბილისის ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში მწვრთნელად და მთავარ მწვრთნელად (1958-60), თბილისის „შრომითი რეზერვების" საფეხბურთო სკოლაში (1963-65) მთავარ მწვრთნელად, თბილისის სპორტინტერნატში (1966-68) მთავარ მწვრთნელად, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მწვრთნელად (1971-75), სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელად (1978). დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით" (1957), მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები 1958 წელს გახდა საკავშირო მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი.

ბატონი ნიაზი იყო შესანიშნავი პიროვნული თვისებების მატარებელი, გულისხმიერი აღმზრდელი, წარმატებული მწვრთნელი და ფეხბურთის დიდი ორგანიზატორი.



დღეს გულისტკივილით ვიგონებთ ამ ბრწყინვალე პიროვნებას და პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას.

**აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია**
**აფხაზეთის ფეხბურთის ვეტერანთა კავშირი** ®

● საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა



შალვა კაკაბაძე (ცენტრში) ამჯერად „გურიას" „წინააღმდეგ"

## ჯერემ ვერ მოუგო და ჯერემიამ ვერ მოაგებინა

### წაუგებელი სერიის გაგრ(ძელებ)ა: კერკეტი კაკალი გურულებისთვის

13.11. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე
700 მაყურებელი

**გურია 0**
**გაგრა 0**

| გურია 4-4-1-1 | გაგრა 4-1-3-1-1 |
| --- | --- |
| ძაძამია | ადამია |
| მაჩაიძე | ხურციძე |
| ვართაგავა | პაჭკორია |
| მაისაშვილი | ნადირაძე |
| ჩუენსუ | ჯგერენაია |
| ა. შენგელია | რადინა |
| ჭეიშვილი | ჟიშკარიანი |
| გოგოზერიშვილი | ფალავანდიშვილი |
| ტ. კუკულაძე | ივანიშვილი |
| თოდუა | ჯერემია |
| კვერენჩხილაძე | ვოლკოვი |
| მწვრთნელი თ. ლორია | მწვრთნელი თ. სიჭინავა |

**გურია**

59. შენგელია - **ზ. კვარაცხელია**
80. ჭეიშვილი - **იაშვილი**
89. თოდუა - **რაფავა**

*სათადარიგოები: იმერლიშვილი, ლალაძე, შეწირული, გოგიბერიძე*

**გაგრა**

46. რადინა - **ხოჯაშვილი**
57. ჟიშკარიანი - **ერისთავი**
75. ჯერემია - **მაგაჯი**

*სათადარიგოები: სანიკიძე, ალავიძე, ლ. სეთურიძე, ჩიფჩიური*

გაფრთხილება: **ვოლკოვი (44), ხოჯაშვილი (73), პაჭკორია (82)**

არბიტრი: **გ. დოგრაშვილი**

მართლაც კერკეტ კაკლად იქცა „გაგრა" გურულებისთვის — ამ წელიწადში ეს გუნდები 4-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და „გურიამ" ერთხელაც ვერ მოიგო. არადა ამის შანსი ნამდვილად ჰქონდა — გასული სეზონის პლეი-აუტის ლანჩხუთურ მატჩში გაგრელებმა ორბურთიანი ფორა ამოუქაჩეს, ხოლო თბილისურ შეხვედრაში თითქმის შანსებდაკარგულებმა ბოლოსკენ გაუქვითეს, რითაც, როგორც შემდეგ გაირკვა, გურულთა პირველ ლიგაში ჩატოვებაში დიდი წვლილი შეიტანეს: იმ მატჩის მოგების შემთხვევაში, „გურია" უმაღლესი ლიგის საგზურს აუცილებლად მოიპოვებდა.

ამჯერად, პირველი ლიგის ერთ ზონაში მოხვედრილები ელიტლიგაში გადასვლის მთავარი ფავორიტები არიან, თუმცა მათგან მხოლოდ ერთი ინაღდებს საგზურს და ამის გათვალისწინებით, „ევგრაფი შევარდნაძეზე" არათუ ტურის, მთლიანად წრის ცენტრალური მატჩი გაიმართა. დამატებით ინტრიგას კი შეხვედრას ისიც მატებდა, რომ პირველ მატჩში „გაგრამ" ბოლო წამებზე გატანილი გოლით მოუგო თავის კონკურენტს.

ამჯერადაც შეეძლოთ გაგრელებს ბოლო წუთებზე გატანილი გოლით მოგება, მაგრამ შეცვლაზე შესულმა **უმარი მაგაჯიმ** იმ დროს ააცილა თითქმის ცარიელ კარს, როცა გურული მცველები კონტრშეტევას ვერ გაუმკლავდნენ და სტუმართა ლეგიონერს ჩინებული შანსი დაუტოვეს.

ამის შემდეგაც მიეცათ გურულებს მოგების შანსი, როცა მსაჯის მიერ დამატებულ დროში მეტად სახიფათო ფლანგურ ჩაწოდებას **ალექსანდრე ადამიას** ბაქანში გურულთაგან არავინ გამოეხმაურა.

თუმცა, ეს არაფერი იყო იმ გაცუდებულ ეპიზოდებთან, რომლებიც „გაგრას" საჯარიმოში მასპინძლებმა მანამდე შექმნეს: მათგან საუკეთესო შანსები გუნდის მთავარ მეგოლეებს, **გიგა კვერენჩხილაძესა** და **გია თოდუას**, ასევე შეცვლაზე შესულ **ზვიად კვარაცხელიას** მიეცათ — ერთხელ „გაგრა" ძელმა გადაარჩინა, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში ფორვარდებმა ისეთი საგოლე მომენტები გააცუდეს, 100%-იანი რომ ჰქვია.

ამას გარდა იმავე კვერენჩხილაძეს პირველ ტაიმში ოთხი შანსი მიეცა — პირველად **ადამიამ** მახვილი კუთხიდან აული, მალევე მეკარეც უძლური იქნებოდა, მაგრამ ჩინებული თავური გასროლა კარს გადასცდა, მესამედ **გიგა** პირისპირ გადიოდა, როცა ლაინსმენმა მასპინძელთა შეფასებით, საეჭვო თამაშგარე დააფიქსირა, ხოლო ბოლოს უკვე **თოდუას** პასის დროს მცველებმა ზუსტად დარტყმის შანსი ბოლო წამს ჩაუშალეს.

მართალია, სახიფათო მომენტებს უმეტესად ლანჩხუთელები ქმნიდნენ, მაგრამ სტუმრებიც მწვავედ იჩხვლიტებოდნენ და უკვე ნახსენები ეპიზოდის გარდა, 84-ე წუთზე, **ნუგზარ ხოჯაშვილის** ჩაწოდებულზე **გუგა ფალავანდიშვილმა მაგაჯიზე** არანაკლები ეპიზოდი გაანიავა, ხოლო მატჩის დაწყებისთანავე, გურულთა დაცვას მთელი მატჩის მანძილზე მეტად აქტიური **ჯონ ჯერემია** გაეპარა — **გიორგი ძაძამიამ** გადაარჩინა გურულები, ხოლო მეკარის გამოგდებულ ბურთზე **დავით ვოლკოვმა** იჩქარა და კარს ააცილა.

მანვე ერთხელ კარისკენ რიკოშეტით ნასული და წინდავარდნილი ბურთიც მოიგერია, თუმცა უფრო მეტი საქმე, მიხვდებოდით, **ადამიას** ჰქონდა — ჭაბუკთა ნაკრების მეკარემაც გამოცდილი კოლეგის მსგავსად უშეცდომოდ ჩაატარა შეხვედრა.

თითოჯერ გუნდები თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ, სტუმრები მიიჩნევდნენ, რომ **დავით მაისაშვილმა** დაარღვია წესები, ხოლო გურულები ხელით თამაშზე აპელირებდნენ, თუმცა **გიორგი დოგრაშვილმა** ყური არც ერთის პროტესტს არ უგდო.

საბოლოოდ, ფრე 0:0 და როგორც გურულები იტყვიან, ჯერემ (აქამდე) ვერ მოუგო „გურიამ" „გაგრას", მაგრამ მთავარ კონკურენტთან ოთხქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნა.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

**XIII ტური**

| | |
| --- | --- |
| რაჭა – სულორი | 4:0 |
| დინამო 2 – იმერეთი | 2:2 |
| ბეთლემი – ჭიათურა | 2:0 |
| სძური – სტუ | 4:3 |
| სასკო – მეშახტე | 7:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1. გურია | 13 | 10 | 2 | 1 | 33-10 | 32 |
| 2. სასკო | 13 | 10 | 0 | 3 | 43-16 | 30 |
| 3. გაგრა | 13 | 9 | 1 | 3 | 26-9 | 28 |
| 4. დინამო 2 | 13 | 8 | 3 | 2 | 51-20 | 27 |
| 5. ბეთლემი | 13 | 6 | 1 | 6 | 18-26 | 19 |
| 6. სტუ | 13 | 6 | 0 | 7 | 29-36 | 18 |
| 7. იმერეთი | 13 | 5 | 2 | 6 | 14-18 | 17 |
| 8. სძური | 13 | 4 | 4 | 5 | 14-20 | 16 |
| 9. ჭიათურა | 13 | 4 | 2 | 7 | 14-23 | 14 |
| 10. მეშახტე | 13 | 3 | 2 | 8 | 13-40 | 11 |
| 11. სულორი | 13 | 2 | 1 | 10 | 10-31 | 7 |
| 12. რაჭა | 13 | 1 | 2 | 10 | 14-30 | 5 |

ინგლისის ნაკრები

# გზა დიდ იუბილემდე

**ინგლისის ნაკრების კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა შვედეთთან ჩასატარებელი მე-100 სანაკრებო მატჩის წინ "სამი ლომის" ლეგენდარული ფეხბურთელ ბობი მურს მიჰბაძა და მშობლიური სკოლის მოსწავლეებს პირადად შეხვდა. მასალა 32 წლის ფეხბურთელის ვიზიტზე, "დეილი მეილის" ჟურნალისტმა დომინიკ კინგმა მოამზადა.**



სტივენ ჯერარდი დღეს ნაკრებში მეასე თამაშს ჩაატარებს

"ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ლეგენდარული ნახევარმცველი **სტივენ ჯერარდი** კარიერის გამორჩეული მოვლენის აღსანიშნავად ემზადება. მან მოიხედა რა უკან, გადაწყვიტა, გაეხსენებინა ის, თუ საიდან დაიწყო ყველაფერი. ალბათ სწორედ ამიტომ იყო, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ერთგული ფეხბურთელი იმ სკოლას ესტუმრა, სადაც სწავლობდა. სხვათა შორის, კოლექტიურ ფოტოს **ბობი მურის** ანალოგიური სურათის გამეორება შეიძლება ვუწოდოთ, სადაც ის 99 მოსწავლესთან ერთად არის გადაღებული. ყველაზე უცნაური ის არის, რომ ზოგმა ბავშვმა ჯერარდი უბრალოდ ვერ იცნო, ზოგს წარმოდგენაც არ ჰქონდა, ვინ იყო ის, თუმცა იყვნენ ისეთი ბავშვებიც, რომლებიც "ლივერპულის" სიმღერებს ასრულებდნენ. *"მოხარული ვარ, რომ იმ სკოლაში დავბრუნდი, სადაც პირველად 4 წლისა მივედი. აქ უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში არ ვყოფილვარ და მშვენიერია, რომ ამის საშუალება კიდევ ერთხელ მომეცა. ეს ის ადგილია, სადაც ბურთს პირველად დავარტყი ფეხი. მაშინ ალბათ ძნელად წარმოიდგენდნენ ჩემი ახლობლები, რომ ოდესმე ეს მოხდებოდა, მაგრამ ახლა, როცა მეასე სანაკრებო თამაშისთვის ვემზადები, არ მქონდა უფლება, არ გამეხსენებინა, თუ როგორ იწყებოდა ყველაფერი. როცა პირველად ვნახე სერ ბობი მურის ფოტო და გავიგე, რატომ იყო ის გადაღებული, ჩავიფიქრე, რომ მეც ასე უნდა მოვქცეულიყავი. და აი, ოცნება ამიხდა,"* – განუცხადა ფეხბურთელმა ჟურნალისტს.

## ახალწვეული და კრიტიკა

**როი ჰოჯსონის** მიერ "კრისტალ პალასის" 20 წლის თავდამსხმელის **ვილფრიდ ზაჰას** ინგლისის ნაკრებში მიწვევა ცოტა მოულოდნელი იყო. მართალია, ფეხმარდი განაპირა თავდამსხმელის შეძენით რამდენიმე გრანდი უკვე დაინტერესდა, მაგრამ რამდენად იმსახურებს ამ პატივს შემტევი, მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. საფეხბურთო საზოგადოებამ ფაქტი არაერთგვაროვნად მიიღო. როგორც ჩანს, ფეხბურთელს პრესაში ატეხილმა კამპანიამ თავბრუ დაახვია და ნაკრებში გამგზავრების წინ განაცხადა: *"როცა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების თამაშს ვუყურებ, სულაც არ მიმაჩნია, რომ რომელიმე მათგანი ჩემზე ძლიერია. ცხადია, რონალდოსა და მესის არ ვგულისხმობ"*. გეტყვით, რომ მიმდინარე სეზონში ახალგაზრდა ფეხბურთელის ანგარიშზე ყველა ტურნირში ერთად 19 თამაშში 4 გოლი და 6 საგოლე გადაცემაა.

ზემოთაც გითხარით, რომ ზაჰას ნაკრებში გამოძახება ყველას დადებითად არ შეუფასებია. ხანდახან ყველაზე გულწრფელად სიმართლეს "ცნობილი ცუდი ბიჭები" ამბობენ ხოლმე. ინგლისურ ფეხბურთს კი ასეთი ყიამყრალი კაცები არასდროს აკლდა. ასეთია მაგალითად "ქუინზ პარკის" ყოფილი კაპიტანი **ჯოი ბარტონი**, ვინც ამჟამად "მარსელში" თამაშობს. აი, რა დაწერა მან საკუთარ ტვიტერზე: *"ნამდვილად არ განვეკუთვნები ბოლო პერიოდის მოდური ტენდენციის მომხრეებს და არ მიმაჩნია მართებულად ნაკრებში ფეხბურთელი მხოლოდ იმიტომ მიიწვიო, რომ შემდგომ მან სხვა ქვეყნის სამსახურში ველარ მოახერხოს ჩადგომა. ვგულისხმობ არა რაჰემ სტერლინგს, არამედ ვილფრიდ ზაჰას. მას ჯერ პრემიერლიგაში თამაშის გამოცდილებაც კი არ აქვს და როდის დაიმსახურა ინგლისის ნაკრებში მიწვევა? ეს მაშინ, როცა კევინ ნოლანს გოლი გოლზე გააქვს. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება ჭკუიდან მშლის"*.

ჩელსი

# კაპიტნის თვე-ნახევარი

"ჩელსის" კაპიტანმა, 31 წლის **ჯონ ტერიმ** "ლივერპულთან" მატჩის პირველ ტაიმში **ლუის სუარესთან** შეჯახებისას სერიოზული ტრავმა მიიღო. შიშობდნენ, რომ ვეტერანს მუხლის ჯვარედინი მყესები ჰქონდა გაწყვეტილი. ასეთ შემთხვევაში მას სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწევდა, მაგრამ ყველაზე უარესის მოლოდინი არ გამართლდა. მართალია, მყესები დაზიანებულია, მაგრამ არა იმდენად, რომ სერიოზულ საფრთხეზე ვილაპარაკოთ. ყველაზე პესიმისტური პროგნოზით ტერი ვარჯიშს ერთ თვეში შეუდგება. უკეთეს შემთხვევაში კი მინდორს 2-3 კვირაში დაუბრუნდება. *"საბედნიეროდ, მარჯვენა მუხლის მაგნიტო-რეზონანსულმა ტომოგრაფიამ საგანგაშო დაზიანების კვალი ვერ აღმოაჩინა. 2-3 დღეში, როცა ჰემატომა საბოლოოდ გაინოვება, კიდევ ერთ შემოწმებას ჩავატარებთ და საბოლოო დასკვნას მხოლოდ ამის მერე დავდებთ. ახლა კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ აღდგენითი პროცესი რამდენიმე კვირას დაიკავებს და არა რამდენიმე თვეს, როგორც ამას თავიდან ვვარაუდობდით,"* – განაცხადა "ჩელსის" სამედიცინო ჯგუფის ხელმძღვანელმა **პაკო ბიოსკამ**.

## სატრანსფერო ამბები

Goal.com-ის ინფორმაციით, მოლაპარაკებები "ჩელსისა" და "ატლეტიკოს" შორის კოლუმბიელი თავდამსხმელის, 26 წლის **რადამელ ფალკაოს** თაობაზე უკვე დაიწყო. ვებგვერდის მტკიცებით, ინიციატივა უშუალოდ **რომან აბრამოვიჩს** ეკუთვნის. როგორც ირკვევა, ბოსი თანახმაა, ფეხბურთელის შესაძენად მისი კონტრაქტით გათვალისწინებული 60 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ სურს, რომ იქამდე ლონდონელებმა "როხიბლანკოს" რაც შეიძლება მეტი დააკლებინონ. თავად ფალკაო იმედიანად არის განწყობილი და მიაჩნია, რომ უკვე იანვარში შეძლებს პრემიერლიგაში სათამაშოდ გადასვლას.

გარდა სავარაუდო შენაძენებისა, ლონდონელებს იანვარში "ზედმეტი" ფეხბურთელების თავიდან მოშორებაც აქვთ განზრახული. ერთ-ერთი, ვინც მწვრთნელების იმედები ვერ გაამართლა, 21 წლის ექსბარსელონელი **ორიოლ რომეუა**. პერსპექტიული საყრდენი ნახევარმცველის გადაბირებას ლა ლიგის რამდენიმე წარმომადგენელი გეგმავს, მათ შორის "სევილია" და "ვალენსიაც" სახელდებიან. ესპანელს კიდევ ერთი მომხიბლავი ვარიანტი აქვს, მაგრამ არა სამშობლოდან, მას "ეინდჰოვენი" სთავაზობს 6-თვიან საიჯარო ხელშეკრულებას. რომეუს სამსახური ერედივიზიეს ლიდერს თავად "ლურჯებმა" შესთავაზეს.



ჯონ ტერი უარეს შემთხვევაში თვე-ნახევრით დაისვენებს

ამბები



## აგერის აღიარება

"ლივერპულისა" და დანიის ნაკრების 27 წლის მცველი **დანიელ აგერი** საფეხბურთო კავშირმა დანიის 2012 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. დაჯილდოება ორშაბათს კოპენჰაგენში შედგა. გამარჯვებულმა პრიზი შარშანდელი მფლობელის, აიაქსელი **კრისტიან ერიკსენისგან** მიიღო. აგერის გარდა საპატიო ჯილდოსთვის იბრძოდნენ **ნიკლას ბენდტნერი** (იუვენტუსი), **ნიკი ზიმლინგი** (ბრიუგე) და **ვილიამ კვისტი** (შტუტგარტი). *"ამ ჯილდოთი ძალიან ვამაყობ. მიხარია, რომ ჩემმა შრომამ უქმად არ ჩაიარა. ფეხბურთს ბავშვობიდან ვთამაშობ, ამიტომ კოლეგებს შორის საუკეთესოს სახელის მოპოვება ყველაზე მაგარი იყო, რაც კი შეიძლებოდა ჩემს თავს მომხდარიყო. გულწრფელი თუ ვიქნები, რაკი წლის განმავლობაში რამდენიმე ტრავმა მივიღე, პრიზის მიღების იმედი ნამდვილად არ მქონდა,"* – აცხადებს ფეხბურთელი.

სწორედ გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ საზარდულის ტრავმის გამო დანიელს თურქეთთან ამხანაგური მატჩი გაუცდებოდა. უკვე გაირკვა, რომ ის მარტო სანაკრებოს კი არა, ის "ლივერპულის" უახლოეს პრემიერლიგურ შეხვედრებსაც დააკლდება "უიგანისა" (17 ნოემბერი) და "სუონსის" (25 ნოემბერი) წინააღმდეგ.

## გაურკვევლობა კონტრაქტის გამო

"მანჩესტერ იუნაიტედის" 33 წლის მცველმა **რიო ფერდინანდმა** ჯერ თავადაც არ იცის, გააფორმებს თუ არა ახალ ხელშეკრულებას "ეშმაკებთან". მეტიც, ის ამ თემაზე გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ შობის შემდეგ აპირებს. მოქმედი კონტრაქტი მხარეთა შორის 2013 წლის 30 ივნისს იწურება. სერ **ალექს ფერგიუსონის** თქმით, ის მხოლოდ მოხარული იქნება, თუკი რიო "ოლდ ტრეფორდზე" დარჩება. *"როცა გუნდის მენეჯერი შენზე ასეთ რამეს ამბობს, ბუნებრივია, ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ საკითხის გადაწყვეტისას ყველაფრის გათვალისწინება აუცილებელია, რაც ბოლო თვეების განმავლობაში ხდება. ჩემი აზრით, საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუკი საკითხს შობის დღესასწაულის შემდეგ მივუბრუნდებით,"* – ამბობს ფერდინანდი.




ფილ ჯონსი

## ჯონსი უკვე ვარჯიშობს

BBC-ის ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედის" 20 წლის უნივერსალი მცველი **ფილ ჯონსი** უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და დიდი შანსია, **ალექს ფერგიუსონმა** ის მომდევნო უქმეებზე "ნორვიჩთან" გასვლით შეხვედრაში ძირითადში გაამწესოს. გეტყვით, რომ ჯანმრთელობის პრობლემების გამო ახალგაზრდა, უკანასკნელი წელს ერთხელაც არ ყოფილა გუნდის განაცხადში.

## პარკი კიდევ ერთი კვირით

ბოლო პერიოდში "ქუინზ პარკის" სათამაშო კრიზისს სერიოზული საკადრო პრობლემებიც თან დაერთო. ჯერ კიდევ აგვისტოში **ენდი ჯონსონის** უმძიმეს ტრავმას მალე სხვებიც მიჰყვნენ. უკვე სამ კვირაზე მეტია, ნატკენ მუხლს მკურნალობს ლონდონელთა 31 წლის სამხრეთკორეელი ნახევარმცველი **ჟი სუნ პარკი**. *"პარკს სერიოზული პრობლემა ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძირითადი საშიშროება უკვე ჩავლილია. ვარჯიშს უახლოეს რამდენიმე დღეში შეუდგება. თითქმის გამოვრიცხავ, რომ ეს უქმეებამდე მოხდეს, მაგრამ მომდევნო ტურისთვის ნამდვილად მწყობრში უნდა იყოს. პარკის გარდა, წესით, მალე უნდა დაგვიბრუნდეს კირონ დაიერიც,"* – აცხადებს "რეინჯერების" მთავარი მწვრთნელი **მარკ ჰიუზი**.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

● პსჟ



# პარიზში ზორრო გამოჩნდა

„პარი სენ ჟერმენის" ბრაზილიელ ნახევარმცველ **ნენეს**, თანაგუნდელებმა ახალი მეტსახელი მოუგონეს. 31 წლის ფეხბურთელმა, წინა თვეში „რეიმსთან" თამაშის დროს ყვრიმალის ძვალი გაიტეხა და გუნდს ამის გამო ვერ ეხმარება. პსჟ-ს შემტევი თანამემამულე **დიეგოს** შეეჯახა, შედეგად ოპერაციის გადატანა მოუწია და ახლა რეაბილიტაციას გადის.

მოედანზე დაბრუნებულმა ფეხბურთელმა დამცავი ნიღაბი უნდა ატაროს და სწორედ ის გახდა მისი ახალი მეტსახელის მიზეზი. თავად ნენეს მოვუსმინოთ: *„იმისთვის, რომ ნიღაბი ზუსტად მომრგებოდა, იტალიაში სამი დღე გავატარე. ძალიან მსუბუქია და საერთოდ არ მაწუხებს, შესაბამისად თამაშის დროსაც ხელს არ შემიშლის. თანაგუნდელების დაცინვას მაინც ვერ გადავურჩი, ნიღბის უცნაური ფორმის გამო, ბიჭებმა ზორრო შემარქვეს"*.

ბრაზილიელი იმედოვნებს, რომ მოედანს მალე დაუბრუნდება და მისი მდგომარეობა დახმარებასაც გაუწევს: *„იქნებ ჩემმა ნიღაბმა მეტოქის მცველები დააბნიოს და გოლების გატანა გამიადვილდეს, თანაც ამ შემთხვევაში გოლის ახლებურად აღნიშვნაც შემეძლება"* – იხუმრა ნენემ.

მართალია, მას არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ეჭვი გვაქვს, რომ გოლის ახლებური აღნიშვნა, კავშირში მის ახალ მეტსახელთან უნდა იყოს. ვნახოთ, იმედია, ამაში დარწმუნების საშუალება მოგვეცემა.

● ბრაზილია

# პალმეირასის ქომაგებმა საკლუბო მაღაზია დაარბიეს

„ფლუმინენსესთან" ბოლო ტურის მატჩის შემდეგ, რომელიც „პალმეირასმა" 2:3 წააგო, კლუბის გულშემატკივრებმა საკლუბო მაღაზია დაარბიეს და ცეცხლი წაუკიდეს. „მწვანეები" ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან და გავარდნის საფრთხე რეალურად ემუქრებათ. **ჟილსონ კლეინას** გუნდი მე-18 ადგილზეა და გადამრჩენელ, მე-16 ადგილზე მყოფ სალვადორის „ბაიას" 7 ქულით ჩამორჩება, სეზონის დასრულებამდე კი მხოლოდ 3 ტურია დარჩენილი.

სან პაულოს კლუბის ქომაგებმა საკლუბო მაღაზიის კედლებზე შემდეგ წარწერა დატოვეს: *„მშვიდობის ხანა დასრულდა"*. გულშემატკივრების ასეთმა ქმედებამ, გუნდის სპორტული დირექტორი, **რობერტო ფრიცო** აღაშფოთა: *„ეს მიუღებელია. იმედია, ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევაა და ქომაგების საერთო დამოკიდებულებას არ გამოხატავს. გადარჩენის შანსი მცირეა, მაგრამ ჯერ კიდევ არის და ჩვენ ბოლო წამამდე ვიბრძოლებთ"*.

„პალმეირასის" პრეზიდენტმა, **არნალდო ტირონემ**, შექმნილ მდგომარეობაში მხოლოდ საკუთარი თავი დაადანაშაულა: *„მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ თუ არა, არ ვიცი, ფაქტია, რომ მოტივაცია თითქმის არ შემრჩა. იმედგაცრუებული ვარ და ვნანობ იმას, რომ გაცილებით მეტის გაკეთება შემეძლო, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე. კლუბის ასეთი მდგომარეობა ჩემი ბრალი თუ არის? რა თქმა უნდათ ჩემი ბრალია, პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებ"*.

„პალმეირასი" დარჩენილ სამ ტურში „ფლამენგოს", „ატლეტიკო გოიანიენსეს" და „სანტოსს" ხვდება.

● ფეხბურთის მეფე



# პელე საავადმყოფოში მოხვდა

ბრაზილიური და მსოფლიოს ფეხბურთის ლეგენდა, 72 წლის **პელე** სან პაულოს **ალბერტ აინშტაინის** სახელობის საავადმყოფოში მოხვდა. „ფეხბურთის მეფის" ჰოსპიტალიზაციის მიზეზი უცნობია. საავადმყოფოს პრესატაშემ შემდეგ განცხადება გააკეთა: *„პელე ნამდვილად ჩვენს საავადმყოფოშია, მაგრამ ოჯახის თხოვნით მეტ ინფორმაციას ვერ გაგანდობთ"*.

როგორც ბრაზილიური გაზეთის, „Folha De Sao Paulo"-ისთვის გახდა ცნობილი, ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს ბარძაყზე გაუკეთეს ოპერაცია. რა შეხსენება გჭირდებათ, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ პელე მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონია (1958, 1962 და 1970 წლებში) და არაოფიციალური მონაცემებით, კარიერის განმავლობაში 1281 გოლი აქვს გატანილი.

● ამბები

## ლეანდრო დამიაო რეალში თამაშზე ოცნებობს



„ინტერნასიონალის" და ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი **ლეანდრო დამიაო**, სერია A-ს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია და მას [illegible]ლიან დიდი მოთხოვნაა. ყველაზე მეტად, პრესის ცნობით, „ტოტენჰემია" დაინტერესებული, თუმცა 23 წლის ფეხბურთელი „ინტერნასიონალიდან" წასვლას ჯერ არ აპირებს.

*„მადრიდის „რეალში" თამაშზე ყველა ფეხბურთელი ოცნებობს და გამონაკლისი არც მე ვარ, თუმცა ჯერ არსად მივდივარ, რადგან აქ ყველაფერი მომწონს. „ინტერნასიონალთან" კონტრაქტი მაკავშირებს და მის შესრულებას ბოლომდე ვაპირებ. პორტუ ალეგრი შესანიშნავი ქალაქია და მე აქ ძალიან ბედნიერი ვარ. რა თქმა უნდა, ერთხელაც მომიწევს ბრაზილიიდან წასვლა, მაგრამ ეს უახლოეს მომავალში არ მოხდება"* – განაცხადა დამიაომ.

მიუხედავად მისი ასეთი პოზიციისა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „ინტერს" იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას, გუნდის ერთ-ერთი ლიდერის შენარჩუნება უკიდურესად გაუჭირდება.

## დიდიე ოვონო სოშოში ისინჯება



თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე, გაბონელი **დიდიე ოვონომ**, რომელმაც ამ სეზონის დაწყების წინ „ლე მანი" დატოვა და მას შემდეგ უკლუბოდ არის, ლიგა 1-ის ერთ-ერთ აუტსაიდერ „სოშოს" მიაკითხა და ამ გუნდში სინჯებს გაივლის. ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, მონბელიარელები კონტრაქტის გასაფორმებლად მზად არიან.

## მვილა აპელაციის შეტანას აპირებს

საფრანგეთის ნაკრებიდან 20 თვით მოკვეთის შემდეგ, **იან მვილა** არ ნებდება და ამ გადაწყვეტილების გაპროტესტებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ მვილა და საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების კიდევ 4 წევრი, უდისციპლინობაში დაადანაშაულეს და მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებს ლმობიერი სასჯელის მოლოდინი ჰქონდათ, უმკაცრესად დასაჯეს.



22 წლის ფეხბურთელს მხარს თავისი კლუბი „რენიც" უჭერს. აი რა განაცხადა „რენის" პრეზიდენტმა, **ფრედერიკ დე სენ-სერნენმა**: *„განაჩენი ძალიან მკაცრი და არაადეკვატურია. ის ავნებს, როგორც მვილას, ვინც მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს, ასევე საფრანგეთის ნაკრებსაც, რადგან იანი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და ეროვნულ გუნდს უთუოდ გამოადგება"*.

მვილას დისკვალიფიკაციაზე კომენტარი **დიდიე დეშამმა** და ეროვნულ გუნდში დაბრუნებულმა **დმიტრი პაიემაც** გააკეთეს, უფრო სწორად, პრაქტიკულად არც გააკეთეს. დეშამი: *„ეს გადაწყვეტილება სადისციპლინო კომიტეტმა მიიღო და მე ვერაფერს შევცვლი. იანს აპელაციის უფლება აქვს და მგონი სარგებლობას აპირებს, მანამ კი ყველაფერი ისე უნდა მივიღოთ, როგორც არის"*.

დმიტრი პაიე: *„მე ნაკრებში მსგავს საკითხებზე კომენტარის გასაკეთებლად არ გამოვუძახებივარ"*.

## მატერაციმ ოცნების გუნდში ზიდანი შეიყვანა

**მარკო მატერაციმ** ჟურნალისტებთან საუბრისას, საკუთარი ოცნების გუნდი ჩამოწერა და ყველას გასაკვირად, ამ გუნდში **ზინედინ ზიდანიც** შეიყვანა. იტალიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, თავისი „დრიმ თიმი" ასე დააკომპლექტა: **ჟულიო სეზარი, მაიკონი, ფაბიო კანავარო, მატერაცი, კივუ, გატუზო, სტანკოვიჩი, დე როსი, კასანო, ეტოო და ზიდანი.**

როგორც ხედავთ, „ოცნების გუნდი" მილანის „ინტერის" და იტალიის ნაკრების ნაზავია, ერთადერთი გამონაკლისი მხოლოდ ზინედინ ზიდანი გახლავთ. 39 წლის ვეტერანმა თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა: *„მე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალზე საერთოდ აღარ ვფიქრობ. თასის აწევის შემდეგ ყველაფერი დავივიწყე, ზიდანს კი ჩემს გულში ადგილი ყოველთვის ჰქონდა, რადგან ის მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა ხუთეულში შედის. მე მასთან ერთად თამაში ყოველთვის მსურდა"*.

გვერდი მოამზადა **ტატო ბაციკაძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ესპანეთის ნაკრები




ახალი მაისურის დიზაინი

# ნარსულში დაბრუნება

პანამის ნაკრებთან დღევანდელ მატჩისთვის **ვისენტე დელ ბოსკე** 19 ფეხბურთელს ამზადებს. ეს იქნება „ფურია როხას" პირველი ვიზიტი ამ ესპანურენოვან ქვეყანაში. მსოფლიოს ჩემპიონებს რამდენიმე ნამყვანი ფეხბურთელი აკლიათ, თუმცა პანამასთან დაპირისპირება ვერ გახდება წინასწარ სერიოზული სჯა-ბაასის საბაბი. ერთ სიახლეზე კი აუცილებლად ვიტყვით - დღეს ესპანეთის ნაკრები ახალ ფორმას გამოცდის, რომელიც სპეციალურად კონფედერაციათა თასისთვისაა შეკერილი.

კონფედერაციათა თასი ივნისში, ბრაზილიაში გაიმართება და ის ბრაზილიელი ორგანიზატორებისთვის მუნდიალის გენერალური რეპეტიცია იქნება. ესპანეთის ნაკრები, როგორც ევროპის ჩემპიონის მონაწილეობს ამ ტურნირში. მთავარი სიახლე მაისურზე, V ტიპის ყვითელი საყელოა, რომელსაც მკვეთრი ფორმა აქვს.

„ადიდასმა" მადრიდში, ლას როსასის საფეხბურთო პავილიონში წარადგინა ნაკრების ახალი ამუნიცია. მაისურის შემქმნელთა თქმით, ეს არის მცდელობა, გაიმეორონ გასული საუკუნის 20-იანი წლების შტრიხები ანუ იმ დროის ფორმა, როცა ესპანეთის საფეხბურთო ნაკრები ფეხს იდგამდა. ახალი მაისურების ფასი 80 ევროა.

# სუსტი რგოლი არბელოა

## ახალი კონკურენტი ნიჭიერი ბარსელონელია

**29 წლის სალამანკელი მარჯვენა მცველი ალვარო არბელოა ვისენტე დელ ბოსკემ ამჯერად ეროვნულ ნაკრებში არ შეიყვანა. მის ნაცვლად ფლანგზე მარკიზი ალბათ ბარსელონელ მარტინ მონტოიას გამოცდის.**

ის შესაძლოა თანამედროვე ფეხბურთში ყველაზე იღბლიანი მოთამაშეა - **ალვარო არბელოამ** შეძლო სხვათა ჩრდილიდან გამოსვლა და ძირითადში დამკვიდრება, როგორც მადრიდის „რეალში", ისე ეროვნულ ნაკრებში. მისი მაგალითი ამტკიცებს, რომ დიდ ოფლის ღვრას ყოველთვის მოაქვს შედეგი, თუნდაც უმაღლეს დონეზე. მაგრამ ახლა ალვაროს შრომით მოპოვებული ადგილი საფრთხეშია, როგორც „რეალში", ასევე - ეროვნულ გუნდში.



ალვარო არბელოას ანგარიშზე 45 სანაკრებო კეპია

ერთხელ **ჟოზე მოურინიომ** არბელოას „ათბალიანი სისტემით ექვსიანი ფეხბურთელი" უწოდა. კაცი, რომელიც ძალიან იშვიათად გადაგინყვეტს მატჩის ბედს, თუმცა ასევე იშვიათად დაგალალატებს. ეს ასეც არის. ტექნიკურად არცთუ ურიგოდ აღჭურვილი არბელოა, რომელიც დაცვაში სტაბილურად გამოიყურება, არც შეტევაშია ურიგო, თუმცა ჩაწოდებები არასოდეს ყოფილა მისი საუკეთესო თვისება. ამავე დროს, ბოლო წლებში მან ფეხბურთის ეს კომპონენტი დახვეწა.

ევრო 2012-ის შემდეგ, რომლის საწყის მატჩებში არბელოა არეული იყო, იგი ვისენტე დელ ბოსკემ შეაქო, თუმცა არა იმიტომ, რომ მარკიზიც სალამანკელია: *„ალვარომ იცის, რომ ის კარგი ფეხბურთელია"*, თქვა დელ ბოსკემ. არბელოას ყველაფერი აკმაყოფილებს კარიერაში: *„მე ვთამაშობ საუკეთესო კლუბში და საუკეთესო ნაკრებში, მეტი რა უნდა ინატროს ფეხბურთელმა"*.

არბელოას კარიერულ წინსვლაში დიდი როლი ითამაშა **სერხიო რამოსმა**. უფრო ზუსტად, მისმა ტრანსფორმაციამ ფლანგის ფეხბურთელობიდან ცენტრალურ მცველობამდე „რეალში" და ეროვნულ ნაკრებში. ეს რომ არა, ალვარო, არცთუ იღბლიანი მოთამაშე იქნებოდა. მოკლედ, როცა ჟოზემ სერხიო რამოსი ცენტრში „შეწია", არბელოა საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდა, რა თქმა უნდა, ამას დაემატა დიდი ოფლისღვრა. 2009 წელს „ლივერპულიდან" სულ რაღაც 3,5 მილიონად ნაყიდი მცველი „სამეფო კლუბშიც" აღიარეს და „ფურია როხაშიც".

ახლა ის, სავარაუდოდ, ორივე გუნდში სუსტი რგოლია.

მან ახლახან მოირჩინა ტრავმა. ამიტომ არ არის უცნაური, რომ მწვრთნელმა პანამასთან არაფრისმომცემ თამაშში არ გამოიძახა, მაგრამ აქ მეორე მომენტია - თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდა **მონტოიას** ეძლევა...

დელ ბოსკეს ადრეც დაუძახია მონტოიასთვის, თუმცა 21 წლისას ჯერ თამაშმა არ მოუნია. ახლა კი მას კარგი სეზონი აქვს „ბარსელონაში". მონტოია უფრო ნიჭიერია და მეტად შეუძლია „როხას" შემტევი პოტენციალი გააძლიეროს.

კატალონიური კლუბის ფანების ნაწილს უკვე მიაჩნია, რომ სჯობს მარჯვენა ფლანგზე მონტოიამ დაიწყოს, ვიდრე **დანი ალვეშმა**, რომლის მზეც ნელ-ნელა ესვენება. ასე რომ, მომავალში კლუბშიც და ნაკრებშიც ეს პოზიცია მისად გვესახება.

რაც კი პორტუგალიელი მწვრთნელი მადრიდშია, სულ ისმის, რომ მოურინიო მარჯვენა მცველს ეძებს. ფაქტია, ჯერ მსგავსი არაფერი მომხდარა. პირიქით, ჟოზემ ხელი შეუწყო საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდის, **დანი კარვახალის** გაყიდვას. მაგრამ ერთხელაც, როცა მწვრთნელი უკეთეს მცველს შეიძენს, ალვარო ნაკრებში და კლუბშიც სკამზე გადაინაცვლებს. მაგრამ ერთი ნაღდია - სალამანკელი იოლად არავის და არაფერს დაუთმობს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● დანაშაული და სასჯელი

# დამნაშავეს მსხვერპლი გამოექომაგა

## დე როსი 3 მატჩით დასაჯეს

რომაული დერბი ინციდენტების გარეშე გამორიცხულია და ეს გასულ უქმეებზეც დადასტურდა. ერთ-ერთი ორთაბრძოლისას 29 წლის **დანიელე დე როსის** ნერვებმა უმტყუნა, რასაც წითელი ბარათი და მისი მოედნიდან გაძევება მოჰყვა. დე როსის მსხვერპლი **სტეფანო მაური** გახდა, რომელსაც მუშტი მოხვდა სახეში და მინდორზე მოცელილივით დაეცა. ამის გამო, დანიელე ცალკე კლუბმა დასაჯა, ცალკე ფედერკალჩომ და ცალკე ეროვნული ნაკრებიდან მოკვეთეს. მოკლედ, "რომას" ერთ-ერთ ლიდერს სასჯელი არ დაჰკლებია და ეს მოსალოდნელიც იყო. საგულისხმოა, რომ ამ ამბავს სტეფანო მაური გამოეხმაურა და პრესასთან შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*"ვფიქრობ, არაა საჭირო დანიელე დე როსის მკაცრად დასჯა, რადგან კატასტროფული ნამდვილად არაფერი ჩაუდენია. რომაული დერბი განსაკუთრებულ ემოციებთანაა დაკავშირებული და იქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ორთაბრძოლის დროს ხელი მოიქნია და სახეში გამარტყა, რაც ფეხბურთში ძალიან ხშირად ხდება. დანიელე შესანიშნავი ადამიანი და ნამდვილი ჩემპიონია, იქვე მომიხადა ბოდიში და მოედანი ისე დატოვა. ეს გარემოება აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და იმედია ასეც იქნება. როგორც გავიგე, დე როსის 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება, რისი საჭიროებაც ნამდვილად არ არის"*.

ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტმა არ გაითვალისწინა მაურის შენიშვნა და დანიელე დე როსის 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

**ლაშა წიკლაური**




დანიელე დე როსიმ სტეფანო მაურის მუშტი უთავაზა

● მილანი

# ტიფოზებმა პატოს შეუტიეს

## რობინიო და ტრაორე მიდიან



ალეშანდრე პატო

"მილანი" უმძიმეს მდგომარეობაშია, თამაშს თამაშზე აგებს და სერია A-ს სატურნირო ცხრილში მე-13 ადგილი უკავია. აქამდე, გუნდის გულშემატკივრები ასე თუ ისე ინარჩუნებდნენ სიმშვიდეს, გუშინ კი აგრესიის პირველი ნიშნებიც გამოჩნდა. თუმცა, რაღა ნიშნები - "მილანელოზე" მისულ **ალეშანდრე პატოს** ოცამდე ტიფოზი დახვდა, რომლებმაც ბრაზილიელ ფორვარდზე იერიში მიიტანეს. 23 წლის თავდამსხმელი უშვერი სიტყვებით გალანძღეს და მისი მანქანა გვარიანად დააზიანეს. გულშემატკივართა ასეთი საქციელი გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** დაგმო:

*"ტიფოზების აღშფოთება სრულიად გასაგებია, მაგრამ პროტესტის ამგვარი ფორმით გამოხატვა ვერავითარ ჩარჩოებში ვერ ჯდება. მადლობა ღმერთს, ალეშანდრემ მანქანის ჩაკეტვა დროულად მოასწრო, თორემ შეიძლება უარესი მომხდარიყო. რატომ მაინცდამაინც პატო? - ალბათ იმიტომ, რომ თერთმეტმეტრიანი გააფუჭა, ვერაფერს გეტყვით. ნებისმიერ შემთხვევაში, გულშემატკივართა ასეთი საქციელი დასაგმობია"*.

მოკლედ, "მილანის" ფეხბურთელებს უკვე გულშემატკივრები უტევენ და ეს ლოგიკურიცაა იმ შედეგის ფონზე, რომელიც **მასიმილიანო ალეგრის** გუნდს აქვს. ამასობაში, "მილანთან' დაკავშირებით სატრანსფერო ცნობები ვრცელდება და რაც უნდა გასაკვირი იყოს, საქმე ისევ წამსვლელ ფეხბურთელებს ეხება. "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "მილანს" ორი ფეხბურთელი დატოვებს: **რობინიო და ბაკაი ტრაორე.** პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ ბრაზილიელი "სანტოსში" გააგრძელებს კარიერას, ტრაორეს მომავალი კი ჯერჯერობით ბუნდოვანია.

**ლაშა წიკლაური**

● არსენალი

# მშენებლობა ინყება დაცვით

**"არსენალის" 26 წლის თავდამსხმელმა ოლივიე ჟირუმ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს "ფულჰემთან" მატჩის დასრულების შემდეგ ინტერვიუ მისცა, სადაც "მეთოფეთა" უმთავრეს პრობლემებზე ილაპარაკა:**

- ჩემს ადგილს გუნდში ნელ-ნელა ვნახულობ, თავს სულ უფრო უკეთ ვგრძნობ. ვცდილობ, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე მაქსიმალურად დავიხარჯო. ვარჯიშებზე ბევრს ვმუშაობ. შესაბამისად, თავს კარგად ვგრძნობ. პირადი კეთილდღეობა ერთი მხარეა, მეორე მხრივ კი ნამდვილად ვერ ვიქნები ბედნიერი, როცა გუნდს ფრეებით დაკმაყოფილება უწევს. აშკარაა, რომ ძალიან ბევრ გოლს ვუშვებთ, თამაშში საშუალოდ 2-3-ს. თუკი უკანა ხაზის თამაში არ გამოსწორდება, მოგება გაგვიჭირდება. არ ვამბობ, რომ წარუმატებლობებში ბრალი მხოლოდ მცველებს მიუძღვით. ეს ნიშნავს, რომ მთელი გუნდი მოისუსტებს.

ბოლო პერიოდში სულ უფრო თავდაჯერებული ვხდები. ცხადია, საკუთარი პოტენციალის მჯერა. მეტსაც გეტყვით,

ოლივიე ჟირუ




მჯეროდა მაშინაც, როცა სეზონის დასაწყისში ვერ ვახერხებდი გატანას. ის, რომ ფორმაში შევედი, ნამდვილად არ მაოცებს. ძალიან მინდა "ფულჰემთან" ნაჩვენები თამაში კიდევ ბევრჯერ გავიმეორო და გუნდს გამარჯვებები მოვუტანო. მართალია, წარუმატებელი სერია ძალიან გაგვიგრძელდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ "არსენალის" სათამაშო კლასი საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ამ ყველაფერს უახლოეს ხანებში დავუსვათ წერტილი.

**ლევან ბიბილაშვილი**

მუნდიალი 2014. საკვალიფიკაციო მატჩები. ევროპა


ჩერნოგორიელები უკრაინელთა დამარცხებას ზეიმობენ

# ინგლისზე მაღლა
## ორი მატჩიც მარტამდე

| H ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩერნოგორია-სან მარინო | | | | | | 21:00 |
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ინგლისი | 4 | 2 | 2 | 0 | 12-2 | 8 |
| 2. ჩერნოგორია | 3 | 2 | 1 | 0 | 9-2 | 7 |
| 3. პოლონეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 4. მოლდოვა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-7 | 4 |
| 5. უკრაინა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 6. სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0-13 | 0 |

| F ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდ. ირლანდია-აზერბაიჯანი | | | | | | 23:45 |
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 8-0 | 12 |
| 2. ისრაელი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-5 | 7 |
| 3. პორტუგალია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 5. აზერბაიჯანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 6. ლუქსემბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-12 | 1 |

**დღეს ევროპის კონტინენტზე მუნდიალის შესარჩევი ციკლის ორი მატჩი გაიმართება და 22 მარტამდე ამ შეჯიბრებაში შესვენება გამოცხადდება. F ჯგუფში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები ჩვენი მეზობელი ქვეყნის, აზერბაიჯანის გუნდს მასპინძლობს, ხოლო H ჯგუფში ჩერნოგორია ჯუჯასახელმწიფო სან მარინოს ნაკრებს მიიღებს.**

სან მარინოს ნაკრებს თამამად შეიძლება ეწოდოს ევროპის 53 ქვეყანას შორის ყველაზე სუსტი. ამ შესარჩევ ციკლში მათ გოლი ჯერ არ გაუტანიათ, ქულის მოპოვებაზე ლაპარაკი არც არის. ჩერნოგორიელებს შესანიშნავი შანსი აქვთ, მორიგი სამი ქულა ჩაიწერონ და ახალი წლისთვის პირველ ადგილზე გადავიდნენ. ეს, ალბათ, ასეც მოხდება. ჩერნოგორიელთა თავკაც **ბრანკო ბრნოვიჩს** სჯერა, რომ სწორედ მისი გუნდი და არა **როი ჰოჯსონის** ინგლისის ნაკრები, არის ჯგუფის უპირველესი ფავორიტი. *„დარწმუნებული ვარ, წელიწადს ამაღლებულ განწყობაზე დავასრულებთ"*, - აცხადებს ბრნოვიჩი.

ჩერნოგორიის ნაკრებმა 2012 წელს წაუგებლად იასპარეზა, ოქტომბერში ამ გუნდმა 6:0 გაანადგურა სან მარინო მისსავე მოედანზე და აპენინელებს უკეთესი ბედი არც ახლა ელით. *„დიდებული სტატისტიკა გვაქვს, მაგრამ, მოდი, ამის შესახებ მატჩის დასრულების შემდეგ ვილაპარაკოთ. რა თქმა უნდა, ჩვენ აშკარა ფავორიტები ვართ, მაგრამ ეს მოედანზე უნდა დავამტკიცოთ. სასიხარულოა, რომ ჩვენი სტატისტიკა ესპანელებისას ემთხვევა, თუმცა საფეხბურთო თვალსაზრისით მათთან ახლოსაც ვერავინ მივა"*, - თქვა ბრნოვიჩმა, რომელმაც 6 სეზონი „ესპანიოლის" ფეხბურთელად გაატარა.

მასპინძლებს ამ თამაშში კაპიტანი **მირკო ვუჩინიჩი** და ფლეიმეიკერი **სტევან იოვეტიჩი** არ ეყოლებათ.

ჩრდილოირლანდიელებს ბოლო შანსი აქვთ, ჯგუფის აუტსაიდერთა კოჰორტას თავი დააღწიონ და რეალურ ბრძოლაში ჩაერიონ. მათ ჯერ არ მოუგიათ თამაში შესარჩევ ჯგუფში. მასპინძლებს შოტლანდიის ჩემპიონატის ოქტომბრის თვის საუკეთესო ფეხბურთელის, **ნილ მაკგინის** ეიმედებათ, რომელიც „აბერდინში" თამაშობს. მაკგინმა „აბერდინის" რიგებში ბოლო 7 მატჩში ამდენივე გოლი გაიტანა. სწორედ მან გაუტანა პორტუგალიის ნაკრებს გასულ თვეში და იბერიულ გუნდს ორი ქულაც დააკარგვინა.

*„ნილი შესაშურ ფორმაშია და ეს ჩვენთვის დიდი პოზიტივია"*, - აცხადებს ჩრდილოირლანდიელთა თავკაცი **მაიკლ ონილი**. აზერბაიჯანელებს ჯერჯერობით მხოლოდ ქულა აქვთ მოპოვებული ჯგუფში, რომელსაც 100%-იანი შედეგით (12 ქულა 4 მატჩიდან) **ფაბიო კაპელოს** გაწვრთნილი რუსეთის ნაკრები უდგას სათავეში. ამ შეხვედრის გამარჯვებული მარტამდე მე-4 ადგილზე დამკვიდრდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

აღიარება

# მესი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელია

პროფესიული ფეხბურთის ლიგამ (LFP) გასული სეზონის საუკეთესოები დაასახელა. ლა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი **ლიონელ მესია**, საუკეთესო მწვრთნელი **ხოსეპ გვარდიოლა**, საუკეთესო გოლკიპერი **იკერ კასილიასი**, საუკეთესო მცველი **სერხიო რამოსი**, საუკეთესო ნახევარმცველი **ჩაბი ალონსო**, საუკეთესო შემტევი ნახევარმცველი **ანდრეს ინიესტა**, საუკეთესო ფორვარდი მესი. ფეარ პლეის პრიზი **კარლეს პუიოლმა** მიიღო, სეზონის აღმოჩენა კი **ისკოა**. სეგუნდა დივიზიონის საუკეთესო ფეხბურთელი **ხუან კარლოს ვალერონი** გახდა, მწვრთნელი კი **ხოსე ლუის ოლტრა** (ორივე „დეპორტივო").

მესიმ **კრიშტიანო რონალდოს** და **ქარიმ ბენზემას** აჯობა საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში. *„ძალიან დიდი პატივია, რომ ისევ მე დამასახელეს საუკეთესოდ, ყველას მადლობა, ვინც მე მომცა ხმა"*, - განაცხადა ლეო მესიმ დაჯილდოებისას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ლეო მესი პრიზით ხელში

იტალია-საფრანგეთი

# ამხანაგური სადერბო განწყობით
## იტალიას დე როსი აკლია, საფრანგეთს - ბენზემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს დაგეგმილი სანაკრებო პაექრობებიდან, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო უდავოდ იტალიისა და საფრანგეთის დაპირისპირებაა. აქვე ვთქვათ, რომ შეხვედრა პარმაში, "სტადიო ენიო ტარდინიზე" გაიმართება.**

### საფრანგეთი

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ორივე ნაკრებში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა და ეს პროცესი დღემდე მიმდინარეობს. საფრანგეთის უმთავრეს გუნდში სულაც მთავარი მწვრთნელი შეიცვალა, როდესაც **ლორან ბლანი დიდიე დეშამმა** ჩაანაცვლა. დიდიე ახალი იდეებით მივიდა ნაკრებში, რომელთა განხორციელებსაც უკვე შეუდგა. მართალია, საკადრო რევოლუცია არ მოუხდენია, მაგრამ ტაქტიკა-სტრატეგია შეცვალა და ამით, საფრანგეთის უმთავრესმა გუნდმა მხოლოდ მოიგო. დიახ, საყოველთაო მოსაზრებით, "მამლები" დღეს გაცილებით უკეთესად თამაშობენ, ვიდრე ლორან ბლანის ხელში, ეს დასკვნა კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სასტარტო პაექრობებიდანაა გამოტანილი. განსაკუთრებულად კარგად ფრანგებმა ესპანეთში ითამაშეს, სადაც მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონებთან ქულა აიღეს. თუმცა, აქ არა იმდენად ქულა, რამდენად თამაშის ხარისხი გახლდათ აღსანიშნავი - დეშამის შეგირდებმა აჯობეს მეტოქეს და მოგებაც თავისუფლად შეეძლოთ.

### იტალია

რევოლუციური ცვლილებები არც **ჩეზარე პრანდელის** განუხორციელებია, მაგრამ შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეიტანა. მაგალითად, საერთოდ აღარ იძახებს **ანტონიო კასანოს**, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე შეუცვლელი ფიგურა იყო. პრანდელი კასანოს იმდენად ენდობოდა, რომ კონტინენტის პირველობაზე ახალგამოჯანმრთელებული და არცთუ კარგ ფორმაში წაიყვანა. სამაგიეროდ, "სკუადრა აძურას" კარი რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის გაიხსნა, რომელთა შორის **სტეფან ელ შაარავი** უნდა გამოვარჩიოთ. 19 წლის მილანელი უკვე სტაბილურად ხვდება ეროვნული გუნდის შემადგენლობაში და როგორც ამბობენ, მალე სასტარტოშიც დაიმკვიდრებს ადგილს. ანუ, ელ შაარავიმ კასანო უნდა ჩაანაცვლოს და მივიღებთ ძალიან საინტერესო ტანდემს: ელ შაარავი-ბალოტელი. თუ ამ ორი ფორვარდის ასაკს გავითვალისწინებთ, პრანდელის კიდევ ძალიან დიდხანს შეუძლია შეტევის ხაზზე არ ინერვიულოს.

ნერვიულობა იქით იყოს და, საფიქრალს პრანდელის რა გამოულევს - თუნდაც შეტევის ხაზში, კონკურენცია საკმაოდ დიდია და ვერც ელ შაარავი-ბალოტელი იგრძნობენ თავს ძალიან მშვიდად. იგივე **სებასტიან ჯოვინკო** შესანიშნავ ფორმაშია და ღიადაც აცხადებს, რომ სასტარტოში სურს მოხვედრა. შეგვიძლია ვთქვათ **პაბლო დანიელ ოსვალდოზეც**, რომელიც იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეროვნულ გუნდში შედეგიანად ასპარეზობს. თუნდაც განაცხადს მიღმა დარჩენილი ფორვარდები გავიხსენოთ - მაგალითად, **ფაბიო კვალიარელა**, რომელიც ამჯერად ოფსაიდში დარჩა, თუმცა მისი ჩამოწერა რომ ნაადრევია, პესკარაში შესრულებულმა ჰეთთრიკმაც დაადასტურა.


იტალია და საფრანგეთი ბოლოს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე შეხვდნენ. გაიმარჯვა "სკუადრა აძურამ", 2:0.

| იტალია-საფრანგეთი |
|---|
| სავარაუდო შემადგენლობები |

**იტალია (4-4-2):** ბუფონი - მაჯო, ბარცალი, კიელინი, ბალცარეტი - პირლო, მონტოლივო, მარკიზიო, კანდრევა - ელ შაარავი, ბალოტელი.

**საფრანგეთი (4-3-2-1):** ლორისი - დებუში, კოშელნი, სახო, ევრა - გონალონი, კაბაიე, მატუიდი - რიბერი, მენეზი - ჟირუ.

ფრანგული სპორტული პრესის პროგნოზით, დიდიე დეშამი გუნდს 4-3-2-1 ტაქტიკით ათამაშებს, სადაც ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდის როლი **ოლივიე ჟირუს** დაეკისრება. შესარჩევ მატჩებში აქცენტი უფრო **ქარიმ ბენზემაზე** კეთდება, მაგრამ მადრიდელი ტრავმირებულია და იტალიის წინააღმდეგ საერთოდ ვერ ითამაშებს. ამასთან, ესპანეთთან პაექრობაში "მამლები" სწორედ ჟირუს გოლმა იხსნა მარცხისგან და ბევრი თვლის, რომ ძირითადში სწორედ ლონდონის "არსენალის" ფორვარდი უნდა ასპარეზობდეს. ჟირუს ფლანგებიდან **ფრანკ რიბერი** და **ჟერემი მენეზი** დაეხმარებიან - პირველი მიუნხენის "ბაიერნში" ბრწყინავს, მეორე კი პსჟ-ში. განსაკუთრებით მენეზის თამაშია აღსანიშნავი, რადგან ფრანგული გუნდის თანავარსკვლავედში არათუ დაიჩრდილა, საუკეთესო თვისებები გამოავლინა და ისე ათამაშდა, როგორც არასდროს. საინტერესოა, როგორ შეუტევს რიბერი-მენეზი-ჟირუს ტრიო იტალიურ დაცვას.

როგორც აღვნიშნეთ, იტალიის ნაკრებში წინა პლანზე ფორვარდთა ახალგაზრდა ტანდემმა წამოიწია და თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, ფრანგებს სტეფან ელ შაარავი და მარიო ბალოტელი შეუტევენ. შუა ხაზზე აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რადგან ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, პრანდელიმ ამ რგოლში პრაქტიკულად შეწყვიტა როტაცია. თუ კონტინენტის პირველობაზეც კი სენიორ ჩეზარე მუდმივ ძიებაში იყო და სისტემატურად ცვლიდა ნახევარმცველებს, შემდეგ თითქოს ჩამოყალიბდა და ძირითადი ბირთვი გამოკვეთა **ანდრეა პირლოს**, **რიკარდო მონტოლივოს**, **კლაუდიო მარკიზიოს** და **დანიელე დე როსის** შემადგენლობით. დანიელე რომ ერთი მატჩით მოკვეთილია ნაკრებიდან, გეცოდინებათ და შესაბამისად, მის ადგილს სხვა დაიკავებს... თუ იმავე „გაძეტას" ვენდობით, ის სხვა **ანტონიო კანდრევა** იქნება. მთავარი ბრძოლა წესით შუა ხაზში უნდა გაჩაღდეს და ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

**ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია):** *"მართალია, შეხვედრა ამხანაგურია, მაგრამ ფრანგებთან დაპირისპირებისთვის სრული სერიოზულობით ვემზადებით. ეს იქნება დიდი მატჩი, რომელიც ჩვენი გამარჯვებით უნდა დავასრულოთ. საფრანგეთისა და იტალიის თამაშები ყოველთვის დაძაბულად მიმდინარეობს და თავისი ხასიათით დერბის მაგონებს. როგორც ვიცი, პირველ ნომრად ვაპირებთ თამაშს და დიდი იმედი მაქვს, რომ მეტოქეს მისსავე ნახევარზე მივაჯაჭვავთ".*

**ფრანკ რიბერი (საფრანგეთი):** *"იტალიასთან მატჩისთვის დიდი მონდომებით ვემზადებით და იმედი მაქვს, რომ ისევე კარგად ვითამაშებთ, როგორც ესპანეთთან. აღმავლობის გზაზე ვართ და ეს კიდევ ერთ ძლიერ მეტოქესთან უნდა დავამტკიცოთ. იტალია დაცვაში არ ჩაჯდება, აუცილებლად შეგვიტევს და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. "აძურას" მობილური შუა ხაზი ჰყავს, რომელთან ჭიდილიც ურთულესი იქნება".*

**ლაშა ნიკლაური**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| დღეს | |
| სომხეთი-ლიტვა | 19:00 |
| რუსეთი-აშშ | 19:00 |
| საამიროები-ესტონეთი | 19:30 |
| ბულგარეთი-უკრაინა | 20:00 |
| ჩეხეთი-სლოვაკეთი | 20:30 |
| ალჟირი-ბოსნია | 21:00 |
| კვიპროსი-ფინეთი | 21:00 |
| მაკედონია-სლოვენია | 21:00 |
| ს. არაბეთი-არგენტინა | 21:00 |
| ტუნისი-შვეიცარია | 21:15 |
| ლიხტენშტეინი-მალტა | 22:00 |
| ისრაელი-ბელარუსი | 22:30 |
| ანდორა-ისლანდია | 23:00 |
| ჩილე-სერბეთი | 23:00 |
| რუმინეთი-ბელგია | 23:00 |
| თურქეთი-დანია | 23:00 |
| ლუქსემბურგი-შოტლანდია | 23:15 |
| ავსტრია-კოტდივუარი | 23:30 |
| გაბონი-პორტუგალია | 23:30 |
| უნგრეთი-ნორვეგია | 23:30 |
| ჰოლანდია-გერმანია | 23:30 |
| შვედეთი-ინგლისი | 23:30 |
| ირლანდია-საბერძნეთი | 23:45 |
| იტალია-საფრანგეთი | 23:45 |
| პოლონეთი-ურუგვაი | 23:45 |
| ალბანეთი-კამერუნი | 00:45 |
| პანამა-ესპანეთი | 01:30 |
| პარაგვაი-პუერტო რიკო | 03:30 |
| ბრაზილია-კოლუმბია | 04:30 |
| ვენესუელა-ნიგერია | 05:05 |
| ბოლივია-კოსტა-რიკა | 05:30 |

# ყველაფერს ხედავს, ყველაფერი ესმის...

**იტალიაში რომაულმა დერბიმ გეგმა ისევ გადაჭარბებით შეასრულა, ანტონიო კონტე კი, ვგონებთ, ლოჟაში უფრო კარგად გრძნობს თავს და ნერვებს მხოლოდ სულელები უშლიან; ინგლისში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანები აღარ ნერვიულობენ ხოლმე; ესპანეთში მცველებმა ხუთი გოლის გაშვების გამო კომპლიმენტები დაიმსახურეს; გერმანიაში რომან ნოიშტედტერს სრულყოფილი კვირა ჰქონდა...**

### იტალია

## ცეცხლოვანი რომაული დერბი

მილანური დერბი შეიძლება იყოს უემოციო და, ასე ვთქვათ, მკვდარი, მოსაწყენი რომაული დერბი კი არ არსებობს! „ლაციოს“ და „რომას“ მორიგი, რიგით 83-ე ჯახი დაწყებულიც არ იყო, რომ მივხვდით: განსაკუთრებული მატჩის მომსწრენი გავხდებოდით. ჯერ იყო და „ოლიმპიკოს“ მოედანი წვიმამ დატბორა, მერე კი სტადიონზე განათებაც ჩაქრა და ტიფოზებმა „ლაციოს“ პრეზიდენტ **ლოტიტოს** მაშინვე ხმაშეწყობილი სკანდირებით მოუწოდეს, დენის გადასახადი გადაიხადეო.

სველ მინდორზე კი ისეთი დუელი გაჩაღდა, სწორედ მარადიული ქალაქის დერბის რომ შეეფერება. „რომას“ მეკარე **გოიკოეჩეამ კანდრევას** შორეული საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი საკუთარ კარში გროტესკულად შეაგდო, **დანიელე დე როსიმ** კარიერა მორიგი წითელი ბარათით „გაამდიდრა“, მისმა თანაგუნდელმა **ივან პირისმა** თავით ბრწყინვალე საგოლე პასი გააკეთა - ოღონდ, ბურთი მეტოქე **სტეფანო მაურის** დაუგდო, რომელმაც ანგარიში 3:1 გახადა („ლაციოს“ სასარგებლოდ, რა თქმა უნდა). მატჩის მიწურულს კი უკვე „ლაციალეს“ მეკარე **ფედერიკო მარკეტის** უმუხთლა ბედმა - **პიანიჩის** (კანდრევაზე შორეული) საჯარიმო დარტყმის შემდეგ ალლომ უმტყუნა და (ვალიაროთ) საოცარი ტრაექტორიით გაფრენილი ბურთი მის კარში ალმოჩნდა.

**მიროსლავ კლოზეზე** არაფერი გვითქვამს: ვეტერანმა გერმანელმა, რომელსაც გაზეთი „რეპუბლიკა“ მსოფლიოში ყველაზე სწრაფ 34 წლის ფეხბურთელად მოიხსენიებს, შუათანა გოლი გაიტანა და მისთვის მესამე დერბის მოგებაშიც ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა.

რომი კი უკვე მომდევნო დერბის მოლოდინშია...

## რომელმა იდიოტმა იზეიმა ჩელსის გოლი?

ყველაფერს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები - მათ შორის, „იუვენტუსის“ თავკაც **ანტონიო კონტეს** გრძელვადიან დისკვალიფიკაციასაც. ანტონიო VIP-ლოჟაში კომფორტულად ზის, თამაშებს საუკეთესო ხედით უყურებს, მიმტანები ნებისმიერ წამს მზად არიან, რაიმე სასმელი ან საჭმელი მიართვან, „იუვენტუსი“ კი თამაშებს იგებს. ასისტენტმა იკითხოს (კონტეს ტექსტური შეტყობინებებიც), თორემ თავად ანტონიო თავს მშვენივრად გრძნობს.

წინა კვირაში, „ნორდსიელანდთან“ მატჩის მიწურულს კონტეს გაუგონია, როგორ იზეიმეს ვილაც-ვილაცებმა „ჩელსის“ გოლი („შახტართან“, ბოლო წუთზე) და ყვირილი მოურთავს, „საინტერესოა, რომელი იდიოტი ვერ ხვდება, რომ ეს ჩვენთვის ცუდი იყოო“.

შაბათს, ტურინელებმა „პესკარასთანაც“ დიდი ანგარიშით (6:1) მოიგეს და ამ ეტაპზე კონტეს მთავარი საფიქრალი მხოლოდ ისაა, როგორ დაამარცხოს „ჩელსი“, თუმცა საფიქრალიც ასეთი უნდა...

## გალიანის ფიქრები

*„მონტელა „ფიორენტინას“ ისეთ ლამაზ ფეხბურთს ათამაშებს, როგორიც სინიორ ბერლუსკონის მოსწონს,“* - თქვა „მილანის“ შეფმა **ადრიანო გალიანიმ** ამ გუნდების უმძაფრესი დაპირისპირების წინ, რაც ლოგიკურად ცუდი იდეაა, მაგრამ რას გაიგებ, რა უტრიალებთ თავში გალიანის და თუნდაც ბერლუსკონის, რომლის სახელსაც ადრიანო შემთხვევით არასდროს ახსენებს ხოლმე. ვარაუდები იქით იყოს, ფაქტი კი ისაა, რომ მონტელას ბიჭებმა „როსონერი“ „სან სიროზე“ 3:1 დაამარცხეს. მოგვიანებით, ფლორენციის ცნობილ „სანტა მარია ნოველას“ სადგურზე გუნდს ათასზე მეტი ტიფოზი დახვდა - ფანები გმირებს ისეთი ზარ-ზეიმით შეხვდნენ, რომ გააოგნეს ამერიკელი ტურისტები, რომლებმაც უკვე იციან სიტყვა „კალჩოს“ მნიშვნელობა. „მილანის“ მწვრთნელი **მასიმილიანო ალეგრი** კი ისევ ჩემოდნებზე ზის - წინა კვირაში ვწერდით, რომ



„იუვეს“ თავკაცი ანტონიო კონტე VIP ლოჟაში თავს კომფორტულად გრძნობს, მისი შეგირდები კი იგებენ...




გალიანიმ მას სიყვარული აუხსნა, მაგრამ ხომ იცით, იტალიური სიყვარული რამდენ ხანსაც გრძელდება ხოლმე...

### ინგლისი

## ფერგიუსონის ტაიმ-ბოლები...

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანები უკვე აღარ ნერვიულობენ - დაე, მათი საყვარელი გუნდი 0:2-ს აგებდეს. „ასტონ ვილასთანაც“ ასე მოხდა - ახალგაზრდა ავსტრიელმა **ანდრეას ვაიმანმა** „იუნაიტედს“ პირველ ტაიმში ორი გოლი გაუტანა, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ ფერგის ბიჭები მაინც არ დამარცხდებოდნენ. მეორე ტაიმში **ხავიერ ერნანდესმა** „ვილას“ 29 წუთში სამი გოლი გაუტანა (მეორე **რონ ვლაარის** ავტოგოლად ჩაითვალა, მაგრამ ჩიჩარიტოს როლი მნიშვნელოვანია).

მერამდენედ შეძლო ეს „იუნაიტედმა“? ამ სეზონში ეს მერვე შემთხვევა იყო და ფაქტია, რომ ფერგის ბიჭებს თამაშების შემოტრიალება ყველაზე კარგად ეხერხებათ.

## სუარესიც...

პრემიერლიგის გასულ ტურს სამი გამორჩეული გმირი ჰყავდა: ცხადია, ჩიჩარიტო, სუპერ-ჯოკრის სტატუსს ვერგაცდენილი **ედინ ჯეკო** (სხვათა შორის, თამაში „სიტიმაც“ შეატრიალა) და „ფულჰემის“ ბულგარელი ფორვარდი **დიმიტარ ბერბატოვი**. თუმცა კარგი იყო **ლუის სუარესიც**, რომელმაც „ჩელსისთან“ არა მარტო ანგარიში გაათანაბრა, **ჯონ ტერისაც** მიაღებინა ისეთი ტრავმა, რომ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, მოედანი დაეტოვებინა. აღსანიშნავია, რომ სუარესმა ეს მისდა უნებურად გააკეთა - ტერის ტრავმაში ბრალი უფრო **რამირესს** მიუძღვის, რომელმაც სუარესს ხელი ჰკრა, ეს უკანასკნელი კი ჯონს დაეტაკა. თავად ლუისს ახლა უკვე 8 გოლი აქვს გატანილი - იმდენი, რამდენიც **რობინ ვან პერსის** და წარმოიდგინეთ, სად იქნებოდა „ლივერპული“ მისი გოლების გარეშე...

### ესპანეთი

## რამდენი მოიგე, ხოსე ლუის?

ზოგადად, გასულ შაბათ-კვირას ევროპის სტადიონებზე მეორე ტაიმებში თამაშების შეტრიალების ფაქტები უჩვეულოდ ხშირი იყო. რაღა შორს (ქვედა ლიგებში) წავიდეთ, ყოველივე ზემოთ ხსენებულის გარდა, გერმანიაში „შტუტგარტმა“ და „ფიურტმა“ მოახერხეს და პირველი ტაიმების მოგების შემდეგ ერთნაირი ანგარიშებით, 2:4 დამარცხდნენ. ესპანეთში კი ასეთი რამ „დეპორტივოს“ დაემართა. ელიტაში დაბრუნებული ლაკორუნიელები „სარაგოსას“ 21 წუთის შემდეგ 2:0-ს უგებდნენ, მერე ზუსტად 21 წუთში სამი ბურთი გაუშვეს და საბოლოოდ 3:5 დამარცხდნენ.

ამრიგად, „დეპორმა“ გასვლითი მატჩის მოგება მაინც ვერ მოახერხა და ამ ნაგებით გასავარდნ ზონაში ჩაქვეითდა. ამ ყველაფრის ფონზე ერთობ საოცარი და მოულოდნელი იყო „დეპორის“ თავკაც **ხოსე ლუის ოლტრას** კომენტარი, რომელმაც სრული სერიოზულობით თქვა: *„ჩემს ბიჭებს მისალოცად აქვთ საქმე... გაგიკვირდებათ და მცველებიც უნდა შევაქო... ახლა მთავარია, ფეხზე წამოვდგეთ და ბრძოლა გავაგრძელოთ!“*

მართლა ასე თქვა - შეგიძლიათ, გადაამოწმოთ! „დეპორტივოს“ ფეხბურთელებს მისალოცად რომ აქვთ საქმე, ამის გაგება კიდევ რაღაცნაირად შეიძლება, მაგრამ მცველების შექება? იმ მატჩის შემდეგ, რომელშიც გუნდმა ხუთი გოლი გაუშვა და ლა ლიგაში ყველაზე მეტი, 25 გოლი აქვს მიღებული? არ ვიცით, არ ვიცით... შეიძლება ტოტალიზატორში ითამაშეს და ბევრი ფული მოიგეს...

## კაცი ყოფილა, კაცური

**კრიშტიანო რონალდოზე** ბევრს საუბრობენ და ხშირად გვსმენია, პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი დედიკოს ბიჭია, რომლისთვისაც მოედანზე ყოფნისას ყველაზე მთავარი ისაა, რომ კარგად გამოიყურებოდესო. „ლევანტესთან“ გასვლით მატჩში კრიშტიანომ ამ კლიშეს ბოლო მოუღო: მესამე წუთზე მას **დავიდ ნავარომ** იდაყვი უთავაზა და რონის მარცხენა თვალთან საკმაოდ საზარელი ჭრილობა გაუჩინა. სისხლმა კრიშტიანოს სახე დაუმახინჯა, ექიმებს კი რამდენიმე წუთი დასჭირდათ იმისათვის, რომ სისხლდენა შეეჩერებინათ. რონალდო მოედანზე ჩალურჯებული თვალით დაბრუნდა და სულაც არ ჰგავდა დედიკოს ბიჭს...

## დანი ალვეშის იდეა

**მესიმ პელეს** რეკორდი რომ დაამხო, ამ ამბავმა მთელი საფეხბურთო მსოფლიო ისე მოიარა, როგორც საჭირო იყო და დეტალებს აღარ გავიმეორებთ. სიახლე ისაა, რომ **დანი ალვეშმა** ფიფას საკმაოდ საინტერესო და ლოგიკური იდეა შესთავაზა: *„სანამ მესი ფეხბურთს თამაშობს, წლის საუკეთესო ფეხბურთელის არჩევის წესი უნდა შეიცვალოს. ლეო უბრალოდ საუკეთესოა და ეჭვი მაქვს, ასე იქნება მანამდე, სანამ კარიერას არ დაამთავრებს და იქნებ, საუკეთესო ფეხბურთელის წოდება პოზიციების მიხედვით დაგვეყო? სხვანაირად ოქროს ბურთების, ბუცების და ასე შემდეგ მხოლოდ ერთი ფეხბურთელისთვის გადაცემა აზრს კარგავს, რადგან ყველამ იცის, ვის დარჩება ასეთი პრიზი.“*

### გერმანია

## წარმატებები, რომან!

„შალკეს“ (ჯერ კიდევ ბევრისთვის უცნობ) საყრდენ ნახევარმცველ **რომან ნოიშტედტერს** ისეთი კვირა ჰქონდა, უკეთესს ნაღდად ვერ ინატრებდა. ჯერ „არსენალთან“ დაძაბულ მატჩში (2:2) „დახნა“ მინდორი, მერე მისი ბოლოდროინდელი პროგრესი გერმანიის ნაკრების თავკაცმა **იოახიმ ლიოვმაც** დააფასა და ბუნდესგუნდში უხმო, შაბათს „ვერდერს“ გოლი გაუტანა, მოგვიანებით კი გერმანიაში ყველაზე პოპულარულ სპორტულ ტოქშოუ „აქტუელე შპორტშტუდიოშიც“ მიიწვიეს და პირდაპირ ეთერში ალაპარაკეს. რა იქნება შემდეგი? იქნებ, გოლი ჰოლანდიის ნაკრების კარში (დღეს)?

## ვორონინს მოსკოვში ელიან

„ფორტუნას“ უკრაინელი თავდამსხმელი **ანდრეი ვორონინი** ნოიშტედტერის ანტიპოდია. რაკი დიუსელდორფელთა თავკაცმა **ნორბერტ მაიერმა** თქვა, ეგ ტიპი აღარ მჭირდებაო, ვორონინმაც ფეხი ფეხზე გადაიდო და მშვიდად ელის იმ დღეს, როცა მოსკოვის „დინამოში“ დააბრუნებენ. იმ დროს, როცა მისი თანაგუნდელები „ჰოფენჰაიმთან“ მატჩისთვის ხურდებოდნენ, უკრაინელი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ტელეფონზე ლაპარაკობდა. როგორც ჩანს, მერე მაიერმა მისი გამოყენება მაინც გადაწყვიტა, რადგან ვორონინმა შესვენებაზე ძუნძული დაიწყო და ნორბერტმა მართლაც შეუშვა. თუმცა უკრაინელი ერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში და ისიც უნიჭო სიმულანტობის გამო. ორშაბათს არ უვარჯიშია - ოფიციალური ინფორმაციით, გაციებულია. ცუდი ის არის, რომ დიუსელდორფში კაციშვილი არ უსურვებს მალე გამოჯანმრთელებას...

**გოტფრიდ ლენცი**

## ქართული სპორტი

● ხელბურთი



# გორის კულამ ქუთაისის მერიის თასი მოიგო

10–12 ნოემბერს ქუთაისის სპორტის სასახლეში ახალგაზრდა ხელბურთელთა შორის მერიის თასის გათამაშება გაიმართა ოთხი გუნდი მონაწილეობით. პირველობას ერთმანეთს ქუთაისის „ქუთაისი“, თბილისის „პეგასი“, გორის „კულა“ და სამტრედიის „სამტრედია“ ეცილებოდნენ. ტურნირი ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა. შეჯიბრების პირველ დღეს „ქუთაისმა“ დრამატულ ბრძოლაში „კულა“ დაამარცხა 32:31, „პეგასმა“ კი „სამტრედიას“ 41:36 მოუგო. მომდევნო შეხვედრაში „ქუთაისმა“ საკმაოდ იოლად სძლია „სამტრედიას“ – 35:20, გორის „კულამ“ კი დაძაბულ შეხვედრაში „პეგასი“ დაამარცხა 29:25.

ტურნირის დასკვნითი დღე გადამწყვეტი გამოდგა. გორელმა ხელბურთელებმა სამტრედიელებს იოლად სძლიეს 51:43, „ქუთაისი“ კი, რომელიც მანამდე ლიდერობდა „პეგასთან“ უშელავათო ბრძოლაში 34:35 დამარცხდა და პირველი ადგილი „კულას“ გადაულოცა. აღსანიშნავია, რომ ქუთაისელი ხელბურთელები უკმაყოფილო დარჩნენ გორელი მსაჯის ქმედებებით, რომელმაც „ქუთაისი“–“პეგასის“ შეხვედრა იმსაჯა. საბოლოოდ ოთხივე გუნდმა თანაბარი ქულები დააგროვა, თუმცა ბურთების უკეთესი შეფარდებით ჩემპიონი გორის „კულა“ გახდა. მეორე ადგილზე „ქუთაისი“ გავიდა, ბრინჯაოს მედლები თბილისელებს ხვდათ წილად, „სამტრედია“ კი ბოლო ადილს დასჯერდა. გამარჯვებულებს და პრიზიორებს თასები და დიპლომები გადაეცათ. დაჯილდოვდნენ საუკეთესო ხელბურთელებიც. ტურნირის ბომბარდირი 32 გატანილი გოლით თბილისელი **ლუკა ცხვარიაშვილი** გახდა. საუკეთესო მოთამაშის პრიზი ქუთაისელმა **მირიან ჩიხლაძემ** მიიღო. საუკეთესო მეკარე და გამთამაშებელი კი მისი თანაგუნდელები **შალვა მაისურაძე** და **გაგა ბახტურიძე** გახდნენ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

● ძიუდო

# იუბილარი ტურნირი

**ახმეტაში ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლის დარბაზში ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გივი ახალაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი ძიუდოში.**

ტურნირის ორგანიზატორის, კახეთის ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **გუგული აბრამიშვილის** განმარტებით, წლევანდელ ასპარეზობაში თბილისიდან - სამი, ახმეტიდან - ორი, გორიდან, დუშეთიდან, გარდაბნიდან, ყვარლიდან, საგარეჯოდან და თელავიდან კი თითო გუნდით მონაწილეობდა. ტურნირს საფუძველი 30 წლის წინათ, 1982 წელს ჩაეყარა.

### კვარცხლბეკი

### 1999-2001 წლებში დაბადებულთა შორის

**35 კგ.** 1.მიხეილ შათირიშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა), 2.გიორგი შათირიშვილი (ახმეტა, კომპლექსური სკოლა), 3.ოთარ ტალახაშვილი და გიორგი გიორგაძე (ორივე - თელავი).

**40 კგ.** 1.გიორგი ახალაური, 2.რობი ტერტერაშვილი (ორივე - ახმეტა, ძიუდოს სკოლა), 3.დათო ფაქიზაშვილი (ახმეტა, კომპლექსური სკოლა) და გიორგი თუთაშვილი (ქუთაისი).

**45 კგ.** 1.ნუგზარ სალდაძე (ქუთაისი), 2.რატი ჩაჩხიანი (თელავი), 3.ზაქარია იჩუაიძე და ლევან გიგოლაშვილი (ორივე - თბილისი).

**50 კგ.** 1.გიგა გოგოლაძე (ქუთაისი), 2.მიხეილ ბახბახაშვილი (თელავი), 3.მათე სიჭინავა (თბილისი) და გიორგი სუხოშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა).

**55 კგ.** 1.ბაჩანა სარქისაშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა), 2.ალეკო სულაკაძე (ქუთაისი), 3.ილია ბათურიშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა) და ლუკა ნინიკელაშვილი (თელავი).

**60 კგ.** 1.გიორგი ქიბრონაშვილი (ახმეტა, კომპლექსური სკოლა), 2.გიორგი ბათურიშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა), 3.ბადრი გრძელიძე (ქუთაისი) და ნიკა ეგემლიძე (თელავი).

**66 კგ.** 1.თორნიკე ხოხობაშვილი (ახმეტა, კომპლექსური სკოლა), 2.ჯაბა ხაჭაპურიძე (ქუთაისი) და სოსო მარგალიტაშვილი (თელავი).

**+66 კგ.** 1.ამირან ნიქორიძე (ქუთაისი), 2.პაატა მარტიაშვილი (თელავი), 3.გიორგი ებელაშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა).

### 1996-1998 წლებში დაბადებულთა შორის

**46 კგ.** 1.თემურ ნოზაძე, 2.ვასილ ქერდიყოშვილი (ორივე - გორი), 3.დათო ჩოკოლაშვილი (ახმეტა, კომპლექსური სკოლა) და ზურაბ ბაჩიაშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა).

**50 კგ.** 1.ნიკო ჭიკაიძე (ახმეტა, კომპლექსური სკოლა), 2.გიორგი მირუაშვილი, 3.გიორგი დოლანაძე (ორივე - გორი) და ლევან შონია (ქუთაისი).

**55 კგ.** 1.ჯაბა ქურდიანი (ქუთაისი), 2.ზაქრო სულაშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა), 3.გიორგი ჩაჩქანიშვილი (ახმეტა, კომპლექსური სკოლა) და თორნიკე არჩუაძე (გორი).

**60 კგ.** 1.თამაზ ნოზაძე (გორი), 2.ფირუზ ქეთიაშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა), 3.გიორგი საგინაშვილი (თბილისი) და ივერი ნასიძე (ქუთაისი).

**66 კგ.** 1.გიორგი მცურავიშვილი, 2.ბექა სეხნიაშვილი (ორივე - გორი), 3.გიორგი დიდებაშვილი (თბილისი) და ჯაბა ფიცხელაური (ახმეტა, ძიუდოს სკოლა).

**73 კგ.** 1.ზვიად მრელაშვილი (ახმეტა, კომპლექსური სკოლა), 2.ჯაბა ლიპარტელიანი (ქუთაისი), 3.ვასილ ბალაბანაშვილი (საბერძნეთი) და ვანო ჯანიბეგაშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა).

**81 კგ.** 1.იესო კვირიკაშვილი, 2.ავთო აბრამაშვილი, 3.ბესო ქოქაშვილი და ოთარ გურგენიძე (ოთხივე - გორი).

**+81 კგ.** 1.მიხეილ ახალაური. 2.დათო რაზმაძე (ორივე - ახმეტა, კომპლექსური სკოლა) 3.მერაბ ქალდანი (მარნეული) და ჯაბა ონიანი (ქუთაისი).

**ლელა ხეჩოშვილი**
ახმეტიდან

● თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა წინათქმა

# დილომში დიდ ბრძოლებს გვპირდება

## მოძმანაშვილი და მისი კონკურენტები საქართველოსთვის ემზადებიან

### გორელთა დანაკლისი საქართველოზე

27-28 ნოემბერს დილომში, ძიუდოს აკადემიაში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება თავისუფალ ჭიდაობაში. ამით ჩვენი გუნდი ახალი ოლიმპიური ციკლისთვის მზადებას შეუდგება, ანუ შეიძლება ითქვას, თვისებრივად ახალ ეტაპსაც დაიწყებს. ცხადია, იქნება საკადრო ცვლილებებიც, რაც ჩვეულებრივ მოსდევს ხოლმე ახალ ოლიმპიურ ციკლს, ვინაიდან ბევრი ამთავრებს კარიერას. თუმცა წლებს თაობათა ცვლაც მოაქვს და ძველ ლიდერებს ახლები ენაცვლებიან. ტრადიციულად, ეს ტურნირი ევროპის პირველობისთვის მთავარი შესარჩევი შეჯიბრება იქნება, ხოლო მისი მნიშვნელობა მით უფრო იზრდება იმ ფონზე, რომ გაისად, 19-24 მარტს, კონტინენტის პირველობას თბილისი უმასპინძლებს.

თაობათა ცვლა ჩვენს გუნდსაც შეეხო და დღეს გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლონდონში ნაჭიდავები ოლიმპიური გუნდიდან პეკინის თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ოთარ თუშიშვილი** (66) და გორელთა მეორე ლიდერი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიადის ორგზის მესამე პრიზიორი **გიორგი გოგშელიძე** (96) ქვეყნის პირველობაში არ გამოვლენ. ლამის ერთიანად ტრავმირებული თუშიშვილი საბოლოოდ წავიდა სპორტიდან, გოგშელიძე ჯერ კი რჩება, მაგრამ, ეტყობა, სანაკრებო კარიერის გაგრძელებაზე საბოლოო გადაწყვეტილება კვლავაც არ მიუღია და აქცენტს უფრო საკლუბოზე აკეთებს. როგორც მისმა პირადმა მწვრთნელმა **ნუგზარ სხირელმა** გვითხრა, ის ვარჯიშობს, მაგრამ არა სრული დატვირთვით და ჩემპიონატში არ გამოვა. ამის მიუხედავად, მაინც ვიტოვებთ იმედს, რომ ქართველი ქომაგი მას ევროპის ჩემპიონატზე იხილავს, თუმცა მწვრთნელის თქმით, ამ ეტაპზე საამისოდ არ ემზადება.

### სამი თაობა მძიმე წონაში

ვფიქრობთ, ქომაგს განსაკუთრებით აინტერესებს გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსნისა და მსოფლიოს მესამე პრიზიორ **დავით მოძმანაშვილის** (120) ამბავი. ჩვენ უკვე ვწერდით მისი ტრავმის შესახებ, რომელიც სპორტსმენმა გადაჭედილ დარბაზში მიიღო, რის გამოც კარგა ხანს ლეიბზე ვერ ვარჯიშობდა და მხოლოდ ფიზიკურად იტვირთებოდა. როგორც მისმა პირადმა მწვრთნელმა **დავით ხურციამ** გვითხრა, მოძმანაშვილმა ლეიბზე ვარჯიში დაახლოებით 10 დღის წინ დაიწყო, თუმცა ნატკენი კოჭი ჯერ კიდევ აწუხებს. თავად სპორტსმენს საქართველოს ჩემპიონატში გამოსვლის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ ვნახოთ, მანამდე სრულყოფილად გამოჯანმრთელებას თუ მოასწრებს. იმედს გვიტოვებს ის გარემოება, რომ სარეაბილიტაციო პერიოდი დადებითად მიდის. საკითხავი მხოლოდ ისაა, ჩაეტევა თუ ვერა დროში.

ხურციასავე თქმით, მძიმე წონაში აუცილებლად იჭიდავებენ მოძმანაშვილის მთავარი კონკურენტები - **გიორგი საკანდელიძე** და **გენო პეტრიაშვილი**. ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანმა საკანდელიძემ შემოდგომაზე ზედიზედ ოთხი ტურნირი მოიგო და მომზადების საკმაოდ კარგი დონე გამოავლინა. ამდენი არ უჭიდავია, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებში ასევე წარმატებით გამოვიდა ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი, ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორი პეტრიაშვილი. ქვეყნის ჩემპიონატში მათი გამოსვლა უთუოდ აამაღლებს შეჯიბრების დონეს.

სიტყვამ მოიტანა და ამ წონაში თაობათა საინტერესო ჯაჭვი იწყება - მოძმანაშვილი ჯერ 26 წლისაა და თავისუფლად ჩაატარებს კიდევ ერთ ოლიმპიურ ციკლს, საკანდელიძე - 22 წლისაა, პეტრიაშვილი კი - 18-ის. როგორც ხედავთ, მათ შორის ასაკში 4-4-წლიანი სხვაობაა და, პრაქტიკულად, ეს სამი სხვადასხვა თაობაა. თან სასიამოვნოა, რომ ასაკობრივი სხვაობა ასე ერთმანეთის მიყოლებით მიდის, ანუ სწორი მუშაობის შემთხვევაში წყვეტა არ გვექნება. თან სამივეს რეალურად ხელეწიფება მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა ანუ მინიმუმ, სამი ოლიმპიური ციკლი აქ დიდ შედეგებს უნდა ველოდოთ. ოღონდ ისევ გავიმეორებთ, რომ საამისოდ სწორი მუშაობაა საჭირო, ხოლო თუ ამ პერიოდში სხვა კადრების აღზრდასაც მოვახერხებთ და კონკურენციას გავზრდით, მთლად უკეთესი.

სამწუხაროდ, ამ წონაში ვერ იასპარეზებს ახალი თაობის კიდევ ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი, საკანდელიძის თანატოლი **ლევან ბერიანიძე**, რომელმაც 2010 წელს მოსკოვში გამართულ უფროსთა მსოფლიოს პირველობაზე 20 წლისამ მოუგო ირანელ მსოფლიოს პრიზიორ **ფარიდ მასოუმი ვალადის** და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ბედის ირონიით, ჯერჯერობით ეს მისი ბოლო წარმატება აღმოჩნდა, რაც ძირითადად ჭარბი წონის ბრალია. როგორც მისმა პირადმა მწვრთნელმა **თამაზ ბენდიანიშვილმა** გვითხრა, მას ახლაც უჭირს წონის დაკლება და ამიტომ ვერ გამოდის ქვეყნის ჩემპიონატში. ამასობაში კი



ვრცელდება ხმები, რომ ბერიანიძე სუმოში გადადის. ბენდიანიშვილის თქმით, თუ წონითი კატეგორიები შეიცვალა და კულუარული ხმების თანახმად, მძიმე წონის ზედა ზღვარი 120-დან 130 კილოგრამამდე გაიზარდა, მაშინ შესაძლებელია „თავისუფალში“ დარჩენაც, რადგან იმ ნიშნულამდე დაკლებას მოახერხებს.

### 96-ის კოჯორბა

შესაძლოა, საქართველოს ჩემპიონატში მძიმე წონის ნაცვლად 96-ში იჭიდავოს **თედორე ებანოიძემ**, რომელიც შარშან ახალგაზრდებში ევროპაზე მესამე იყო, მსოფლიოზე კი ვერცხლი მოიპოვა. 21 წლის ხარაგაულელი ფალავანი სულაც 96-ის წარმომადგენელია, მაგრამ შარშან, მისთვის ჯერჯერობით ყველაზე წარმატებულ სეზონში ახალგაზრდულ ნაკრებში სხირელმა საინტერესო ექსპერიმენტის მონაწილედ აქცია - ევროპის პირველობაზე 96-ში აჭიდავა, მაგრამ მსოფლიოსთვის მძიმეში გადაიყვანა, სადაც ბევრად უკეთ გამოვიდა. ვნახოთ, სად დარჩება ებანოიძე საბოლოოდ, მაგრამ თუ 96-ში ჩამოინაცვლებს, აქაც საინტერესო კონკურენცია გველოდება - ებანოიძე და მასავით ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი, (ოღონდ 96-ში) ბათუმელი **მამუკა კორძაძე**, გორელი **ომარ გუსოშვილი** (ის ამჟამად ფრანგულ კლუბშია, მაგრამ 20-ში ჩამოდის თბილისში ამ ტურნირისთვის), ამბროლაურელი **გიორგი მეშვილდიშვილი**, ძველი თაობის წარმომადგენლები - **ელიზბარ ოდიკაძე, დაჩი ქერაშვილი** და სხვები... დაგვეთანხმებით, აქაც დაძაბული შეხვედრები გველოდება და თუ მათ ებანოიძეც დაემატა... თუმცა ამან მძიმეშიც რომ იჭიდაოს, იქაც გვარიანად გააძლიერებს წონას. მთავარია, ებანოიძემ ტრავმა მოირჩინა და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ისევ იჭიდავებს.

### დანარჩენები

ნაკრების მწვრთნელთა თქმით, ქვეყნის პირველობაში ყველა ლიდერი გამოვა. მათ შორის - ლონდონის ოლიმპიადის მონაწილენი: იმ თამაშებისა და ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი**, ოღონდ ის უკვე ახალ წონაში, 60-ში იასპარეზებს, ევროპის ვიცე-ჩემპიონი **მალხაზ ზარქუა** (60), მსოფლიოსა და ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **დავით ხუციშვილი** (74) და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის მესამე პრიზიორი **დავით მარსაგიშვილი** (84). სრულად იქნება წარმოდგენილი „გორელთა დესანტიც“, რომელიც ან ახალგაზრდული ნაკრების ლიდერის, ანაც - ეროვნული გუნდის კანდიდატი. მათ შორის ის სამეულიც, რომელმაც ამ უქმეებზე მოსკოვში „ერთა თასზე“ იჭიდავა - ზემოხსენებული პეტრიაშვილი, ახალგაზრდებში მსოფლიოს წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66) და ასევე ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელი მესამე პრიზიორი **ჯუმბერ ყველაშვილი** (74). ვფიქრობთ, ამ სამეულიდან ყველაზე საინტერესო ხაბალაშვილის გამოსვლა იქნება - ვნახოთ, რამდენად ღირსეული ცვლა ეზრდება თუშიშვილს და სახელოვანმა ვეტერანმა რამდენად კარგად ასწავლა ხეზე ასვლა თანაქალაქელ კონკურენტსა და სპარინგ-პარტნიორს. არადა, ხაბალაშვილმა წლეულს 20-წლამდელთა საქართველოს პირველობაც კარგი ჭიდაობით მოიგო.

სავარაუდოდ, დილომში მსოფლიოს წლევანდელი ახალგაზრდული პირველობის მეორე ვერცხლის მედალოსანი, ხაშურელი **ლაშა ტალახაძეც** (55) გამოვა, წერილს კი გორელთა გადაუჭრელი პრობლემით დავასრულებთ - ქართული კი არა, მსოფლიოს ჭიდაობისთვის მეტი რა უნდა გააკეთოს ამ ქალაქმა, ერთი ნორმალური დარბაზი რომ აღირსონ?! გორელებს მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე, ასევე ოლიმპიადაზე 3-4 კაცი ყოველთვის ჰყავთ, მათი მოპოვებული მედლები კი ცალკე რომ დავითვალოთ, ბევრ დიდ ქვეყანას გაუსწრებენ, მაგრამ დღემდე ერთი ციდა დარბაზში ვარჯიშობენ. თუმცა ესეც არ აკმარეს და მწვრთნელთა თქმით, შარშან დარბაზის რემონტს (რაც, არსებითად, კოსმეტიკური რემონტი იყო) საპირფარეშოების დამატების ხარჯზე თურმე საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი დარბაზიც შესწირეს. როგორც გვითხრეს, დღეს არც ის ტუალეტები მუშაობს და არც შტანგების დარბაზი შერჩათ. იმედია, ახალი ხელისუფლება მაინც მოაგვარებს მათ პრობლემას.

**ირაკლი თავაძე**

სპეციალისტის აზრი. გამოხმაურება

# ურთიერთგაგებაში ძალიან მოვიკოჭლებთ

*ჩვენს ძიუდოში მომხდარ მორიგი დაპირისპირების ფაქტზე „ლელოს" გუშინწინდელი ნომერი იუწყებოდა. ქართული სპორტის ქომაგს მოეხსენება, რომ სპორტის ამ სახეობაში უთანხმოების, დისციპლინის დარღვევის და საზოგადოდ სკანდალური შემთხვევები, სამწუხაროდ, ბოლო წლებში იშვიათობას აღარ წარმოადგენს. ამ ამბებით, ბუნებრივია, უკმაყოფილოა ფალავანიც, მწვრთნელიც და ქომაგიც. შექმნილ ვითარებაში აზრის დაფიქსირება ძიუდოს ერთ-ერთ ფუძემდებელს საქართველოში გურამ პაპიტაშვილს ვთხოვეთ.*



გურამ პაპიტაშვილი

**- ბატონო გურამ, ბოლო წლებში საქართველოს ნაკრებში ბევრჯერ იჩინა თავი კონფლიქტმა მწვრთნელებსა და სპორტსმენებს, ზოგჯერ უშუალოდ ძიუდოისტებს შორის. შეხლა-შემოხლა თავს იჩენდა ლამის ყველგან, დაწყებული სოფლად ქართული ჭიდაობის ტურნირიდან, გაგრძელებული შეკრებაზე ინციდენტებით, დედაქალაქში, საქართველოს (ახალგაზრდული) ჩემპიონატზე, ცემა-ტყეპით. უცხოეთშიც არაერთხელ გავეხვიეთ სკანდალში. კონფლიქტთა ნაწილი არც გახმაურებულა, თორემ ვითარება სამარცხვინოდაც ჩაითვლება.**

- ქართული ძიუდოს ოჯახი ამაყობდა ერთიანობით, გამტანობით და ერთმანეთისადმი პატივისცემით, თუმცა თუნდაც თქვენ მიერ ჩამოთვლილმა არაერთმა შემთხვევამ ცხადი გახადა, რომ დღესდღეობით ურთიერთგაგებაში ძალიან გვიჭირს. მხოლოდ წუხილის გამოთქმა იმაზე, თუ ეს რა დღეში ჩავცვივდით, საკმარისი არაა. ყველა ვალდებული ვართ, როგორც შეგვიძლია დავეხმაროთ ერთმანეთს კონფლიქტების აღმოფხვრასა და საერთოდ წარმოქმნილი პრობლემების საფუძველშივე გადაჭრაში. ეს უთანხმოება უნდა დასრულდეს! მოხდა ისე, რომ ცალკეულ შემთხვევებზე დიდი ხნის განმავლობაში არ ხდებოდა სათანადო რეაგირება და ამან გაფანტა გუნდის ერთიანობა, მწვრთნელი (არა მხოლოდ ერთი კონკრეტული სპეციალისტი) დარჩა ცალკე, სპორტსმენები კი სხვა მხარეს აღმოჩნდნენ. მეორე მხრივ, როცა სპორტსმენი დასასჯელია, ფედერაციის აღმასკომმა უნდა იმსჯელოს და მისი საქციელი სათანადოდ შეაფასოს, რათა დისციპლინის დარღვევა წაყრუებით არ წახალისდეს.

**- პრობლემა ძიუდოს ფედერაციის სათავეშია?**

- რასაკვირველია, ფედერაციის ხელმძღვანელობას ბევრი მოეთხოვება, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მათი გადაჭრა, ვიდრე საქმე გართულდება, მწვრთნელებს უნდა ხელეწიფებოდეთ. ჩვენთან ძიუდოს შემოსვლამდე ქართული ჭიდაობის ფედერაციას სათავეში აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი ედგა, შემდეგ მოვიდა „საქსოფლტექნიკის" მმართველი გვარად სარიშვილი, იგი შეცვალა ფირანიშვილმა, სახელმწიფოს კიდევ ერთი საწარმოს დირექტორმა. არც ერთი მათგანი ჭიდაობიდან არ იყო მოსული, მაგრამ შესანიშნავად მართავდნენ ფედერაციას. გუნდის შიგნით პრობლემების შესახებ კი მათ არასდროს არაფერი გაუგიათ. მწვრთნელები თავად ვაგვარებდით ფალავნებთან ურთიერთობებს და, რაც მთავარია, ძალიან კარგადაც. ფედერაციას შეიძლება უკეთ უხელმძღვანელოს ყოფილმა მოჭიდავემ, თუ პიროვნებამ, რომელსაც ადრე არ უჭიდავია, მაგრამ მწვრთნელი, თუ ის კარგი პედაგოგი არ არის - წარმატებით ვერ იმუშავებს. მწვრთნელობა მხოლოდ ის არ არის, ფალავანს „მოგვერდის", ან „ბრუნის" საჭირო დროს შესრულება ასწავლო, პედაგოგის თვისებებიც უნდა გააჩნდეს. ყველაზე რთულ სპორტსმენთან ურთიერთობაც უნდა შეძლოს მწვრთნელმა.

**- ეროვნული გუნდის ამჟამინდელ ხელმძღვანელებზე რას გვეტყოდით?**

- სამივე მათგანი (ირაკლი ცირეკიძე, ლაშა გუჯეჯიანი, გიორგი ვაზაგაშვილი) ახალგაზრდები არიან და ტიტულები არ აკლიათ. მათ მხოლოდ წარმატებები მინდა ვუსურვო, მით უფრო, რომ სულ ცოტა ხანია, რაც ამ საპასუხისმგებლო საქმეს შეეჭიდნენ. შორიდან მინიშნებებს კი აჯობებდა უშუალოდ შევხვედროდი და ჩემი გამოცდილება გამეზიარებინა. ამის სურვილი მქონდა, მაგრამ შეხვედრა არ მოხერხდა, ვნახოთ, იქნებ მომავალში გამოვიდეს. სხვათა შორის, მე თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი ნაკრების სათავეში უცხოელი სპეციალისტის მოსვლისა. ჩვენ სხვა ფსიქოლოგიის ხალხი ვართ და თანაც თარჯიმანის მიერ „გადათარგმნილი დარიგებისაც" არ მჯერა. მე რასაც ქართველ მოჭიდავეს ავუხსნი, უცხოელი ვერანაირი თარჯიმანის დახმარებით იქამდე ვერ მიიტანს. ბოლოს მინდა დავამატო, რომ დღესდღეობით საქართველოში არის დიდი წარმატებებისთვის შესაფერისი სავარჯიშო პირობები, საშეჯიბრებო პრაქტიკა, მატერიალური წახალისება, მყარი ტრადიციები, მაგრამ არ არის ერთმანეთის აზრის პატივისცემა და ვიდრე ასეა, ძალიან გაგვიჭირდება ერთმანეთთან ურთიერთობაც და დიდი გამარჯვებების მოპოვებაც!

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

*დავით ასპანიძის ფოტო*

ჭადრაკი



ლელა ჯავახიშვილი (მარცხნივ)

# ოთხიდან ორი ბრძოლას განაგრძობს

რუსულ ხანტი-მანსიისკში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი რაუნდის კლასიკური პარტიებით მოიპოვა მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება **ნინო ხურციძემ,** რომელმაც ბერძენ ელენა დემბოს 1,5:0,5 სძლია. დანარჩენ სამ ქართველ დიდოსტატს ტაი ბრეიკებით უნდა გაეკვალა გზა. **ლელა ჯავახიშვილმა** ანასტასია ბოდნარუკთან (რუსეთი) პირველი პარტია შავებით დათმო, სამაგიეროდ, მეორე ხელი თეთრებით მოიგო და წონასწორობა აღადგინა. ორი ოცდახუთწუთიანი პარტიაც (ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) ყაიმით დასრულდა. პირველ ათწუთიან პაექრობასაც სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, მეორეში კი ჯავახიშვილმა შავებით იმარჯვა და საბოლოოდ 3,5:2,5 აჯობა მეტოქეს.

**ბელა ხოტენაშვილმა** ჩემპიონატი მოგებით დაიწყო კუბელ მარიცა რობაინა არიბასთან, მაგრამ მეორე კლასიკური პარტია დათმო. გუშინ საქართველოს ნაკრების წევრი პირველსავე 25-წუთიან პაექრობაში თეთრებით დამარცხდა, განმეორებითი შეხვედრა ყაიმით დასრულდა (საბოლოოდ 2,5:1,5) და მედლებისთვის ბრძოლას ოკენისგალმელი განაგრძობს. 41 წლის კუბელი დიდოსტატისგან, რომლის რეიტინგი მხოლოდ 2273 პუნქტს აღწევს, ამგვარ წარმატებას, ალბათ, არავინ ელოდა.

უკვე ვწერდით, რომ ჩემპიონატის სტარტზე ქართველთაგან ყველაზე ძლიერი მეტოქე **სოფიკო ხუხაშვილს** ერგო - სომხეთის ქალთა ნაკრების ლიდერი ელინა დანიელიანი. ძირითადი პარტიების შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო. ტაი ბრეიკებში პირველი 25-წუთიანი შეხვედრა ხუხაშვილმა მოიგო და მიზანსაც მიუახლოვდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა - ზედიზედ სამ პარტიაში ჩვენმა სამხრეთელმა მეზობელმა იმარჯვა (4:2) და ხუხაშვილიც ჩემპიონატს დაემშვიდობა.

ტურნირზე ყველაზე ხანგრძლივი უკრაინელი მარია მუზიჩუკისა და რუმინელი ადელა-ქრისტინა ფოიშორის მინიმატჩი გამოდგა. კლასიკურმა, 25 და 10-წუთიანმა პარტიებმა, ასევე, ბლიცებმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. არმაგედონში წუთით მეტი დრო და თეთრი ფიგურები ფოიშორს ერგო, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია - პარტია ყაიმით დამთავრდა, რამაც მომდევნო ეტაპისკენ გზა უკრაინელს გაუკაფა.

გუშინდელი ტაი ბრეიკების შემდეგ დანარჩენი ოთხი ორთაბრძოლა ასე დამთავრდა: ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) - ათუშა პურკაშიანი (ირანი) 4:2, ნატალია პოგონინა (რუსეთი) - სვეტლანა მატვეევა (რუსეთი) 3:1, ირინა კრუში (აშშ) - ლი რუფეი (სინგაპური) 4,5:3,5, ალისა გალიამოვა (რუსეთი) - ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) 3:1.

დღეს მეორე ეტაპის პირველი ტურის შეხვედრები გაიმართება. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ჰოუ იფანი (ჩინეთი) - მონიკა სოჩკო (პოლონეთი), ჰამფი კონერუ (ინდოეთი) - ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), ანა მუზიჩუკი (სლოვენია) - ანა უშენინა (უკრაინა), ჟაო სიუ (ჩინეთი) - **ნინო ხურციძე** (საქართველო), კატერინა ლაგნო (უკრაინა) - **ლელა ჯავახიშვილი** (საქართველო), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) - ლილით მკრტჩიანი (სომხეთი), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) - ჰუან ძიანი (ჩინეთი), მარი სებაგი (საფრანგეთი) - ოლგა გირია (რუსეთი), ვალენტინა გუნინა (რუსეთი) - ალისა გალიამოვა (რუსეთი), პია კრამლინგი (შვედეთი) - ირინა კრუში (აშშ), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) - ჰოანგ თან თრანგი (უნგრეთი), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) - ელინა დანიელიანი (სომხეთი), მარიცა არიბასი (კუბა) - მარია მუზიჩუკი (უკრაინა), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) - ნატალია პოგონინა (რუსეთი), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) - ანა ზატონსკიხი (აშშ), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) - ჟუ ჩენი (ყატარი).

**ვაჟა დანელია**

# რუბიკონთან მწირი საპრიზო შანსებით

8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე, რომელსაც სლოვენიური მარიბორი მასპინძლობს, ასპარეზობის მონაწილეებმა რუბიკონი გადალახეს: თერთმეტტურიანი მარათონიდან ნახევარზე მეტი მიილია.

რა მდგომარეობაა ასაკების მიხედვით და ჩვენს გოგო-ბიჭებს საპრიზო ადგილებისთვის რა შანსი შერჩათ?

**8-წლიან** გოგონებში **დიანა ლომაიამ,** რომლისგანაც აშკარად უკეთეს თამაშს მოველოდით, მე-6 ტურში შავი ფიგურებით ბოლივიელ არიანა ანტეზანას სძლია და 4 ქულა მოაგროვა, თუმცა ერთპიროვნულ ლიდერს - ირანელ მოთაჰა ასადის 1,5 ქულით ჩამორჩება. ამავე ასაკის ბიჭებში **ნიკოლოზ კაჭარავას,** რომელმაც ხასბილეგ ცოგბაატარის (მონღოლეთი) ძლევით 4 ქულას მოუყარა თავი, ნადირბეკ აბდუსატოროვი (უზბეკეთი) ორი ქულით უსწრებს.

**10-წლიანებში,** როგორც გაუწყეთ, გოგონები არ გვყავს, ბიჭებმა კი ბოლო ტურში ასე ითამაშეს: **ლუკა ობოლაძე** - ანტონი ჟანი (ინგლისი) 1:0, **დავით კამკია** - არტიომ ტრუბჩანინოვი (რუსეთი) 0:1, ლიამ რიჩმონდი (სლოვენია) - **ნიკოლოზ პეტრიაშვილი** 0:1. ობოლაძეს 4, კამკიას და პეტრიაშვილს 3-3 ქულა აქვთ, ჰოი ან ნგუენი (ვიეტნამი) 6 ქულით მეწინავეობს.

**12-წლიან** გოგონებში კვლავ დამარცხდა **ლელა ქორიძე,** ამჯერად - სივანესან ნიდიალაკშმისთან (მალაიზია) და 3 ქულა აქვს, გათამაშების ცხრილის სათავეში კი 5,5-5,5 ქულით რუთონ ჩუ (ჩინეთი) და ჟანსაია აბდუმალიკი (ყაზახეთი) მოექცნენ. ბიჭებშიც ამდენივე ქულით ორი ლიდერია - სამუელ სევიანი და ჯეფრი სიონგი (ორივე - აშშ). ქართველი მოჭადრაკე **ირაკლი ახვლედიანი,** რომელსაც 4 ქულა აქვს, 44-ე ადგილზე იმყოფება.

**14-წლიანებში ნინო ხომერიკმა** შავი ფიგურებით ლია ჩეკმარევას (რუსეთი) მოუგო, **ნინო დახუნდარიძე** ევა არაზანსკას (პოლონეთი) დაუზავდა, **მაია მუმლაძემ** კი ჟანა ჰარაზინსკას (რუსეთი) დაამარცხა. ხომერიკს 4,5, დახუნდარიძეს - 4, მუმლაძეს კი 3 ქულა აქვთ, მონიშას (ინდოეთი) და აგატა ბიკოვცევს (აშშ) 5,5-5,5 ქულა. ბიჭებში **გიორგი სიბაშვილი** კანადელ რიჩარდ ვანგს დაუზავდა და 5 ქულით მეორე-მეცხრე ადგილებს იყოფს, სლოვაკ ლიდერს - ქრისტოფერ რეპკას ნახევარი ქულით ჩამორჩება. **ნოე თუთისანი** 3,5 ქულით 54-ეა.

**16-წლიანებში ნატო იმნაძემ** ალისე ჰუანი სიაოს (ჩინეთი) დამარცხებით სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. თუმცა 5,5 ქულიან იი სიაოს (ჩინეთი) 1,5 ქულით ჩამორჩება. **ანა შამათავამ** მხოლოდ 3 ქულის მოგროვება შეძლო. ვაჟებში **ირაკლი ბერაძე** მაქსი ჩიგაევს (რუსეთი) ყაიმზე შეუთანხმდა. 5 ქულით იგი მეორე-მექვსე ადგილებს ინაწილებს. 5,5 ქულით წინ არის იური ელისეევი. **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი**- 4, **გიგლა ბენიძე** - 3 ქულა.

**18-წლიანებში** ერთადერთი წარმომადგენელი გვყავს - სხვადასხვა ასაკში მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი **მერი არაბიძე,** რომელმაც მე-6 ტურში მარია გევორქიანი (სომხეთი) დაამარცხა და 4 ქულა აქვს, 5-5 ქულით ერთბაშად 5 მოჭადრაკე მეწინავეობს.

დღეს მე-7 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

სუმო. კიუშუს ბაშო. 11-25 XI

# ესტონელი ჩემპიონის ტიტულს კარგავს, ქართველთა მოგება-წაგება

გუშინ კიუშუს ბაშოზე პირველი გამარჯვება იზეიმა მე-7 მაეგაშირა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**. მან ოშიდაშით აჯობა მე-4 მაეგაშირა **ტაკაიასუს**. ელიტის ყველაზე მძიმე სუმოისტს 1-2 ბალანსი აქვს, დღეს მისი მეტოქე მე-9 მაეგაშირა **შოტენროა**.

ზედიზედ მეორედ დამარცხდა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)**. ქართველს ბულგარელმა ოძეკი **კოტოოშუმ** აჯობა. ტოჩინოშინსაც 1-2 ბალანსი აქვს და დღეს იგი მე-4 მაეგაშირა **მასუნოიამას** დაეჭიდება.

კიუშუს ბაშოდან ორი სუმოისტი მოიხსნა ტრავმების გამო - ესტონელი ოძეკი **ბარუტო** და მონღოლი **ასასეკირიუ. შოჰოზანთან** პაექრობისას ბარუტომ კუნთი გაიწყვიტა, ამიტომ მისი დაბრუნება ამ ბაშოზე თითქმის გამორიცხულია. ამიტომ ბარუტო ოძეკის ტიტულს დაკარგავს და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბრუნებს, თუკი იანვრის ბაშოზე 15-დან სულ მცირე 10 ორთაბრძოლას მოიგებს.

**III დღე**

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები):** ჰაკუჰო-ოკინოუმი (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-ტოჩიოძანი (იორიკირი), კოტოშოგიკუ-კაისეი (უვატენაგე), კოტოოშუ-ტოჩინოშინი (იორიკირი), გოეიდო-ბარუტო (უბრძოლველად), კაკურიუ-შოჰოზანი (ოკურიდაში), კისენოსატო-ჰომაშო (იორიკირი), ამინიშიკი-მიოგირიუ (ოშიტაოში), კიოკუტენჰო-ტაკეკაძე (უვატენაგე), გაგამარუ-ტაკაიასუ (ოშიდაში).

**IV დღე**

**(მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰაკუჰო-კაისეი, ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი, კოტოოშუ-ტაკეკაძე, კაკურიუ-ჰომაშო, კისენოსატო-ტოჩიოძანი, კოტოშოგიკუ-ოკინოუმი, გოეიდო-ამინიშიკი, მიოგირიუ-ტაკაიასუ, ტოჩინოშინი-მასუნოიამა, გაგამარუ-შოტენრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს **ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის** 2012 წლის 17 ოქტომბრის აღმასკომის სხდომის გადაწყვეტილებასთან და გაზეთ "ლელოში" მ.წ. 18 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებასთან დაკავშირებით ფედერაცია დამატებით იუწყება, რომ ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართება დანიშნულ დროს, 19 ნოემბერს 12 სთ-ზე ქ. მცხეთაში ფედერაციის ოფისში..

**დღის წესრიგი**

1. ფედერაციის ანგარიში 2011 და 2012 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ;
2. წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
3. პრეზიდენტის არჩევნები.

ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის ვადაა 12 ნოემბრის 15 საათამდე.

ფედერაციის მისამართი: ქ. მცხეთა. აღმაშენებლის 73 ბ. ტელ: 2 51 27 51

საქართველოს **სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია** აცხადებს, რომ 2012 წლის 20 ნოემბერს, 15 საათზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში ჩატარდება ფედერაციის პრეზიდენტის საარჩევნო ყრილობა.

ფედერაციის გამგეობა.

ლელოს დარბაზი

გიწვევთ!

ყველას, ვისაც სურვილი აქვს ჩაატაროს პრესკონფერენცია, ბრიფინგი, შეხვედრა, პრეზენტაცია და ა.შ. ჩვენი რედაქცია მზადაა დაუთმოს „ლელოს" დარბაზი" ნებისმიერ დღეს „მედია პალიტრას" შენობაში (მისამართი: იოსებიძის, 49).

რედაქცია

## კალათბურთი

ევროჩელენჯი

# ვერ შევწვდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

### არადა, გიგანტები არც ბელგიელები იყვნენ

13 ნოემბერი, თბილისი

**არმია-ანტვერპენი 71:80**

16:15, 22:19, 14:20, 19:26

სპორტის სასახლე, 5000 მაყურებელი

მსაჯები: მ. ლიჩინა (სერბეთი), ა. დემეტრიუ (კვიპროსი), ზ. ილმაზი (თურქეთი)

| არმია | ნთ | თამ.სრ. | % | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.მეტ. | მ.საკ. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.მეტ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. გამყრელიძე | 30 | 1/6 | 16.7 | 1/3 | 33.3 | 0/3 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 5 | 4 | -5 | 2 |
| *6. ა. ბოისა | 10 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | -5 | 0 |
| *7. ვ. ბოისა | 21 | 0/3 | 0.0 | 0/3 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 2 | -6 | 0 |
| *10. მილეიჯი | 30 | 9/14 | 64.3 | 7/7 | 100.0 | 2/7 | 28.6 | 4/5 | 80.0 | 2 | 2 | 4 | 3 | 2 | 2 | 0 | 1 | 6 | -6 | 24 |
| 14. შელბომი | 14 | 1/4 | 25.0 | 1/4 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 2 | 2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 1 | 2 | 3 |
| 21. საყვარელიძე | 4 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | -4 | 2 |
| 22. ფეისონი | 29 | 5/11 | 45.5 | 4/8 | 50.0 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0 | 3 | 3 | 1 | 2 | 2 | 2 | 5 | 0 | -13 | 11 |
| 24. ჯგერენაია | 3 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | -1 | 0 |
| *32. უილსონი | 38 | 7/14 | 50.0 | 3/4 | 75.0 | 4/10 | 40.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 13 | 13 | 3 | 4 | 0 | 2 | 3 | 2 | -10 | 20 |
| 55. ფარლალავა | 21 | 3/8 | 37.5 | 0/4 | 0.0 | 3/4 | 75.0 | 0/2 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 5 | 1 | 3 | 9 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 27/62 | 43.5 | 17/34 | 50.0 | 10/28 | 35.7 | 7/11 | 63.6 | 7 | 25 | 32 | 16 | 15 | 5 | 6 | 26 | 17 | | 71 |

| ანტვერპენი | ნთ | თამ.სრ. | % | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.მეტ. | მ.საკ. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.მეტ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. მოორსი | 34 | 3/7 | 42.9 | 1/4 | 25.0 | 2/3 | 66.7 | 5/6 | 83.3 | 1 | 3 | 4 | 7 | 4 | 1 | 0 | 4 | 5 | 6 | 13 |
| 5. დრიესენი | 3 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -3 | 2 |
| 6. ბიგსი | 24 | 4/8 | 50.0 | 2/5 | 40.0 | 2/3 | 66.7 | 4/5 | 80.0 | 0 | 6 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 4 | 4 | 14 |
| *7. ჰოპკინსი | 34 | 6/17 | 35.3 | 2/8 | 25.0 | 4/9 | 44.4 | 8/9 | 88.9 | 1 | 5 | 6 | 3 | 4 | 2 | 0 | 3 | 8 | 15 | 24 |
| *8. თონდიკი | 35 | 3/4 | 75.0 | 3/4 | 75.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 2 | 2 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 2 | 9 | 7 |
| 11. დე ზეეუვი | 14 | 3/5 | 60.0 | 1/3 | 33.3 | 2/2 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 4 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 2 | -1 | 8 |
| *12. მვემა | 18 | 2/6 | 33.3 | 2/4 | 50.0 | 0/2 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 2 | 3 | 5 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 10 | 4 |
| 13. რიდი | 15 | 1/3 | 33.3 | 0/1 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | -2 | 3 |
| *15. ლავი | 23 | 2/5 | 40.0 | 2/5 | 40.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 3 | 3 | 6 | 1 | 2 | 2 | 4 | 1 | 3 | 7 | 5 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 1 | 2 | | 1 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 25/56 | 44.6 | 14/35 | 40.0 | 11/21 | 52.4 | 19/26 | 73.1 | 9 | 28 | 37 | 19 | 18 | 10 | 5 | 17 | 26 | | 80 |

*ნთ - წუთი, თამ.სრ. - თამაშიდან სროლა, 2ქ - ორქულიანი, 3ქ - სამქულიანი, 1ქ - საჯარიმო, მ.მეტ. - მოხსნა მეტოქის ფარზე, მ.საკ. - მოხსნა საკუთარ ფარზე, მ - მოხსნა სულ, პ - პასი, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, ფ.მეტ. - ფოლი მეტოქეს, +/- - ანგარიშში სხვაობა მოედანზე ყოფნისას, ქ - ქულა*



ლემეინ უილსონი

### მაღალი

„ანტვერპენის გიგანტები“, ასე უწოდებენ „არმიას“ გუშინდელ მეტოქეს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ბელგიელთა ყველაზე სუსტი წერტილი სიმაღლეა. უფრო გასაგებად: **ედი კასტელსის** გუნდში 216 სმ სიმაღლის **დრიესენი** კი თამაშობს, მაგრამ იგი მწვრთნელმა, ფაქტობრივად არც გამოიყენა, არათუ ნომინალური ცენტრის, არამედ ნომინალური მძიმე ფორვარდის გარეშე თამაშობდა. ასეთ გუნდებს ყოველთვის უჭირთ ტანმაღალ მეტოქეებთან, საკმარისია ერთი კარგი შემტევი ტიპის ცენტრი, რომ მოწინააღმდეგეს ფარქვეშ უპირატესობა გარანტირებული ჰქონდეს.

...მაგრამ, სამწუხაროდ, „არმიაც“ სწორედ ასეთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა და მატჩიც სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. რას ნიშნავს „სწორედ ასეთი პრობლემა“? - **კოტე ტულუშის** განკარგულებაშია 213 სმ სიმაღლის **იოაკიმ შელბომი**, რომელიც გასულ სეზონში უკეთესად თამაშობდა, ერთ-ერთი მატჩის გადამწყვეტ მომენტში ფარქვეშიდანაც ეფექტურად ირჯებოდა და მეტიც - სამქულიანიც ჩააგდო. თუმცა გუშინ იოაკიმზე იმავეს თქმა შეიძლება, რაც ბელგიელ დრიესენზე - მწვრთნელმა იგი „ფაქტობრივად არც გამოიყენა“. ასევე ცენტრის პოზიციაზე ირჯებოდა **ვლადიმერ ბოისა**, თუმცა მოედანი უქულოდ დატოვა. კოტე ტულუშს არ გამოუყვანია, ნომინალური ცენტრი **დავით უგრეხელიძე**, ხოლო მესამე პერიოდში ცენტრად მოძრავი **გიორგი ჯგერენაია** მოსინჯა (რომელმაც ისრაელში კარგად ითამაშა), მაგრამ საბოლოოდ აქცენტის უკანახაზელებზე გადატანა გადაწყვიტა და მეოთხე პერიოდის მეორე ნახევარში ფარქვეშეთი **ლემეინ უილსონსა** (ამპლუით მსუბუქი ფორვარდი) და **მარკუს ფეისონს** (მსროლელი/ფორვარდი) მიანდო.

ნამატჩევს მთავარმა მწვრთნელმა, კოტე ტულუშმა აღნიშნა:

- ვფიქრობ, პრობლემა შესამჩნევია, ფაქტობრივად მაღლების გარეშე მოგვიწია თამაშმა. აქამდეც ველოდით ამ კომპონენტში თამაშის გაუმჯობესებას, მაგრამ ჯერ ვერ მოხერხდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად კიდევ ოთხი შეხვედრა გვაქვს. საერთოდ კი კალათბურთელებს გარჯას ვერ დავუკარგავ, ყველამ მაქსიმალურად მოინდომა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს გულშემატკივარს, რომელმაც მატჩს დამატებითი ხიბლი შემატა.

### დაბალი

ჯერ ბელგიელთა უკანახაზელებზე ვთქვათ. მთავარმა მწვრთნელმა ედი კასტელსმა წინა დღისით თქვა - მთავარი პლეიმეიქერი **ბლეიქი** გვაკლიაო. მის არყოფნაში გამთამაშებელმა **როელ მოორსმა** თითქმის შეუცვლელად ითამაშა. მას პირველ ტაიმში შეტევაში თავი არ გამოუჩენია, ისევე როგორც ბელგიის ნაკრების ფორვარდ **მაქსიმ დე ზეეუვს.** საწყის 20 წუთში სტუმრებს მხოლოდ 3 სამქულიანი ჰქონდათ ჩაგდებული, ისიც მხოლოდ **ჰოპკინსის** ანგარიშზე იყო.

ერთმა მცოდნე გულშემატკივარმა ისიც თქვა - მოორსი და დე ზეეუვი რა სანაკრებო ხალხია, კასტელსი ყოველ წელს რომ იძახებსო. დაიწყო მეორე ტაიმი და მაქსიმმა ერთმანეთის მიყოლებით ორი სამიანი გამოიყენა, მას როელმაც მიჰბაძა... მოკლედ თუ საწყის 20 წუთში მეტოქეს პერიმეტრიდან ტყორცნებში 6:3 ვუგებდით, მეორე ნახევარში მათ 8:4 გვაჯობეს. საბოლოოდ სამქულიანებში 11:10 „ანტვერპენმა“



მარკუს ფეისონი

იმარჯვა. იშვიათია შემთხვევა, შორეულ ტყორცნებში ერთ მატჩში ორივე გუნდი სცდებოდეს 10-ქულიან ნიშნულს. ბელგიელებზე ერთიც ვთქვათ და „არმიაზე“ გადავიდეთ: სტუმრები ისეთსავე სტილში თამაშობდნენ, როგორშიც ბელგიის ნაკრები - სწრაფად გადადიოდნენ ჩვენს ნახევარზე, შემდეგ ბურთს კარგად ატრიალებდნენ და ან პერიმეტრზე თავისუფალ პოზიციაზე რომელიმე კალათბურთელის გაყვანას ცდილობდნენ, ან ფარისკენ „დერეფნის“ გამოთავისუფლებას ელოდნენ.

არმიელებიც უმთავრესად საშუალო და შორი დისტანციიდან ცდილობდნენ ხეირის ნახვას. სასტარტო გამთამაშებელი **ლაშა გამყრელიძე** იყო, რომლის გამოცდილებაც გუნდს ნამდვილად წაადგა. მას პლეიმეიქერის პოზიციაზე **კურტის მილეიჯი** ენაცვლებოდა. ამ ამერიკელმა კალათბურთელმა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა და დაგვაფიქრა - ხომ არ სჯობს სანაკრებოდ მისი გამოცდილების გამოყენება? კურტისს არც სროლა დაეწუნება, არც სისწრაფე და რაც მთავარია, იცის, როდის რა გააკეთოს. ბოლო წამებზე, როცა არმიელები განზრახ ჯარიმებზე გადავიდნენ, შეტევაში უმთავრესად კურტისის იმედად იყვნენ. ისიც ბურთს მოიხელთებდა და თვალის დახამხამებაში უახლოვდებოდა „ანტვერპენის“ კალათს.

როცა მილეიჯი მსროლელობიდან გამთამაშებლობაზე გადადიოდა, მის ადგილს მეორე ნომრად **ლაშა ფარლალავა** იკავებდა, რომლის გარჯის დაუფასებლობა არ ეგების. ლაშას, მართალია, ფარქვეშიდან ბურთის ჩაგდება არ დაანებეს, მაგრამ 4-დან 3 სამქულიანი გამოიყენა და ჩვეული აგრესიულობით მეურვეობდა მეტოქის გამთამაშებლებს.



ლაშა ფარლალავა

„ჰაპოელთან“ მატჩთან შედარებით უკეთესად გაისარჯა **მარკუს ფეისონი**, რომელმაც 8-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი ჩააგდო და 11 ქულას მოუყარა თავი. მილეიჯის (24 ქულა) შემდეგ ყველაზე მეტი, 20 ქულა ლემეინ უილსონმა მოაგროვა, რომელიც სამქულიანებს თავისებურ სტილში, ჩვეული სიზუსტით სტყორცნიდა. მან ფარქვეშაც ბევრი იმუშავა და საბოლოოდ ბურთი 13-ჯერ მოხსნა.

კალათბურთელთა სრულ მონაგარს ზემოთ მოცემულ ოქმში იხილავთ, წერას კი მეოთხე პერიოდის ქრონოლოგიით დავასრულებთ, რათა მატჩის გადამწყვეტ ეპიზოდზე მკითხველს სრული წარმოდგენა შეექმნას.

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:21 | დე ზეეუვი (ანტვერპენი) 3ქ - 52:57 |
| 09:01 | საყვარელიძე (არმია) 2ქ - 54:57 |
| 08:07 | დე ზეეუვი (ანტვერპენი) 3ქ - 54:60 |
| 07:49 | უილსონი (არმია) 3ქ - 57:60 |
| 04:09 | ჰოპკინსი (ანტვერპენი) - 57:62 |
| 03:53 | ფეისონი (არმია) 2ქ - 59:62 |
| 03:06 | ბიგსი (ანტვერპენი) 3ქ - 59:65 |
| 02:39 | მოორსი (ანტვერპენი) 2ქ - 59:67 |
| 01:55 | მილეიჯი (არმია) 2+1ქ - 62:67 |
| 01:36 | მვემა (ანტვერპენი) - 62:69 |
| 01:27 | უილსონი (არმია) 1+1ქ - 64:69 |
| 01:02 | ჰოპკინსი (ანტვერპენი) 2ქ - 64:71 |
| 00:43 | მილეიჯი (არმია) 2ქ - 66:71 |
| 00:37 | ჰოპკინსი (ანტვერპენი) 1+1ქ - 66:73 |
| 00:32 | მილეიჯი (არმია) 2ქ - 68:73 |
| 00:28 | ბიგსი (ანტვერპენი) 1+1ქ - 68:75 |
| 00:22 | მილეიჯი (არმია) 1ქ - 69:75 |
| 00:22 | ბიგსი (ანტვერპენი) 1+1ქ - 69:77 |
| 00:15 | ფეისონი (არმია) 2ქ - 71:77 |
| 00:13 | მოორსი (ანტვერპენი) 1ქ - 71:78 |
| 00:05 | ჰოპკინსი (ანტვერპენი) 1+1ქ - 71:80 |

„არმია“ მომდევნო მატჩს გერმანიის ქალაქ ბონში „ტელეკომის“ წინააღმდეგ 20 ნოემბერს ჩაატარებს.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ანტვერპენი | 2 | 1 | 1 | 152/152 | 3 |
| 2. ჰოლონი | 1 | 1 | 0 | 84/69 | 2 |
| 3. ბონი | 1 | 1 | 0 | 81/72 | 2 |
| 4. ჰაპოელ | 2 | 0 | 2 | 140/164 | 2 |

ქართველები NBA-ში

# 9 მოხსნა და 8-ქულიანი მოგება პორტლენდთან

ატლანტელი „ქორები“ ამერიკის დასავლეთში მოგზაურობენ. ლოს ანჯელესიდან მათ პორტლენდს მიაშურეს და გუშინ დილას (თბილისის დროით) „ტრეილ ბლეიზერსთან“ ითამაშეს.

სტუმრები პირველივე წუთებზე 11:2 დაწინაურდნენ და მეოთხე პერიოდამდე ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ. სასტარტოებს კარგად შეენაცვლნენ სათადარიგოები და მეორე პერიოდში თანაგუნდელთა უპირატესობა 15 ქულამდე გაზარდეს (41:26). **ზაზა ფაჩულია** მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და დაკისრებულ ფუნქციას ბოლომდე კარგად ართმევდა თავს. მართალია, მას ხუთი ტყორცნა გაუცუდდა, მაგრამ რაც მთავარია, სამწამიანი ზონისკენ პორტლენდელებს გზას კარგად ულობავდა და თითოეული ბურთისთვის ბოლომდე იბრძოდა. ერთ ეპიზოდში მან დაკარგული ბურთისთვის „ჭიდაობაში“ თავი არ დაზოგა და „ატლანტას“ ლეგენდა **დომინიკ უილკინსისგან** (მატჩის რეპორტაჟი მიჰყავდა) კომპლიმენტიც დაიმსახურა - ფაჩულია ფანტასტიკურიაო. ზაზამ 9 მოხსნა მიითვალა.

მეოთხე პერიოდის დასაწყისში ჯორჯიელებს „იარაღი დაუბლაგვდათ“ და ბურთიც უწინდებურად ვერ ქრიდა „პორტლენდის“ კალათის ბადეს. სამაგიეროდ ყველაფერი გამოსდიოდა მასპინძელთა ლიდერ **ოლდრიჯს** და „ბლეიზერსმა“ ანგარიში გაათანაბრა და ბოლო ორ წუთში ატლანტელებს საქმის ახლიდან დაწყებამ მოუწიათ. ამჯერადაც ისევე კარგად გამოუვიდათ, როგორც შეხვედრის სტარტზე - ორწუთიან მონაკვეთში **სმიტისა და ჰორფორდის**



შემწეობით „ქორები“ 8:0 გაიქცნენ და 95:87 იმარჯვეს.

**პორტლენდი-ატლანტა 87:95**

**ზაზა ფაჩულია:** 23 წუთი, 2 ქულა (6-დან 1 ორქულიანი), 9 მოხსნა, 2 დაფარება, 2 ფოლი.

**I პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 4:09 | ტიგი შეცვალა | 22-9 |
| 1:09 | ფოლი: 1 | 26-17 |

**II პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 11:25 | ორქულიანი: არაზუსტი | 28-24 |
| 10:41 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 32-24 |
| 9:52 | ორქულიანი: 2ქ | 37-24 |
| 9:30 | დაფარება: 1 (ფრილანდს დაუფარა) | 37-24 |
| 6:48 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 41-32 |
| 6:13 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 | 43-32 |
| 6:01 | ორქულიანი: არაზუსტი | 43-32 |
| 6:00 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 | 43-32 |
| 05:56 | ორქულიანი: არაზუსტი | 43:32 |
| 05:56 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 | 43:32 |
| 5:28 | ჰორფორდმა შეცვალა | 43-34 |
| 1:34 | ჰორფორდი შეცვალა | 56-45 |
| 0:03 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 | 56-47 |

**III პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 6:18 | სმიტი შეცვალა | 66-57 |
| 3:14 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 | 68-63 |
| 00:37 | დაფარება: 2 (ლილარდს დაუფარა) | 71:65 |

**IV პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 11:11 | მოხსნა: შეტ-2, დაც-6 | 77-67 |
| 10:49 | ორქულიანი: არაზუსტი | 77-67 |
| 9:14 | მოხსნა: შეტ-3, დაც-6 | 78-69 |
| 9:14 | ორქულიანი: არაზუსტი | 78-69 |
| 7:24 | ფოლი: 2 | 78-75 |
| 7:24 | სმიტმა შეცვალა | 78-76 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ტესტები

# მიზანი ყოველთვის გამარჯვებაა

**საქართველოს ნაკრები ორი დღეა „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ნოემბრის ტესტებისთვის ემზადება. „ბორჯღალოსნები" 17 და 24 ნოემბერს, შესაბამისად იაპონიისა და ფიჯის ეროვნულ გუნდებს დაუპირისპირდება. გუშინ ჩვენმა ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა, რომელსაც წინ ორი პრესკონფერენცია უძღოდა. მასმედიის წინაშე ჯერ მილტონ ჰეიგი, ტანა უმაგა და რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე წარდგნენ, მერე კი ისინი საქართველოს 17-წლამდელთა თავკაცებმა დავით ჩავლეიშვილმა და მამუკა ტყეშელაშვილმა შეცვალეს.**


დავით ზირაქაშვილი თამაზ მჭედლიძეს და გიორგი თხილაიშვილს გაექცა


დერეფანში ბექა ბინაძე და გიორგი ნემსაძე

**მილტონ ჰეიგი**, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

„ერთი კვირის წინათ საფრანგეთში მოკლევადიანი საწვრთნელი შეკრება გავმართეთ. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ ვარჯიშებმა კარგი სამსახური გაგვიწია. ბევრი რამ დავამუშავეთ. ეს რომ არ ყოფილიყო, იმას, რასაც ამჟამად ვარჯიშებზე ვახერხებთ, ვერ შევძლებდით.

სამწუხაროდ, ხუთი წამყვანი მოთამაშე გვაკლია ტრავმების გამო. მიუხედავად იმისა, რომ კარგი გუნდი გვყავს, ეს მაინც სერიოზული დანაკლისია.

წინ ორი საკმაოდ მძიმე მატჩი გველის. ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ მოვიგოთ. ჩვენი მიზანი მუდამ გამარჯვებაა. გვინდა დავანახვოთ რაგბის საერთაშორისო საბჭოს, რომ შეგვიძლია იაპონიისა და ფიჯის დონის ნაკრებების დამარცხება.

ორივე გუნდს თამაშის განსხვავებული სტილი აქვს. იაპონიის ნაკრები კარგად შევისწავლეთ. ამ გუნდს შეუძლია მატჩის მსვლელობისას თამაშის ტაქტიკა რამდენჯერმე შეცვალოს. ვუყურეთ იაპონიისა და რუმინეთის ნაკრებების დაპირისპირებას. მიმაჩნია, რომ მატჩის მიწურულს რუმინელები დაიღალნენ, რაც მათი სუსტი ფიზიკური მომზადების, ბრალი უნდა იყოს.

ჩვენ ნანახი გვქონდა იაპონელთა მატჩები ივნისში ხუთი ერის გათამაშებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ისინი უფრო დახვეწილად ასპარეზობენ. თამაშს კიდიდან კიდემდე შლიდნენ და, არა მგონია, ჩვენთან დაპირისპირებისას ამ სტილს უღალატონ. ამასთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია. ვინ არის მოწინააღმდეგის მწვრთნელი და რა შეუძლია მას.

მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრების თამაშის დიაპაზონი გაიზარდა. ახლა ფონს მარტო შერკინების დარტყმებით აღარ გავდივართ. ჩვენი თამაში უფრი მრავალფეროვანი გახდა. დარწმუნებული ვარ, რომ თუ გუნდი ბოლომდე დაიხარჯება და მოედანზე საბრძოლო განწყობით გავა, ისეთების ძლევაც შეგვიძლია იტალიისა და შოტლანდიის ნაკრებები რომ არიან. ასევე მთელი ძალების კონცენტრაცია დაგვჭირდება იაპონიის ეროვნული გუნდის დასამარცხებლადაც."

**ტანა უმაგა:**

„ორი დღეა, რაც საქართველოს ნაკრების მორაგბეები გავიცანი, ძალიან კარგი ბიჭები არიან. ცხადია, ეს დრო ძალიან ცოტაა, თუმცა მაქსიმალურად ვცდილობ, მათ ჩემი ცოდნა გავუზიარო. მთავარი ისაა, რომ ყურადღებით მისმენენ და ყველაფერს უმალ ითვისებენ. რაც მათ სამომავლოდ დიდად წაადგებათ.

იცით, რომ თბილისში მილტონ ჰეიგის მოწვევით ჩამოვედი. აქ თავს კარგად ვგრძნობ, ხალხი კარგად მექცევა, რაც ძალიან მსიამოვნებს. ვიმუშავებ თუ არა მსოფლიოს თასის მზადების პერიოდში საქართველოს ნაკრებთან, ახლა ამაზე პასუხის გაცემა ძალიან მიჭირს. მილტონს, როცა დავჭირდები მზად ვარ ნებისმიერ დროს დავეხმარო. ჯერ ტესტები არ გვითამაშია, არ ვიცით, ჩემმა გარჯამ ნაყოფი გამოიღო თუ არა. დაველოდოთ იაპონიისა და ფიჯის ნაკრებებთან მატჩებს, ვნახოთ, რა შედეგს მივაღწევთ. ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული".


ტანა უმაგა მერაბ კვირიკაშვილს და რეზო გიგაურს ყურადღებით აკვირდება


ბურთით მერაბ შარიქაძე, უკანა პლანზე დავით კაჭარავა

**გიორგი ნიჟარაძე**, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

„ხშირად მესმის ქართველი ქომაგებისგან, რომ იაპონიის ნაკრებს, უნდა გავიდეთ და გადავუაროთ. რატომ ფიქრობენ ასე, არ მესმის. ობიექტურად ორივე ნაკრები, იაპონიაც და ფიჯიც ჩვენზე ძლიერია. თავად განსაჯეთ, იაპონიის ჩემპიონატი სიძლიერის მხრივ მსოფლიოში მეოთხეა. იქ დიდი ფული ჩაიდო და კლუბები კუნძულელებითა და სამხრეთ ნახევარსფეროს ბობოლა სარაგბო ქვეყნების მორაგბეებით გაივსო. ამასთან ერთად ნაკრების მთავარი მწვრთნელია უმაღლესი რანგის სპეციალისტი ენდი ჯოუნზი.

ჩვენ ამ თამაშებს განვიხილავთ, როგორც მსოფლიოს თასისთვის მზადების ეტაპს. აქამდე საკუთარ წვენში ვიხარშებოდით და მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე მოხვედრილები ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვექცეოდით. ძნელია, როცა პლანეტის უძლიერეს გუნდებს ოთხ წელიწადში ერთხელ ეთამაშები და ისიც პირდაპირ მსოფლიოს თასზე.

როგორც უკვე აღვნიშნე, იაპონია ძალიან ძლიერი გუნდია. ამიტომ გულშემატკივრების მხარდაჭერა, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი მორაგბე გვაკლია, მაინც დიდ ბრძოლას გავუჩაღებთ"

ამის შემდეგ ეროვნული ნაკრების თემა საქართველოს 17-წლამდელთა პორტუგალიაში მიღწეული წარმატებით შეიცვალა. იქ გამართულ ტურნირში „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" პირველი ადგილი დაიკავეს და მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს, რომელშიც ელიტარული ქვეყნების ნაკრებები ითამაშებენ.

**დავით ჩავლეიშვილი**, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

„პორტუგალიაში სამი თამაში გავმართეთ და სამივე მოვიგეთ. პირველი მეტოქე გერმანიის ნაკრები იყო, რომელზეც არავითარი ინფორმაცია არ გაგვაჩნდა. ამის გამო, ჩვენს ბიჭებს თავიდან დაძაბულობა დაეტყოთ, თუმცა მალევე ანგარიში გავხსენით და მატჩის სადავეები ბოლომდე არ გაგვიშვია ხელიდან.

მერე ბელგიას დავუპირისპირდით, რომელიც წლიდან-წლამდე იზრდება, ვითარდება. ამ გუნდში ბევრი ფრანგი მორაგბე თამაშობს და მწვრთნელიც იქაური ჰყავთ. თავიდან, ბელგიელებმაც დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, თუმცა მერე კლასითაც და ჟანითაც ვაჯობეთ.

ფინალში მეტოქე მასპინძელი პორტუგალია იყო. ორგანიზატორებმა ყველაფერი ილონეს, რათა პირველობა ჩვენთვის არ დაეთმოთ. თუმცა ჩვენ ამისთვის მზად ვიყავით. ბიჭებმა დავალება ზედმიწევნით კარგად შეასრულეს. შედეგად მოწინააღმდეგესაც ვაჯობეთ და მსაჯსაც.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ძალიან კარგი თაობაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდის ძლიერი მხარე შერკინებაა, მაინც მოვახერხეთ უკანა ხაზთან შეთანხმებული, სინქრონული თამაშის დალაგება. მეტიც, ლელოების თითქმის 80 პროცენტი სწორედ უკანახაზელებზე მოდის.

მთავარი პრობლემა მაინც სათამაშო პრაქტიკაა. ჩვენ ძალიან წაგვადგა საქართველოში სამხრეთაფრიკული გუნდის სტუმრობა, რომელთანაც სამი მატჩი გავმართეთ. ის შეხვედრები ნაყოფიერად გამოვიყენეთ და ნაკრების თამაში დავალაგეთ.

უკვე მივიღეთ შეთავაზება საფრანგეთის ნაკრებისგან საკონტროლო მატჩის გამართვის თაობაზე. მიმდინარეობს მოლაპარაკება ინგლისელებთანაც. FIRA AER-მა შემოგვთავაზა მათი ხარჯებით ჩავიდეთ პორტუგალიაში და იქაურებთან ვითამაშოთ. ერთი სიტყვით, სპარინგ-მატჩები აუცილებელია. ამ შემთხვევაში ბევრად უკეთეს შედეგებს ვაჩვენებთ".

■ ■ ■

მალე ეროვნული ნაკრების ვარჯიშიც დაიწყო. გამოძახებულთაგან წვრთნაში მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ნაკრების ლიდერ **მამუკა გორგოძეს**, რომელსაც სიცხე ჰქონდა. **მილტონ ჰეიგმა** გუნდი ორად გაყო. ერთ ნაწილს, რომელიც სავარაუდოდ ძირითადი შემადგენლობაა, ლურჯი მოსაცმელები გადააცვა, მეორეს კი შავები.

ლურჯები, ანუ სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა ასე გამოიყურება: **15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ალექსანდრე თოდუა, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. ბექა ბინაძე.**

მერე უკანახაზელები **ტანა უმაგამ** დაახლოებით ერთი საათი სხვადასხვა კომბინაციების დამუშავებაში ავარჯიშა. მორკინალები კი მილტონ ჰეიგის, **ილია ზედგინიძისა** და **ილია მაისურაძის** ხელმძღვანელობით დერეფანში თამაშს ხვეწდნენ.

ვარჯიშის დასკვნით ნაწილში ერთმანეთის პირისპირ ლურჯები და შავები დადგნენ. ჯერ სათადარიგოები, ანუ შავები უტევდნენ. ლურჯები დაცვაში სწრაფად გადაწყობას ცდილობდნენ. მერე გუნდებმა როლები გაცვალეს. წვრთნის ეს ეტაპიც საკმაოდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი გამოდგა.

ბოლოს, ვარჯიშზე უხვად მოსულ ქომაგებს ტანა უმაგასთან გასაუბრებისა და ფოტოების გადაღების საშუალებაც მიეცათ.

### საქართველოს ნაკრები

**პირველი ხაზი: დავით ხინჩაგიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი (ორივე-ბრივი), ლევან ჩილაჩავა (ტულუზი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია).**

**მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), გიორგი ნემსაძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი)**

**მესამე ხაზი: ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), შალვა სუთიაშვილი (მასი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ბექა ბინაძე, გიორგი თხილაიშვილი (ორივე-არმია).**

**№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).**

**№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე), ლაშა ხლამაძე (ლელო).**

**№12-13: მერაბ შარიქაძე (ჰართფურის კოლეჯი), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), რეზო გიგაური (მონლუსონი)**

**№11-14: ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), გიორგი ფრუიძე (აია), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი).**

**№15: ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), საბა ნიკოლავა (არმია).**

**17 ნოემბერი**

**საქართველო-იაპონია**

**24 ნოემბერი**

**საქართველო-ფიჯი**

**ბესიკ ჯანგაევაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი



ბრენდონ ჯენინგსი

# სხვა მატჩები

"მინესოტას" ლაზარეთი ივსება, მაგრამ "მგლები" მაინც ახერხებენ მოგებას. **კევინ ლავი** და **რიკი რუბიო** სეზონის დაწყებიდან არ თამაშობენ. მათ დაემატნენ **ხოსე ხუან ბარეა** და **ბრენდონ როი**, რომელსაც ისევ შეახსენეს თავი მტკივანმა მუხლებმა (სწორედ ამ ტრავმის გამო დაასრულა შარშან კარიერა ამ მცველმა). თითქოს ეს არ კმაროდა და ახლა, **ჩეიზ ბადინგერმა** "ჩიკაგოსთან" მატჩის ბოლოს მენისკი დაიზიანა და დაახლოებით ორი თვით გამოვიდა მწყობრიდან.

გუშინ, "მგლები" სტუმრად თამაშობდნენ "დალასის" წინააღმდეგ და ამ მატჩში კიდევ ერთი კალათბურთელი დაკარგეს. თანაც როგორი! **ნიკოლა პეკოვიჩმა** 34-ე წუთისთვის 20 ქულა დააგროვა და ამის შემდეგ **ვინს კარტერთან** კონტაქტისას ფეხი დაიზიანა.

და ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩრდილოელებმა ბრძოლის ჟინი გამოამჟღავნეს და "დალასს" შანსი არ დაუტოვეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ტექსასელებმა პირველი მეოთხედის მეორე ნახევარში 15-დან 13 სროლა ააცილეს და მეორეს დასაწყისში - ოთხიდან ოთხი. ბოლო მეოთხედში "მავერიქსის" გამწარებულმა მწვრთნელმა **რიკ კარლაილმა** გაძევებაც კი მიიღო.

■ ■ ■

"ფინიქსისა" და "დენვერის" მატჩის დასრულებამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა **ტაი ლოუსონმა** ორი ზუსტი საჯარიმოთი ორ ქულამდე შეამცირა სტუმრების ჩამორჩენა. "სანზის" უპირატესობის გავრცობა **შენონ ბრაუნმა** სცადა, თუმცა მცველმა ააცილა, მაგრამ შეტევაში **გორტატის** მოხსნის შემდეგ, ბურთი **მარკიფ მორისს** მიუვიდა, რომელიც საჯარიმოს ხაზზე დადგა – ის იდეალურად ზუსტი იყო. რამდენიმე წამის შემდეგ კი მან ბურთი ჩაუჭრა იმავე ლოუსონს და პარტნიორები სწრაფ იერიშში გაუშვა. საბოლოოდ, სირენამდე ორი წუთით ადრე **ჯორჯ კარლმა** ტაიმ-აუტი აიღო, მაგრამ ამან "ნაგეტსს" ვერ უშველა. **ფარიდის** გარბენისა და **დრაგიჩის** ზუსტი ტყორცნის შემდეგ, "დენვერის" ყველა მცდელობა უაზრობა გახდა. მორისი კი მატჩის ერთ-ერთი გმირი გახდა. გუშინდელმა ახალბედამ საჭირო მომენტში გაისროლა – ბოლო მეოთხედში მან შესანიშნავი კოლექცია შეაგროვა: ექვსი ქულა, ორი ჩაჭრა და ერთი გადაცემა.

■ ■ ■

"ჰიუსტონის" რიგებში არ აღმოჩნდა კალათბურთელი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა **ლებრონ ჯეიმსს**. **ჯეიმს ჰარდენისა** და **ჯერემი ლინის** მონდომებით, სირენამდე წუთ-ნახევრით ადრე, "როკეტსი" მოქმედ ჩემპიონს ოთხ ქულას უგებდა. "ჰიტის" გადარჩენა თავის თავზე სწორედ ლებრონმა აიღო და ზედიზედ რვა ქულა დააგროვა. სულ კი "მეფემ" მეორე ნახევარში 32 ქულა (!) მიითვალა. ბოლო შეტევისთვის "ჰიუსტონს" 18.6 წამი რჩებოდა, მაგრამ ლინმა ძალიან მალე ისროლა შორი მანძილიდან და ააცილა.

■ ■ ■

ცნობამ იმის შესახებ, რომ "ფილადელფიას" კიდევ მინიმუმ ერთი თვე მოუწევს **ენდრიუ ბაინუმის** გარეშე თამაში, გაანაწყენა გუნდი და მან შინ წააგო "მილუოკისთან". უფრო მეტიც, მასპინძლებმა ვერ აჩვენეს ჩვეული დაცვითი პოტენციალი და მეტოქეს 105 ქულის მოგროვების საშუალება მისცა. გარდა ამისა, თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცეს **ბრენდონ ჯენინგსს**. სირენამდე შვიდი წუთით ადრე, მცველმა სამქულიანი მოათავსა კალათში და სტუმრების უპირატესობა ოთხ ქულამდე აიყვანა. ამის შემდეგ, "ფილადელფიამ" მეტოქესთან უფრო ახლოს მისვლა ვერ შეძლო. პირიქით, იმის გამო, რომ "სიქსერზმა" მეოთხედში მხოლოდ 13 ქულა დააგროვა, მალე ჩამორჩენამ ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია. ამაში დამნაშავე ისევ და ისევ ჯენინგსი იყო, რომელმაც სეზონში საუკეთესო თამაში აჩვენა. 33 ქულა, 8 პასი და 4 ჩაჭრა – ასეთი იყო რეაქტიული პლეიმეიკერის მონაგარი, რომელიც სულ უფრო უახლოვდება "ყველა ვარსკვლავის" მატჩის დონეს.

**ფილადელფია-მილუოკი 96:105**

**26:34, 24:28, 33:21, 13:22**

ფ: ჰოლიდეი (25+6 პასი), რიჩარდსონი (20), რაიტი (14), ტ. იანი (11+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

მ: ჯენინგსი (33+5 მოხსნა+8 პასი+4 ჩაჭრა), ელისი (18+5 მოხსნა+7 პასი), დანლივი (13+5 მოხსნა), ჰარისი (10).

**ჰიუსტონი-მაიამი 110:113**

**19:25, 33:31, 33:26, 25:31**

ჰ: პარსონსი (25), ჰარდენი (22+5 პასი), აშიქი (19+14 მოხსნა), პატერსონი (17+9 მოხსნა), ლინი (9+6 პასი+3 დაფარება).

მ: ჯეიმსი (38+10 მოხსნა+6 პასი), ბოში (24+10 მოხსნა), უეიდი (19+6 მოხსნა+7 პასი), ჰასლემი (10+7 მოხსნა).

**დალასი-მინესოტა 82:90**

**17:25, 22:20, 19:21, 24:24**

დ: კოლისონი (21+5 პასი), მაიო (18+5 მოხსნა), კამანი (12+5 მოხსნა).

მ: პეკოვიჩი (20), კირილენკო (16+11 მოხსნა), შვედი (16+5 პასი+3 დაფარება), რიდნური (15+8 მოხსნა+7 პასი+4 ჩაჭრა), კანინგემი (14+8 მოხსნა).

**ფინიქსი-დენვერი 110:100**

**23:27, 31:30, 29:21, 27:22**

ფ: დრაგიჩი (21+7 პასი), ბრაუნი (19), ბიზლი (16), დადლი (15), მორისი (13+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), გორტატი (12+11 მოხსნა), სკოლა (12+7 მოხსნა).

დ: იგუოდალა (17+9 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), მაკგი (16), გალინარი (15+9 მოხსნა), ფარიდი (14+11 მოხსნა), ლოუსონი (12+8 პასი).

**პორტლენდი-ატლანტა 87:95**

**22:28, 25:28, 20:19, 20:20**

პ: ჰიქსონი (19+18 მოხსნა), ბატუმი (19+7 მოხსნა), მეტიუზი (17+3 ჩაჭრა), ოლდრიჯი (14+6 მოხსნა+8 პასი), ლილარდი (12).

ა: სმიტი (19+11 მოხსნა), კორვერი (16), ჰორფორდი (15+10 მოხსნა), ტიგი (13+8 პასი+3 ჩაჭრა), უოტსონი (11).

# სამი ოვერტაიმი კანადაში

როგორც ჩანს, NBA-ის გუნდებმა შარშანდელი შემოკლებული სეზონის გამო დაკარგული დროის ანაზღაურება წელს გადაწყვიტეს. ბოლო სამი დღის განმავლობაში, რეგულარულ ჩემპიონატში სამი სამოვერტაიმიანი მატჩი ჩატარდა. გუშინ, 63 წუთი არკვევდნენ ურთიერთობას "ტორონტო" და "იუტა".

სხვათა შორის, კანადურმა კლუბმა შარშან მარტშიც ითამაშა სამი ოვერტაიმი. მაშინ, ლონდონში "რეპტორზმა" 137:136 დაამარცხა "ნიუ ჯერსი". ამჯერადაც, მეტოქეებმა ჯამში 273 ქულა დააგროვეს, მაგრამ გამარჯვებული სულ სხვა გუნდი აღმოჩნდა. „ჯაზმაც" და „რეპტორზმაც" წელს მიაჩვიეს ნაგებებს საკუთარი გულშემატკივარი - "ტორონტო" მეშვიდე მატჩში მეექვსედ დამარცხდა, "იუტა" კი 1987 წლის შემდეგ პირველად უმიზნებდა ზედიზედ მეხუთე გასვლით მარცხს.

და წააგებდა, რომ არა **ელ ჯეფერსონის** სამქულიანი ძირითადი დროის დასრულებამდე ორი წამით ადრე. მანამდე, თავის შვიდწლიან კარიერაში ამ ცენტრს მხოლოდ ერთი შორეული ტყორცნა ჰქონდა ჩაგდებული (25 ცდიდან). ჯეფერსონს სხვა გამოსავალი არ რჩებოდა, რადგან მისი გუნდი სამ ქულას აგებდა და პასის მიცემის დრო აღარ იყო.

ამის შემდეგ კი ორმა დამატებითმა დრომ შედეგი არ გამოილო: პირველი ოვერტაიმი – 11:11, მეორე – 10:10... მესამეში "ჯაზმენებმა" სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი და მატჩის ბედი მაშინ გადაწყვიტეს, როცა სირენამდე 2:16-ით ადრე, 5:0-ის გაქცევის შემდეგ, ოთხი ქულით წაიყვანეს ანგარიში.

■ ■ ■

სახელების მიხედვით, ყველაზე საინტერესო და დაძაბული მატჩი უნდა ყოფილიყო "ჩიკაგოსა" და "ბოსტონს" შორის. მოლოდინი გამართლდა, თუმცა ბოლო მეოთხედის დასაწყისში ისე ჩანდა, რომ **რივერსის** შეგირდები იოლად მიიყვანდნენ საქმეს გამარჯვებამდე. "ბოსტონი" ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა, მაგალითად, მთელი მატჩის განმავლობაში რვა შეცდომა დაუშვა. ცალკე აღნიშვნის ღირსია **რონდო**, რომელსაც ერთი მოხსნა არ ეყო სამმაგ დუბლამდე. გარდა ამისა, პლეიმეიკერი საინტერესო მიღწევის ავტორი გახდა: ზედიზედ 31 მატჩია, მინიმუმ ათ შედეგიან პასს აგროვებს. ეს ყველაზე გრძელი სერიაა **ჯონ სტოქტონის** დროიდან, რომელიც მსგავსი მიღწევით 1989 წელს ამაყობდა. თუმცა "ჩიკაგოს" თავისუფლად შეეძლო მცველისთვის ზეიმის ჩამწარება, როცა 10:0 გაქცევა მოაწყო და სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა - სათამაშო რჩებოდა რვა წუთი. მაგრამ ამის შემდეგ, "ბულზმა" ზედიზედ შვიდი (!) შეტევა გააფუჭა. ბოლო სამწუთნახევარში იმავე რონდოს ოთხი პასით "სელტიქსმა" გამარჯვება გაიფორმა და თან პირველი გუნდი გახდა ამ სეზონში, რომელმაც "ხარებს" ასზე მეტი ქულა ჩაუგდო.

■ ■ ■

ამ სათამაშო დღეს იუბილარი იყო **რასელ უესტბრუკი** და "ოკლაჰომას" გამთამაშებელმა "დეტროიტის" წინააღმდეგ სრული თავისუფლება მიიღო. მანაც ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა. კერძოდ, მცველმა თამაშიდან 25-ჯერ ისროლა და 15 საჯარიმო შეასრულა. გასაკვირი არ არის, რომ ამის წყალობით 33 ქულა დააგროვა, რასაც ათი მოხსნაც დაერთო. მაგრამ, შესაძლოა, ესეც არ ყოფილიყო საკმარისი აუტსაიდერის დასამარცხებლად - "პისტონზი", რომელსაც ჯერ მოგება არ აქვს რეგულარულში, ბოლო მეოთხედის წინ ათი ქულით იგებდა. თუმცა უესტბრუკის მიერ საჯარიმოს ხაზიდან შესრულებულმა ზედიზედ ცხრა (!) ტყორცნამ და თამაშიდან ორმა ჩაგდებულმა ბურთმა "თანდერს" 13:0 გაქცევა მოუტანა. სირენამდე ნახევარი წუთით ადრე, მასპინძლებს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ **ნაითის** სამქულიანმა მიზანს არ მიაღწია.

**ტორონტო-იუტა 133:140 (3ო)**

**28:26, 29:26, 30:30, 17:22, 11:11, 10:10, 8:15**

ტ: დეროზანი (37+8 მოხსნა+6 პასი), კალდერონი (20+17 პასი+3 ჩაჭრა), კლეიზა (20+7 მოხსნა), ბარნიანი (19+8 მოხსნა), ჯონსონი (11+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), ვალანჩუნასი (10).

ი: მილსეპი (34+9 მოხსნა), ჯეფერსონი (24+17 მოხსნა), ფოიე (20), მო უილიამსი (17+14 პასი+4 ჩაჭრა), მარვ. უილიამსი (17+5 მოხსნა), ფეივორსი (15+6 მოხსნა), გ. ჰეივორდი (12).

**ჩიკაგო-ბოსტონი 95:101**

**27:33, 19:25, 24:24, 25:19**

ჩ: დენგი (26+11 მოხსნა), ნოა (17+11 მოხსნა), ბუზერი (15), რობინსონი (11+7 პასი).

ბ: რონდო (20+9 მოხსნა+10 პასი+5 ჩაჭრა), ბასი (16+5 მოხსნა), გარნეტი (15+5 მოხსნა), ტერი (13), პირსი (10+6 მოხსნა+5 პასი).

**დეტროიტი-ოკლაჰომა 90:92**

**23:25, 28:20, 22:17, 17:30**

დ: სტაკი (19+5 პასი), მონრო (17+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), მაქსიელი (13+7 მოხსნა+3 დაფარება), პრინსი (12+6 მოხსნა).

ო: უესტბრუკი (33+10 მოხსნა), დურანტი (26+9 მოხსნა+4 დაფარება), მარტინი (13), იბაკა (11+7 მოხსნა+6 დაფარება).



რონდო სამმაგ დუბლამდე ახლოს იყო

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ნიუ იორკი* | 4 | 4 | 0 | 100 |
| 2. მაიამი | 8 | 6 | 2 | 75.0 |
| 3. მილუოკი* | 6 | 4 | 2 | 66.7 |
| 4. ბრუკლინი | 5 | 3 | 2 | 60.0 |
| 5. ფილადელფია | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 6. ბოსტონი | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 7. ჩიკაგო | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 8. ატლანტა | 6 | 3 | 3 | 50.0 |
| 9. ინდიანა | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 10. შარლოტი | 5 | 2 | 3 | 40.0 |
| 11. ორლანდო* | 6 | 2 | 4 | 33.3 |
| 12. კლივლენდი | 7 | 2 | 5 | 28.6 |
| 13. ტორონტო | 7 | 1 | 6 | 14.3 |
| 14. ვაშინგტონი | 5 | 0 | 5 | 00.0 |
| 15. დეტროიტი | 8 | 0 | 8 | 00.0 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 7 | 6 | 1 | 85.7 |
| 2. მემფისი | 6 | 5 | 1 | 83.3 |
| 3. ოკლაჰომა* | 8 | 6 | 2 | 75.0 |
| 4. კლიპერსი* | 7 | 5 | 2 | 71.4 |
| 5. მინესოტა | 7 | 5 | 2 | 71.4 |
| 6. ნიუ ორლეანი | 5 | 3 | 2 | 60.0 |
| 7. იუტა | 8 | 4 | 4 | 50.0 |
| 8. დენვერი | 8 | 4 | 4 | 50.0 |
| 9. ფინიქსი | 8 | 4 | 4 | 50.0 |
| 10. დალასი | 8 | 4 | 4 | 50.0 |
| 11. ლეიკერსი | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 12. გ. სტეიტი | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 13. ჰიუსტონი | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 14. პორტლენდი | 7 | 2 | 5 | 28.6 |
| 15. საკრამენტო | 7 | 2 | 5 | 28.6 |

*- დივიზიონის ლიდერი

**ქულა**

| | |
|---|---|
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 27.2 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 26.1 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 25.9 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 23.9 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 23.0 |
| კაირი ირვინგი (კლივ) | 22.9 |
| ო ჯეი მაიო (დალ) | 22.9 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 21.1 |
| კრის ბოში (მაი) | 20.9 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 14.5 |
| ომერ აშიქი (ჰიუ) | 13.0 |
| ანდერსონ ვარეჟაო (კლი) | 13.0 |
| ჯეი ჯეი ჰიქსონი (პორ) | 11.7 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 11.5 |
| მარცინ გორტატი (ფინ) | 10.8 |
| კენეტ ფარიდი (დენ) | 10.8 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 10.6 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 10.4 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 10.0 |

**პასი**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 10.3 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 9.0 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 8.8 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 8.5 |
| ეი ჯეი პრაისი (ვაშ) | 8.0 |
| ტაი ლოუსონი (დენ) | 7.8 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.7 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 7.5 |
| გორან დრაგიჩი (ფინ) | 7.5 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 3.5 |
| კემბა უოკერი (შარ) | 2.8 |
| ტრევორ არიზა (ვაშ) | 2.6 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 2.4 |
| ნიკოლა ბატუმი (პორ) | 2.4 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.3 |
| ჯეისონ კიდი (ნ-იორკ) | 2.3 |
| ჯეი არ სმიტი (ნ-იორკ) | 2.3 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| მარცინ გორტატი (ფინ) | 3.6 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 3.6 |
| ენტონი დევისი (ნ-ორლ) | 2.7 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.6 |
| დერიკ ფეივორსი (იუტ) | 2.5 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.4 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.4 |
| ლარი სანდერსი (მილ) | 2.3 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 2.3 |

# კვირის მოთამაშეები

„მაიამი ჰიტისა" და "დენვერ ნაგეტსის" ფორვარდები – **ლებრონ ჯეიმსი** და **კენეტ ფარიდი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯეიმსი თავის გუნდს ოთხიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. ლებრონი საშუალოდ მატჩში 21.0 ქულას, 11.0 მოხსნას (საუკეთესო შედეგი აღმოსავლეთში) და 6.0 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. 9 ნოემბერს, "ატლანტასთან" მატჩის მსვლელობისას, ჯეიმსს კარიერაში 5 ათასი მოხსნა დაუგროვდა. ჯეიმსმა გასულ კვირას ყველა შეხვედრაში შეძლო ორმაგი დუბლის მოხვეჭა.

ფარიდის კარგი თამაშის წყალობით, "დენვერმა" გასულ კვირას ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. კენეტის ანგარიშზე იყო 16.8 ქულა, 12.8 მოხსნა, 1.8 დაფარება და 1.0 ჩაჭრა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ფარიდის თამაში "გოლდენ სტეიტის" წინააღმდეგ – 18 ქულა და 17 მოხსნა დააგროვა.

**ჯეიმსის კვირა**

**5 ნოემბერი. მაიამი-ფინიქსი 124:99.** 23 ქულა, 11 მოხსნა.

**7 ნოემბერი. მაიამი-ბრუკლინი 103:73.** 20 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი.

**9 ნოემბერი. ატლანტა-მაიამი 89:95.** 21 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი.

**ფარიდის კვირა**

**7 ნოემბერი. ჰიუსტონი-დენვერი 87:93.** 16 ქულა, 16 მოხსნა.

**9 ნოემბერი. დენვერი-იუტა 104:84.** 18 ქულა, 10 მოხსნა, 2 დაფარება.

**10 ნოემბერი. გოლდენ სტეიტი-დენვერი 101:107 (ო).** 18 ქულა, 17 მოხსნა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **კარმელო ენტონი** („ნიუ იორკი"), **ზაკ რენდოლფი** („მემფისი"), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა"), **სერჟ იბაკა** („ოკლაჰომა"), **ჯრიუ ჰოლიდეი** („ფილადელფია") და **კემბა უოკერი** ("შარლოტი").

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ATP. შემაჯამებელი ტურნირი

# კლასიკა ლონდონში


როჯერ ფედერერი და ნოვაკ ჯოკოვიჩი

ბრწყინვალე დასასრული ჰქონდა 2012 წლის სეზონს მამაკაცთა პროფესიულ ტურში. **როჯერ ფედერერმა და ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ლონდონის „O2-არენაზე“ დაუვიწყარი სპექტაკლი შემოგვთავაზეს.

ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, ფედერერმა და ჯოკოვიჩმა 28-ჯერ ითამაშეს ერთმანეთის წინააღმდეგ და აქედან 24 შეხვედრა ნახევარფინალი ან ფინალი იყო. ორი წამყვანი ჩოგბურთელის დაპირისპირებაში ხშირად დიდი ყურადღება ენიჭება პირველი სეტის შედეგს. განსაკუთრებით აქტუალურია ეს ფაქტორი ნოვაკისა და როჯერის შემთხვევაში - მან, ვინც პირველი სეტი მოიგო, საბოლოოდ 24 შემთხვევაში გამარჯვებული გამოვიდა. დანარჩენ ოთხ შემთხვევაში კი მატჩის ბედის შემოტრიალებას ნოვაკი ახერხებდა. ასე რომ, ფედერერისთვის პირველ პარტიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ფედერერმა ზედიზედ რვა მოგებული ქულით დაიწყო. შვეიცარიელმა ნულზე აილო თავისი მოწოდება და შემდეგ, არანაკლებ დამაჯერებლად მოიგო გეიმი მიღებაზე. მხოლოდ მესამე გეიმში შეძლო ჯოკოვიჩმა პირველი ქულების ალება, მაგრამ მაინც წააგო - 0:3.

წარუმატებელი სტარტის მიუხედავად, სერბმა მოახერხა დაკარგული მოწოდების დაბრუნება და მეხუთე გეიმში გამოიყენა პირველივე ბრეიკ-პოინტი. 4:4-ზე ჯოკოვიჩი ხანგრძლივი გეიმის გამარჯვებული გახდა, რომლის დროსაც, ფედერერის მოწოდებაზე ოთხჯერ იყო “თანაბარი” და სამჯერ “ნაკლები”.

ნოვაკი სეტზე აწვდიდა: იგებდა 30:0-ს და 40:30-ს, მაგრამ სეტბოლი ვერ გამოიყენა – ზედიზედ სამი გათამაშება წააგო. ამის შემდეგ, ჩოგბურთელებმა თითოთითო გეიმი აილეს საკუთარ მოწოდებაზე და პარტიის ბედი ტაი-ბრეიკს უნდა გადაეწყვიტა.

მე-13 გეიმში ჯოკოვიჩი ორჯერ გავიდა წინ მინი-ბრეიკით – 2:0 და 5:4, მაგრამ სეტში წარმატება მას მესამე მინი-ბრეიკმა მოუტანა. 6:6-ზე მეტოქეს შეცდომა დააშვებინა, შემდეგ კი თავისი მოწოდება “ვინერსით” დაასრულა და სეტი მოიგო – 7:6(8:6). პირველი პარტია ერთი საათი და 15 წუთი გაგრძელდა.

პირველი პარტიის დაძაბულ ბრძოლაში მოგების შემდეგ, ჯოკოვიჩმა მეორე სეტი დაკარგული მოწოდებით დაიწყო. გეიმი ათ წუთზე მეტხანს გაგრძელდა და ფედერერმა მხოლოდ მეოთხე ბრეიკ-პოინტიდან შეძლო გეიმის თავის სასარგებლოდ დასრულება. ამ უპირატესობას შვეიცარიელი 5:4-მდე ინარჩუნებდა და სეტზე ჩაწოდების უფლება მიილო.

როჯერი გეიმში 30:0 დაწინაურდა, შემდეგ ანგარიში გახდა – 40:15, მაგრამ ორი სეტბოლი ვერ გამოიყენა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა – 5:5. საკუთარი გეიმის დამაჯერებლად მოგების შემდეგ, ჯოკოვიჩი პარტიაში პირველად გავიდა წინ.

ფედერერის გეიმში სერბმა შეძლო ბრძოლა მოეხვია თავს მეტოქისთვის. 30:15-ზე როჯერის სასარგებლოდ, ჯოკოვიჩმა ზედიზედ სამი ქულა მოიგო და გამოიყენა პირველი და ერთადერთი მატჩბოლი.

ამ ჩოგბურთელთა პირადი შეხვედრების ანგარიში გახდა – 16:13 ფედერერის სასარგებლოდ. ნოვაკ ჯოკოვიჩმა კარიერაში 34-ე ტიტული მოიპოვა და მეორედ მოიგო წლის შემაჯამებელი ტურნირი – გაიმეორა 2008 წლის შედეგი. ამ მოგებამ სერბს 1 760 000 დოლარი მოუტანა. ფედერერმა მიილო 875 ათასი.

ჯოკოვიჩმა, ისევე როგორც ოთხი წინ, ავსტრალიის ღია პირველობა და წლის შემაჯამებელი ტურნირი მოიგო. მან ვერ გაიმეორა 2011 წლის სეზონის შედეგი, როცა სამი “სლემი” მოიგო, მაგრამ სერბმა მაინც დაასრულა სეზონი პირველი ჩოგანის რანგში.

სეზონი პრაქტიკულად დასრულდა – წინ არის მხოლოდ დევისის თასის ფინალი ჩეხეთსა და ესპანეთს შორის. კარგი განწყობით ხვდებიან ამ მატჩს ესპანელები – **მარსელ გრანოლერსი** და **მარკ ლოპესი**, რომლებმაც ლონდონში წლის შემაჯამებელი ტურნირი მოიგეს წყვილებს შორის. მათ 7:5, 3:6, 10:3 დაამარცხეს ინდური დუეტი **როჰან ბოპანასა** და **მაეშ ბჰუპატის** შემადგენლობით.

ავტოსპორტი. რეიტინგი

# ლოების ფინალური აკორდი

სანამ ფორმულა 1-ის პილოტები ისვენებდნენ, მსოფლიო რალის მონაწილეებმა სეზონის დასკვნითი რბოლა ჩაატარეს. კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ნიჭი ფრანგმა **სებასტიან ლოებმა**, რამაც მას Castrol-ის სარბოლო რეიტინგში მეორე ადგილზე გადასვლის საშუალება მისცა.

შეგახსენებთ, რომ ეს პროექტი პლანეტის უძლიერესი ავტომრბოლის გამოვლენისთვის არის შექმნილი. გასაგებია, რომ ეს მისია ძალიან რთულია, მაგრამ აღნიშნული მცდელობა წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ. ყოველ სერიას თავისი ”წონა” გააჩნია, რასაც ავტორიტეტულ ექსპერტთა ჯგუფი ადგენს. მაგალითად, აქ შედიან **დევიდ კულტჰარდი** და **ჯონი ჰერბერტი**. სეზონში ეტაპების რიცხვის მიხედვით, რბოლაში გამარჯვება სხვადასხვაგვარად ფასდება. მაგალითად, NASCAR-ის სერიაში ერთი მოგებული რბოლის სანაცვლოდ შეიძლება ქულათა საერთო რაოდენობის 2.5 პროცენტის მიღება, იმ დროს, როცა WEC-ის მარათონული ჩემპიონატში, სადაც რბოლები გაცილებით ნაკლებია - ერთბაშად 12.5 პროცენტი.

რეიტინგში გათვალისწინებულია ყველანაირი მიღწევები - საკვალიფიკაციო პოზიციებიდან დაწყებული, ლიდერობის წრეების რაოდენობით დამთავრებული. რა თქმა უნდა, აქაც შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ მათემატიკური მოდელი, მაგრამ, საერთო ჯამში, საკმაოდ დაბალანსებული და საგულისხმო რეიტინგია. თითოეული უქმეების განმავლობაში პილოტები იღებენ ახალ ქულებს და კარგავენ შარშანდელ ქულებს - ასე რომ, ითვალისწინებენ მხოლოდ ბოლო 12 თვის შედეგებს.


სებასტიან ფეტელი

სებასტიან ლოებმა შარშანდელი სეზონის ბოლო რბოლაში ფინიშამდე ვერ მიაღწია, ამჯერად კი ესპანეთში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. საბოლოოდ, რეიტინგში ფრანგმა სოლიდური შევსება მიიღო და “სიტროენის” პილოტმა არა მარტო მესამედან მეორე პოზიციამდე გადაინაცვლა, არამედ, შესამჩნევად დაშორდა **ფერნანდო ალონსოს**, რომელიც გასულ კვირას ისვენებდა.

მაგრამ ლოები წელს ქულებს ველარ მოიპოვებს, ფორმულა 1-ის პილოტებს კი თადარიგში კიდევ ორი რბოლა აქვთ და შეუძლიათ გაუსწრონ რალიში მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონს. რამდენად გამოუვათ ეს, მალე შევიტყობთ. **სებასტიან ფეტელიც** კი, თუ ის ოსტინსა და სან პაულუში ვერც ერთ ქულას ვერ აილებს, წინ გაუშვებს უძლიერეს რალისტს.

ახალ რეიტინგში აღსანიშნავია კიდევ ერთი რალისტის, ესპანეთის ეტაპზე მეორე ადგილზე გასული **მიკო ჰირვონენი** ათეულში დაბრუნდა და კინაღამ გაუსწრო თანამემამულე **კიმი რაიკონენს**. სხვა მხრივ, პოზიციები უცვლელი დარჩა.

რეიტინგის ახალი ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ს. ფეტელი (ფორმულა 1) | 22 232 |
| 2. ს. ლოები (რალი) | 20 327 |
| 3. ფ. ალონსო (ფორმულა 1) | 19 105 |
| 4. მ. უებერი (ფორმულა 1) | 18 447 |
| 5. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1) | 18 242 |
| 6. ჯ. ბატონი (ფორმულა 1) | 16 370 |
| 7. უ. პაუერი (IndyCar) | 16 305 |
| 8. ჯ. ჯონსონი (NASCAR) | 15 928 |
| 9. კ. რაიკონენი (ფორმულა 1) | 15 304 |
| 10. მ. ჰირვონენი (რალი) | 15 131 |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩები

| UNDER 21 | |
|---|---|
| იტალია-ესპანეთი | 1:3 |
| კვიპროსი-რუმინეთი | 1:1 |
| ინგლისი-ჩრ. ირლანდია | 2:0 |
| საფრანგეთი-უკრაინა | 2:1 |

| ინგლისის თასი | |
|---|---|
| ბაროუ-გუისლი | 1:0 |
| ბრედფორ.-ნორთჰემპტ. | 2:2 პენ. 4:2 |
| ბრენტრი-ტრანმერი | 0:3 |
| მილტონი-კემბრიჯი | 6:1 |
| ნანიტონი-ლუტონი | 0:2 |
| როჩდეილი-მორეკამბი | 0:1 |
| სლოუ-მენსფილდი | 1:1 პენ. 1:4 |
| უოლსოლი-ლინკოლნი | 1:1 დ.დ. 2:3 |

### ინგლისი

| FA Trophy | |
|---|---|
| ჰინკლი-გენსბრო | 1:4 |
| ჩეშემი-კანვი | 2:1 |
| სტეინსი-ბრომლი | 0:2 |
| ბრენტვუდი-კინგსტონიანი | 1:4 |
| დოვერი-ჩელმსფორდი | 2:2 |
| ჰემპტონი-ლეისტონი | 3:2 |
| ბეტი-ლიტერჰედი | 2:0 |
| მერტირი-შოტრვუდი | 2:1 |

### გერმანია

| III ბუნდესლიგა | |
|---|---|
| ერფურტი-ბაბელსბერგი | 1:1 |
| შტ. კიკერსი-უნტერჰახინგი | 0:0 |

| რეგიონალლიგა (ბაიერნი) | |
|---|---|
| ზელიგენპორტენი-ისმანინგი | 0:2 |

### შოტლანდია

| III დივიზიონი | |
|---|---|
| ქუინზ პარკი-ისტ სტირლინგი | 1:2 |

| შოტლანდიის თასი | |
|---|---|
| მორტონი-ალბიონი | 3:0 |
| ბირუიკი-სტენჰაუზმური | 2:5 |
| რეითი-ეირდრი | 3:3 დ.დ. 4:3 |

### უნგრეთი

| ლიგის თასი | |
|---|---|
| ჰალადაში-დიორი | 2:1 |
| ჰონვედი-დირმოტი | 4:0 |
| შიოფოკი-პეჩი | 1:4 |
| პაკსი-ვაშაში | 4:1 |
| კაპოშვარი-ზალაეგერშეგი | 1:1 |
| ლომბარდი-ვიდეოტონი | 2:1 |
| შოლნოკი-ფერენცვაროში | 0:5 |
| კეჩმეკეტი-მტკ | 1:1 |
| ეგერი-უიპეშტი | 4:0 |
| დიოშდიორი-დებრეცენი | 0:1 |

### არგენტინა

| | |
|---|---|
| არგ. ხუნიორსი-ესტუდიანტესი | 2:1 |

## კალათბურთი

### ევროთასი

| | |
|---|---|
| ვეფ რიგა-ლე მანი | 80:89 |
| შარლერუა-ბილბაო | 69:85 |

### ევროჩელენჯი

| | |
|---|---|
| მინსკი-აპოლონი | 93:62 |
| ტამპერინი-ვენტსპილსი | 74:89 |
| ტარტუ-გაზ მეთანი | 68:70 |
| ენგომი-თოფასი | 57:78 |
| ნორჩეპინგი-სიოდერტალე | 64:62 |
| პინარი-კრკა | 79:56 |
| დიჟონი-ხიმიკი | 73:76 |
| კერმენდი-შოლნოკი | 92:96 |
| ნანსი-გრაველენი | 68:80 |
| ოლდენბურგი-ტიმიშოარა | 84:67 |
| აალსტი-პიტეშტი | 99:68 |
| პარიზი-მონსი | 84:86 (ო) |

## ჰოკეი

### გერმანია

| | |
|---|---|
| შტრაუბინგი-ვოლფსბურგი | 5:3 |

### დანია

| | |
|---|---|
| ოდენსე-ესბერგი | 2:3 |
| ფრედრიკშავენი-სონდერიისკი | 2:1 |
| ჰერნინგი-ჰერლევი | 1:0 |
| ოლბორგი-როდოვრე | 3:2 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| სტავანგერი-სპარტა | 6:1 |
| სტრიერნენი-რუსენბორგი | 3:4 (ო) |
| ლილეჰამერი-ლორენსკოგი | 1:2 |
| სტორჰამარი-ტონსბერგი | 5:4 (ო) |
| ფრისკ ასკერი-ვოლერენგა | 2:1 (ო) |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| ბლუზი-საიპა | 4:3 (ბ) |
| იოკერიტი-ესეტი | 2:5 |
| კერპეტი-ილვესი | 5:3 |
| პელიკანსი-კალპა | 1:2 |
| ტაპარა-ტპს | 5:4 (ბ) |
| ჰპკ-ლუკო | 3:2 (ბ) |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ციურიხი-ცუგი | 3:5 |
| ლუგანო-ამბრი | 5:2 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| ვექსიო-მოდო | 2:3 (ო) |
| ლინჩოპინგი-ბრიუნესი | 1:4 |
| როგლე-აიკ | 4:1 |
| ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 1:2 (ო) |
| ჰვ71-ტიმრა | 3:1 |
| შელეფტეო-ლულეო | 4:3 |

TV პროგრამა

14 ოქტომბერი. ოთხშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. მაინცი-ნიურნბერგი.
14:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXV ტური. პალმეირასი-ფლუმინენსე.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტური. ველეს სარსფილდი-გოდოი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. შალკე-ვერდერი.
21:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XII ტური. ვიტესი-ტვენტე.
23:00 ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-გერმანია (LIVE).
01:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ცვოლე-აიაქსი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-სან ანტონიო.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ლევერკუზენი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ექსეტერი-კლერმონი.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ვესტ ჰემი.
22:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჩარლზ ბარკლი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-სან ანტონიო.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
17:30 სპორტ-NEWS.
18:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სელტიკი-ბარსელონა.
20:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ფილადელფია.
22:00 საჩოგბურთო მიმოხილვა – მატჩპოინტი.
22:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.

**I არხი**

17:55 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საქართველო-ეგვიპტე (LIVE).

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 5 | 15 | (მზე) |
| ქუთაისი | 10 | 15 | (წვიმა) |
| ბათუმი | 11 | 16 | (წვიმა) |
| ფოთი | 11 | 16 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 6 | 15 | (წვიმა) |
| გორი | 1 | 15 | (მზე) |
| თელავი | 5 | 16 | (მზე) |
| სიღნაღი | 3 | 14 | (მზე) |
| ბაკურიანი | -3 | 8 | (წვიმა) |
| ბორჯომი | 0 | 13 | (წვიმა) |
| მესტია | 1 | 10 | (მცირე წვიმა) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1104 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6646 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6452 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2484 |

ერთიანი ბიბლიოთეკა

ველოსპორტი







# ლენსი დაგვტინის

სკანდალურად ცნობილმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა**, რომელსაც ცოტა ხნის წინ ჩამოართვეს ტურ დე ფრანსის შვიდი ტიტული და სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს, დატოვა მის მიერვე დაარსებული საქველმოქმედო ორგანიზაციის – Livestrong-ის დირექტორთა საბჭო, რომელიც კიბოს დაავადებებს ებრძვის. ლენსმა ეს იმის გამო გააკეთა, რათა თავიდან აეცილებინა კომპანიის ზარალის ზრდა, რომელიც Livestrong-ს მიადგა ბოლოდროინდელი სკანდალის გამო. ოქტომბერში არმსტრონგმა უკვე დატოვა Livestrong-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი.

ორგანიზაციის პრესმდივანმა **კეტრინ მაკლეინმა** აღნიშნა, რომ ამერიკელი ველომრბოლი ისევ რჩება Livestrong-ის ალმაფრენის მთავარ წყაროდ. ცნობისთვის, ამ ორგანიზაციის განვითარებისთვის ლენსმა დაახლოებით 7 მილიონი დოლარი დახარჯა.

*"ლენს არმსტრონგმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ ადამიანების სამყაროს შეცვლაში, რომლებიც კიბოთი არიან დაავადებული. მის ერთგულებას ავადმყოფების მიმართ საზღვარი არ აქვს და ის მთელ სულსა და გულს დებდა Livestrong-ში 15 წლის განმავლობაში"*, - განაცხადა Livestrong-ის დირექტორთა საბჭოს ახალმა ხელმძღვანელმა **ჯეფ ჰარვიმ**.

შეგახსენებთ, რომ არმსტრონგს ჯერ საჯარო კომენტარი არ გაუკეთებია ჩამორთმეული ტიტულების გამო. ცოტა ხნის წინ, ის ჰავაის კუნძულებიდან ქალაქ ოსტინში, საკუთარ სახლში დაბრუნდა.

სხვათა შორის, ოსტინში დაბრუნებულმა არმსტრონგმა სპორტის მოყვარულთა გაღიზიანება მოასწრო. მან "ტვიტერზე" გამოაქვეყნა ფოტო, სადაც ის დივანზე წევს, მის გარშემო კედელზე კი ჩამოკიდებულია შვიდი "ყვითელი მაისური", რაც ტურ დე ფრანსზე მის შვიდ ტრიუმფს ადასტურებს. ამ ჟესტით არმსტრონგი მიანიშნებს ყველას, რომ საკუთარი თავი ისევ ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი ველომრბოლი ჰქონია.

ამან გულშემატკივრების გაღიზიანება გამოიწვია. შეიქმნა ამ ფოტოს უამრავი კარიკატურა, "ტვიტერის" ერთ-ერთმა მომხმარებელმა კი დაწერა, რომ *"ლენს არმსტრონგი ყველაზე დიდი თაღლითია სპორტის ისტორიაში"*.

სამთო-სათხილამურო სპორტი

# ვონი საავადმყოფოში მოხვდა

მსოფლიოს თასის ოთხგზის მფლობელს, ამერიკელ **ლინსი ვონს** სერიოზული პრობლემები აქვს. ის კოლორადოს შტატის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოხვდა. სპორტსმენი ძლიერ ტკივილებს გრძნობს მთელ სხეულში და სერიოზულ დაღლილობას უჩივის.

ვონი ოქტომბრის ბოლოდან არ ვარჯიშობს. ადრე ლინდსიმ უარი თქვა ფინეთში, მსოფლიოს თასის მეორე ეტაპში მონაწილეობაზე. ახლა ამერიკელი მორიგი სამედიცინო გამოკვლევის შედეგებს ელოდება.



ლინდსი ვონი

ჰოკეი

# სიდნი კროსბი: მოლაპარაკება შეუძლებელია

კანადური ჰოკეის მთავარმა ვარსკვლავმა, "პიტსბურგის" ფორვარდმა **სიდნი კროსბიმ** კომენტარი გაუკეთა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მიმდინარე ლოკაუტს. ჰოკეისტის თქმით, კლუბების მფლობელებთან ყველა წინა შეხვედრა წარუმატებლად დასრულდა.

*"ჯერჯერობით ყველა მოლაპარაკება ცალმხრივად მიმდინარეობდა, - ამბობს კროსბი. – დღემდე ვერ გავიგე, რა დათმობებზე მიდიან კლუბების მფლობელები, თუ, რა თქმა უნდა, არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისინი ჩვენთვის უკვე გაფორმებული კონტრაქტების წართმევას აპირებენ. მე ერთი შეკითხვა მაქვს – რა საჭიროა უკვე აშენებულის დანგრევა? ვფიქრობ, არავინ იკამათებს იმაზე, რომ ახლა NHL – ჰოკეის საუკეთესო ლიგაა მსოფლიოში. მაშინ რა საჭიროა ახლის მოფიქრება?*

*მათ პირობებზე დათანხმება შეუძლებელია, რაც ძალიან დასანანია. ჩვენი შეხვედრები ჯერჯერობით ერთი და იმავე შედეგით სრულდება. ხანდახან კითხვის დასმის სურვილიც არ გიჩნდება, რადგან იცი, რომ იმავე პასუხს მიიღებ, რაც ერთი კვირის წინ მოისმინე. მაგრამ მე ვინარჩუნებ ოპტიმიზმს, თუმცა ეს რთულია. გაურკვეველ სიტუაციაში ვართ, რადგან არ იცი, რას უნდა ელოდო მომავალში".*



სიდნი კროსბი

# კვარტეტი დიდების დარბაზში

გაჭიანურებული ლოკაუტის მიუხედავად, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გუშინ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - ტორონტოში NHL-ის დიდების დარბაზი ოთხი ახალი წევრით შეივსო. ძველი ლეგენდების გვერდით დააყენეს შვედი **მატს სუნდინი**, კანადელები - **ადამ ოუტსი** და **ჯო საკიკი** და რუსი **პაველ ბურე**. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინ, "ვანკუვერმა" გამოაცხადა, რომ ხმარებიდან ამოიღებს 10-ნომრიან მაისურას, რომლითაც ამ კლუბში ბურე გამოდიოდა.

თავდაპირველად, ჰოკეისტებს პრესკონფერენციაზე სპეციალური ბეჭდები გადასცეს, შემდეგ კი გაიმართა დიდების დარბაზში შეყვანის ოფიციალური ცერემონია.

ლაურეატებს შორის ყველაზე ტიტულოვანია საკიკი. მთელი კარიერის განმავლობაში ის ერთ გუნდში თამაშობდა. კარიერა "კვებეკში" დაიწყო, რომელიც 1995 წელს დენვერში გადავიდა და ახლა, "კოლორადო ეველანში" ჰქვია. ამ გუნდთან ერთად მან ორჯერ მოიგო სტენლის თასი (1996 და 2001 წლებში). ამას ემატება სეზონის საუკეთესო მოთამაშის პრიზი (2001) და პლეიოფის MVP-ის ჯილდო (1996). 2002 წელს, საკიკი ოლიმპიური ტურნირის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე გახდა.

ოთხი წლის შემდეგ, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა შვედეთის ნაკრები, რომლის რიგებში თამაშობდა სუნდინი. შვედისთვის ტურინში ტრიუმფი ერთადერთი დიდი წარმატებაა კარიერაში. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ "ტორონტოში" გატარებული 13 სეზონი, სადაც ის კაპიტანი იყო 1997-2008 წლებში. ის კლუბის რეკორდსმენია გოლების (420), პასებისა (567) და ქულების (987) რაოდენობით.

პაველ ბურე ოკეანის გაღმა უფრო ინდივიდუალური პრიზებით დაიკვეხნის, ვიდრე გუნდურით. ის მხოლოდ ერთხელ, 1984 წელს გავიდა "ვანკუვერთან" ერთად სტენლის თასის ფინალში, რის შემდეგაც, 1998 წლის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა (ბურემ ფინეთთან ნახევარფინალში ხუთი შაიბა გაიტანა). 1992 წელს, ბურე NHL-ის სეზონის საუკეთესო ახალბედად დასახელდა, 1999-2000 წლებში კი "ყველა ვარსკვლავის მატჩის" MVP გახდა. იმავე სეზონში რუსმა მოიპოვა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერის პრიზი.

ამ კვარტეტში ყველაზე მოკრძალებული მიღწევები ადამ ოუტსს აქვს. ცენტრფორვარდმა, რომელიც NHL-ის არც ერთ კლუბს არ აუყვანია დრაფტზე, ლიგაში 19 სეზონი გაატარა და შედეგიანი გადაცემების რაოდენობით (1079) ყველა დროის სიაში მეექვსე ადგილს იკავებს. ოუტსსაც ნათამაშები აქვს სტენლის თასის ფინალში - ორჯერ, როგორც მოთამაშეს ("ვაშინგტონთან" 1998 წელს და "ანაჰაიმთან" 2003 წელს) და ერთხელ, როგორც ერთ-ერთი მწვრთნელს ("ნიუ ჯერსიში"). წლევანდელი სეზონი, რომელიც ლოკაუტის გამო ჭიანურდება, ოუტსმა "ვაშინგტონის" მთავარი მწვრთნელის რანგში უნდა დაიწყოს.



სუნდინი, საკიკი, ოუტსი და ბურე

ამბები

ფორმულა 1

## HRT იყიდება

ესპანურმა საინვესტიციო კომპანიამ - Thesan Capital-მა გასაყიდად გამოიტანა ფორმულა 1-ის გუნდი HRT. კომპანია აუტსაიდერი საჯინიბოს მფლობელი გასული წლის ზაფხულში გახდა, მაგრამ უკვე ამ სეზონის დასაწყისში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ესპანელები მზად არიან საჯინიბოს გასაყიდად.

იტყობინებიან, რომ უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები დაინტერესებულ კომპანიებთან და ვარაუდობენ, რომ გარიგება უახლოეს კვირას შედგება. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში HRT-მ, რომლის რიგებში გამოდიან ესპანელი **პედრო დე ლა როსა** და ინდოელი **ნარაიან კართიკეიანი**, ჯერჯერობით ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა.

კალათბურთი

## ბინუმი დეკემბრამდე ვერ ითამაშებს

ექიმების ბოლო პროგნოზების თანახმად, "ფილადელფიას" ცენტრი **ენდრიუ ბინუმი** კონტაქტურ ვარჯიშს 10 დეკემბერზე ადრე ვერ დაიწყებს, - იტყობინება "სიქსერზის" ოფიციალური ვებგვერდი.

ვარაუდობენ, რომ ამის შემდეგ, "ლეიკერსის" 25 წლის ექსცენტრს კიდევ ორი-სამი კვირა დასჭირდება იმისთვის, რომ სათამაშო ფორმა აკრიფოს. შეგახსენებთ, რომ ბინუმი აღდგენით კურსს გადის მარჯვენა მუხლის ტრავმის შემდეგ და ახალ სეზონში მას არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**